ნაკადი

1884

№ II, თებერვალი

თბილისი.
ქქვთიმე ხელაძის სტამბა.
1884

198

შინაარსი:

I. განკიცხული (შემდეგი) ს. მოჩხუბარიძისა . . 3

II. მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში თ. ყორდანიასი 31

III. სოფლისთვის თავ-დადებული ანუ რომელია სიმართლე? (თარგმანი) რ. ძამსაშვილი ცვისა . 67

IV. ჩვენის გლეხ-კაცობის ისტორიიდამ (შენიშვნები ბატონ-ყმობაზედ) ნიკო ხიზანიშვილისა . . 83

V. საგულის-ხმიეროდ (გაზეთებიდამ) I. წარსულის მოგონებიდგან. მკვლელობა 1857 წელსა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თავადის გაგარინისა, იმის ჩინოვნიკის ილინისა და ბოროუჩიკის ირდიშვილისა — სვანეთის მეფლობელის თავად კოსტანტინე დადიშკელიანისაგან. სტატია ს. შჩერბაკოვისა. II. გენერალ ფადეიევის აზრი ქართველობაზე. 114

VI მოკითხვა (შეთვლილი დედასთან ქ. ერევნიდგან მეფე თეიმურაზის დროს) (ლექსი) თ. რ. ერისთავისა 151

VII. ბიბლიოგრაფია ბედაგოგიური ჟურნალი „ნობათი“ № 1, 1884 წ. სტ. ჯრ—შვილისა. . 152

VIII ბანცხადება (ყდაზედ).

ეს წიგნი 28 თებერვალს მზად იყო, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, დღემდის ვერ გამოვიდა. რედ.

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მერვე

№ II

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1884

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 февраля 1883 г.

განკიცხული

(უმდეგი*)

თავი III

მეორე დღეს ძალიან ადრე გამეღვიძა, თუმცა გათენებამდის ძილი არ მომკარებია და ის ხანიც, რაც თვლემაში ვიყავი, რაღაცა დამასუსტებელი მდგომარეობა იყო, ვიდრე მომასვენებელი. სახლში ჯერ არავინ ამდგარიყო; ახლად ამოსულის მზის სხივები ზოლ-ზოლად შემოწოლილიყო და ფარდებისგან დაბნელებულს ოთახში მსიარულად თრთიდა. წვრილი, სხვადრეს თვალისთვის შეუმჩნეველი მტვერი, საგნების ნაძენძი და ფერფლი იჩეოდა, სხვა-და-სხვა ფრად მზის შუქზედ ბჟუვრიალებდა. სხვა დროს ეს სურათი მთელის საათობით მიიქცევდა ჩემს ყურადღებას, მთელის საათობით შევცქერდი იმ წმინდას და სიკეთის ნაძენძებს და ფერფლებს, რომლებიც დასდევდენ ერთმანერთს, შესთამაშებდენ მზის სხივებს, იქნებ სიცოცხლესაც ჭვრეტდენ; მაგრამ ეხლა კი მაშინვე თვალებმა დასუჭვა მომინდა, რადგანაც სისხლი თვალებში მომწოლოდა, თავი დამძიებოდა და შუქი უსიამოვნოდ მოქმედებდა.

მე თვალები ისევ დავხუჭე, მაგრამ წარმოუოქმელმა თავის

---

*) «ივერია» № 1, 1884 წ.

ტკივილმა ჩქარა ზეზედ წამოამაგდო. იქვე იდგა ტასტი და ალთათვა ცივის წყლით, რომელიც სწრაფად თავზედ მოვიქცეე და სიგრილემ ოითქოს რაოდენადმე მოამსუბუქა. საჩქაროდ ჩავიცვი ტანისამოსი და გავწიე მუშტაიდისკენ, სადაც ჯერ მოძრაობა არ დაწყებულიყო და ვერ მოესწრო იმ უსიამოვნო მტვერს ჭაერში ავარდნა, რომელიც ისე შემაწუხებელად გივსებთ და გასლანძავსთ ყელს და ფილტვებს.

დილა მშვენიერი, ყუჩი და თბილი იყო; ამ გვარი დღეები სწორედ ბედნიერთათვის იყო გაჩენილი, მაგრამ ჩემს დაჩაგრულს გულსაც რაღაცა სიამოვნებას უღვიძებდა. ბაღში ჩიტების ჭიკჭიკის მეტი არა მოისმოდა-რა. ისინი დახტოდენ ერთი შტოდგან მეორეზედ, მხიარულებდენ, ხანდისხან კიდეცა კინკლაობდენ. აშკარად ეტყობოდათ, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ და ნებაცა ჭქონდათ ამ ბედნიერებისა. მწვანედ გადაშლილს ხეებსაც შტოები გაეშვირათ და ერთმანერთში ისე გადახლართულიყვნენ, თითქოს საერთო თვერხული დაებათ, შეერთებულთ თავიანთი ბედნიერება ერთმანერთისთვის უნდა გადაეცათ, ერთმანერთში გადაეტანათ თავის სიცოცხლის ძალა.

ჯერ სიცხეები არ დამდგარიყო და მაშასადამე ჩინებული ჭაერი ტრიალებდა. ჩემს გარშემო ყველა სცოცხლებდა, ყველა ხარობდა, ყველა ჭგრძნობდა, რომ გაჩენილია, რომ სიტკბოება არის ქვეყანაზედ და კიდეცა სტკბებოდა. ყველას ეპოვნა თანამგრძნობელი, ყველას ჭყავდა თავისი ცალი, უკანასკნელი კოლოებიც კი მხიარულობდენ და თამაშობდენ!...

იმათ, შორის კიდექ კაცი, მათზედ მეტის აზროვნობით, მეტის გრძნობით, მეტის მოაზრებით, გვირგვინი დანარჩენ ქმნილებათა შორის და მე კი ვერ მომეწყო იმათსავით ცხოვრება...

მხოლოდ მე ვიდექ განმარტოებული, დაჩაგრული, მარტო მე ვერავისთვის გადამეცა გულის მოძრაობა და შურით ვუყურებდი ბედნიერს ქმნილებათა, რომელნიც უბრალო თვიქრზედ დროსა ერა ჭკარგავდენ, სარგებლობდენ მით, რაც ეძლეოდათ!... ვინ არის მართალი: ესენი თუ მე?... სიმართლესა კი ვერას გეტყვით, მაგრამ ესენი რომ ჩემზედ ბედნიერები იყვნენ, მაგაში ეჭვი არ იყო...

დავდუმდი, დავფიქრდი და სწორე გითხრათ საფიქრელიცა მქონდა.

მე მიველ სწორედ იმ ბესედგასთან, სადაც წინა-ღამეს მე და მარი ვისხედით და დავუწყე მტკვარს ყურება, რომელიც წყნარად მოდუდუნებდა. ზემოდგან მოგდებულს ქვეს თევზები შემოსთამაშებდენ და ხანდისხან მთელს ადგზედ ძაღლა ხტოდენ.

აქ დავჭყავ საკმარისი ხანი და გადავწყვიტე, დავმორჩილებულვიყავ ჩემს ბედს, რომელსაც საამოვნობა არც წარსულში ეჩვენებინა და არც მომავალში მიქადდა. გადავწყვიტე, რომ ჩემს გრძნობას რადენადაც უნდა გაეზიდა, დამცირებამდის არ მივსულვიყავ, არ მელალტა იმ შეხედულებისათვის, რომელიც ხალხს სინიდისის მოვალეობად მიულია; გადავწყვიტე ალძრული გრძნობა გულში მომეკლა, გულში დამემარხა.

მე მახსოვს ეს წუთი, რომელმაც ერთბაშად მთელი არსება გადამიბრუნა, რომელმაც მხიარულის, გაბედულის კაცისაგან დალონებულად, მოწყენილ და ბედის მონად მაქცია.

ამ გვარად დაებრუნდი შინ, როდესაც კარებში სოფიო შემხვდა და პირველსავე შეხედვაზედ თავი დამახრეინა. იმის სახე რალაცა დამცინველს და სიბოროტით სავსე ღიმილს გამოხატავდა. იმის თვალები თითქოს სიხარულით მეუბნებოდა:

«გაები მახეში, მოგახრეკვინეს თავი?» და თითქოს ამ სიტყვების ჭეშმარიტებას მეცა ვგრძნობდი, ვგრძნობდი ისე ძლიერად, რომ ხმა ველარ ამოვიღო.

— აჭ, ლევან! წარმოსთქვა იმან და შესდგა.—სად მიხვალ, შინ არავინ არის.

— დაღალული ვარ, მინდა დავისვენო. ეუბნესუხე მე.

— დაღალვა... ჭა, ჭა, ჭა!... გადიხარხარა იმან და დაუმატა:—შენს ხანში დაღალვა განა შესაძლებელია?

— რატომ?

— იმიტომ, რომ მაგ დროში კაცის სისხლი სდუღს და გადმოდის... იმიტომ, რომ შენს ხანში კაცი რაძდენსაც მეტს მოქმედობს, იმდენად მეტად სწყურდება მოძრაობა.

— მაშ მე სხვებს არა ვგავნებივარ.

— მხოლოდ ერთი შემთხვევა არის, რომელიც ყმაწვილ კაცს მოსწყვეტამს ხოლმე.

— რა შემთხვევა?

— სიყვარული. მომიჭრა იმან სიტყვა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა:—შენც ხომ არავინ შეგყვარებია?

ამ სიტყვებმა გალესილს დანასავით გამისვა გულზედ და მწარე ტკივილი მაგრძნობინა. ბასუხის მაგივრად დაღონებულის თვალით შევხედე და, უეჭველია, მიგ შესამჩნევი საყვედური გამოითქმოდა, რადგანაც სოფიო გაწითლდა. იმას ამჯარად ესმოდა, რა საცანჯარეც იყო ჩემთვის ამ სიტყვების გაგონება და ამჯარადვე სჩანდა, რომ განზრახ მეუბნებოდა.

თვალში ელვასავით სწრაფად გამირბინა: «რას მემართლება?» და მაშინვე შეიცვალა შემდეგის სიტყვებით: «თითქო ამბობენ ქალი გულ-ჩვილია, მისი გული ადვილად ჭგრძნობს სხვის გულის ბასუხსაო?»

— წავიდეთ, გავისეირნოთ. ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ სოფიომ და დაუმატა:—დასვენებას კიდევ მოასწრებ.

გამოიშვირა ხელი და მეც უარი ველარ მოვახერხე. ჩვენ გავედით ბაღში, სადაც მთელი ქალაქის მცხოვრებნი გამოფენილიყვნენ და დასეირნობდნენ. მე და ჩემი თანამგზავრი კარგა ხანს დავდიოდით გაჩუმებულნი და ბოლოს ერთს ადგილს ჩამოვსხედით.

— ბოლოს მითხრა, რომ სამზღვარს-გარეთ წასვლას აპირებ, მართალია? მკითხა სოფიომ და დამაცქერდა.

— მართალია.

— რად მიდიხარ?

— უცხო ენები მინდა შევისწავლო.

— ჯერ უნივერსიტეტი გაგეთავებინა?

— უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ისეთი მიზეზები მაქვს, რომელიც მიშლის მაგ სურვილის აღსრულებას.

— მიზეზები? შემოამხედა სოფიომ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა:—უთუოდ იქ... შეგიყვარდა ვინმე და დაბრუნება იმიტომ ალარ გინდა?

— შენ სულ ერთი მიზეზი გაქვს! ველარ მოვითმინე და შეუტია.

სოფიომ ისევ ენა მოიკვნიტა და ჩაჩუმდა.

— მაშ სამზღვარ-გარედ უეჭველად წახვალ?

— ასე ვფიქრობ...

— ხარჯი?.. სამზღვარს-გარედ ცხოვრება იქნება ადვილი გგონია?

— არა, ადვილი არ მგონია, მაგრამ ჩემი შემოსავალი ვფიქრობ, მეყოფა.

— შემოსავალი?... რა შემოსავალი?... მამულისა?

— დიახ, მამულისა.

— თუ მაგის იმედი იქონიე... ალარ გაათავა სოფიომ.

— მაშ სხვა რის იმედი უნდა მქონდეს?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ მამული რომ კუჭს ვერ გაგიძღობს, მაგაზედ კი დარწმუნდი... რა შემოდის ჩვენის მამულებიდგან, შენს გაზრდას, რომ კაცმა იმის იმედით სამზღვარს-გარედ წასვლა გაბედოს.

მე გაგონილი მქონდა, რომ კარგი მამულის პატრონი ვიყავ, მაგრამ ჩვენებური კარგი მამული, კარგი შეძლება კარგად ვიცოდი რაც იყო. ყველა ყვირის ჩინებული სახლი მაქვს, საუცხოო შეძლებაო და როდესაც ამ გვარს სახლობას ეწევი, კვერცხისთვის მეზობლებთან გზავნიან, თითოობით თორნის პურს სესხულობენ. ჩემი «კარგი მამული» მართლადაც რა უნდა ყოფილიყო, რა შემოსავალი უნდა მოეცა?

— მართლა, სოფიო, დავიწყე მე.—სულ ის მინდა, რომ გავიგო, რა მაქვს და რის დახარჯვა შეიძლიან და დღემდის ვერა გამიგია-რა... მე მარწმუნებენ, რომ ჩინებული მამული მაქვს, მაგრამ გარეშე ხალხის ლაპარაკი, შენც ხომ იცი, რამდენადაც დასაჯერია. დიდად დამავალებ, რომ ნამდვილი გამაგებინო; ჩემი შემოსავალი ზედ-მიწევნით უნდა იცოდე, რადგანც სულ სოფელში ცხოვრებ.

— რასაკვირველია, ვიცი და სწორედ იმიტომაც გეუბნები, რომ არ გეყოფა მეთქი... არამც თუ არ გეყოფა, შენი შემოსავალი სახსენებლადაც კი არა ღირს.

— მაინც, დაახლოებით, წელიწადში რა მექნება?

— ძალიან რომ გაბევრო, ძალიან... წელიწადში ოც-და-ხუთ, ოც-და-ათ თუმნამდის თუ შემოვიდა, დიდი საქმეა!

— რას ამბობ, გავიკვირვე მე.

— მაშ რა გეგონა?.. დამცქერდა სოფიო და შემდეგ დაუმატა.—ეგეც ისევ მოჯამაგირეებზედ მიდის... საზოგადოდ ყველანი აგრე კარით,—თუ ცოტაც არის კისმე დიდი მამული აქვს, იმოდენა კალი აწევს, რომ სარგებელს ვერ ასკლია და კისაც თითო ნაჭერი მიწა უგდია, ისინი შიგ მამულში დგანან, უკანასკნელს გლეხსავითა მუშაობენ, და ისე, ძლივს გამოდიან... მადლობა ღმერთს, რომ ჩემი პროფეირუშკა სამსახურშია, თორემ ცარიელი პურის შოვნაც კი გაგვიჭირდებოდა.

— რა ვქნა, შენს ძმას ხომ კარგი მამული აქვს, ცხოვრება იმას რაღად უნდა უჭირდებოდეს.

— შინაური საქმე არავინ იცის და იმიტომ ჭორაობენ რომ ბევრი გვაქვს... ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩემს ძმას უბედურება რამ შეემთხვეს, თორემ სამოწყალენი დავრჩებით.

ამ სიტყვებმა მწარედ იმოქმედეს ჩემზედ. პირველი ფიქრი, რომელმაც თავში გამირბინა, იყო მარის მოძალვა.

მართლადაც პოროფეირუშკას რომ უბედურება რამ შემთხვეოდა, მარის რა მოუვიდოდა, როგორ იცხოვრებდა?...

მე გადამაყოლა სოფიოც, იმასთან ლაპარაკიც, ადგილიც, სადაც ვიყავი; თითონ ჩემი თავიც კი ალარ მახსოვდა და მარტო ეს ერთი ფიქრი მიტრიალებდა თავში.

უეცრად დიდ-ხანს ვიჯექ გაჩუმებული, რადგანაც სოფიო წამოდგა და ლიმილით მითხრა:

— კარგა ჩაფიქრება გცოდნია!... სრულიად არ ემგზავსები ასალ-გაზრდას... წავიდეთ შინ, თორემ სადილათ დაგიგვიანებთ.

სოფიო გამიძღვა წინ და მეც გამოვუდექ ზარმაცად და ზლაზვნით.

როდესაც შინ დაბრუნდით, სადილი გაშლილი დაგხვდა და მარტო ჩვენ-ღა გველოდენ.

მარი სასტუმროში კუშეტკაზედ მიწოლილიყო და რაღაც მხატვრობას შინჯავდა. სახეზედ რაოდენიმე ფერ-მკრთალობის მეტს ვერას შეამჩნევდით. ჩემს მისალმებაზედ იმან აიღო თავი და ღიმილით მითხრა:

— დარჩი?

— მაშ რა უნდა მექნა? ვუპასუხე.

— შენ უკეთ იცი. წუნარად და გარეგვეგით წარმოსთქვა იმან.

— მე ალარა ვიცი-რა, ალარა მესმის-რა! ვსთქვი და იქვე სკამზედ ჩამოვჯექ.

ამ სიტყვებზედ მარი თითქოს შეკრთა და ცოტა სიხუმის შემდეგ მითხრა:

— ალარა გესმისთ-რა, ალარა იცით-რა?... საკვირველია! მხრების აწევით დაბოლოვა მარიმ სიტყვა.

მე შევხედე მარის, რომელსაც ხმაში რაღაცა სიბრაზე ეტყობოდა და პირისახეზედ მწარე სატანჯველის ბეჭედი დასდებოდა. უეჭველია რაღაცა ვარამი მწარედ უთუოქვავდა გულს.

— მარი, მართალს გეუბნები, მწარედ დავიწყე მე... მართალს ვამბობ... ველარა გამიგია-რა ჩემი თავ-ბედისა... მე ვგრძნობ, რომ უბედური ვარ და უბედურად დავრჩები ჩემს სიცოცხლეში... ყოველი ნუგეში მოსპობილი მაქვს... შენ მაინც შეიბრალე!

— შეგიბრალო?... რისთვის?... იმისთვის ხომ არა რომ უკანასკნელი ნუგეშიც წამართვი?... შენ ამბობ რომ «უბედური ვარო», შენ, თავისუფალი კაცი, რომელსაც ყოველ-მხრივ გზა ხსნილი გაქვს, საითაც უნდა იქითკენ წახვალ და მე?... მე რაღა უნდა ვსთქვა?... მე რაღა უნდა ვსთქვა მეთქი, საბრალო ტყვემ,

რომელიც ძალით დაუბრკოლებიათ, დაუბრკოლებიათ ისეთის ძალით, რომელსაც სიკვდილის მეტი ვერა მოსპობს რა?! ერთად-ერთი სანუგეშო ის-და მქონდა, რომ შემეძლო ყველგან განმარტოებულს ყოფნა, შემეძლო ამ დროს საკუთრივ ჩემს თავს, ჩემს თვიქრებს მივცემოდი და ამით მაინც არის ჩემი მდგომარეობა შემემსუბუქებინა და ეხლა?... ეხლა რალა არის?.. მოხვედი შენ და ეს ნუგეშიც წამართვი!... წამართვი და როდესაც ყველა ამას ვხედავ, შენს უბედურებაზედ ლაპარაკობ, უმადურო?

— მარი! ველარ გავძელ და გავუშვირე ხელები. მე მინდოდა ჩამეკრა გულში, დამეკოცნა, დამეყვირა საქვეყნოთ: «მარის მე ვუყვარვარ, მე უნდა მეკუთვნოდეს»!... მაგრამ მარის გამოშვერილმა ხელებმა შემაყენა, ცივმა ოფლმა დამასხა, რადგანაც მოგესმა:

— დამშვიდდი!.. მე ქმრიანი ვარ და... შენი...

იმან ველარ გაითავა სიტყვები; კარებში გამოჩნდა ბრალოფვირუშკა და ჩახრინწიანებულის ხმით წარმოსთქვა...

— საღილი მიირთვით.

თავი IV

გაირა რამდენიმე კვირამ და მე ისევ თბილისში ვიყავ, ისევ «ბრალოფვირუშკას» სახლში ვცხოვრებდი. ყოველ დღე ვემზადებოდი წასვლას, მაგრამ ადგილიდგან ვერ დავძრულიყავ. ბედნიერებაზედ იმედ მოსპობილი დავმორჩილდი ჩემს ბედ-ილბალს და თითქოს შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას. გადავწყვიტე რომ უბედურად გაჩენილი, უბედურად უნდა მომკვდარიყავ და

ამისთვის ქვეყანაზედ ალარცა-რა მახარებდა-რა, ალარც არათვერი მიზიდავდა. წავიდოდი სადმე, თუ დავბრუნდებოდი, ყოველთვის მარტო უკმაყოფილებასა ვგრძნობდი. მადა სრულიად დამეკარგა, დამიწყო სიცხის ძლევა და მთლად ჩამოვხმი... შემიყვარდა მარტობა, რადგანაც ჩემს სიმარტოეში მე ვეძლებოდი ჩემს სანეტარო თვიქრებს და თვალებ დახუჭვილს მარის სახე ცხოველად მეხატებოდა თვალ-წინ. ხალხი, ცხოვრება, ქვეყანა, სიტყვით, ყოველისფერი ამაო შეიქნა ჩემთვის და ამის შემდეგ ჩემთვის თვით სიცოცხლემაც კი დაკარგა თავისი თვისი. მხოლოდ მარიდა მიბრუნებდა სულს, ისღა მაკავშირებდა ამ სოფელს, იმას ვხედავდი, იმით ვსუნთქავდი და მარტოობაში შემეძლო იმაზედ ოცნება. ისეთს მდგომარეობაში ჩავარდი, რომ მარიზედ თვიქრი ერთს წუთს მოგეშორებინათ ჩემთვის, მე ველარ გეტყოდით ცოცხლებში ვერიე, თუ მკვდრებში.

თითონ მარიც საკვირველად გამოიცვალა: გახდა, გაყვითლდა და საკვირველი გულ-ჩვილი შეიქნა. ორი სიტყვა რომ გეთქვათ, მაშინვე ტირილს დაიწყებდა. ისიც ჩემსავით დამშვიდებულად გეჩვენებოდათ, კითხვაზედ ჩემსავით გიპასუხებდათ, რომ «არა სტკივა-რა», მაგრამ ორნივ კი ავად, ძალიან ავად ვიყავით, ორნივ ერთის სენით, ერთის სატკივრით. კარგა დრომ გაიარა, რაც მოგსპეთ ჩვენს გრძნობაზედ ლაპარაკი, რადგანაც დავრწმუნდით, რომ ამ გვარი ლაპარაკი უმიზნო იყო. ესღა როდესაც მარტონი შევიყრებოდით, ან ერთ-ერთი ხმა მაღლა წიგნის კითხვას დაიწყებდით, ან არა ჩუმად ვისხედით და უიმედოთ შევსცქეროდით ერთმანერთს. საკვირველი ეს არის, რომ ამ გვარს ცქერას ყოველთვის თან-და-თან შევყვანდით რაღაცა ალმაშფოთებელს მოუსვენარს მდგომარეობაში. მე აშკარად ვგრძნობდი და უეჭველია მარისაც ესევე არ ასცდებოდა,

რაღაცა უხიოლავს ძალას, რომელიც გამოკრთოდა მარის თვალებიდგან, უერთდებოდა ჩემს თვალებს და ეს ძალა მატკბობდა, მიგლიდა მთელს სხეულში და რაღაცა გამოურკვეველს, დამასუსტებელს მდგომარეობაში მაგდებდა. ასე მიდიოდა სანი, როდესაც ერთს სალამოს მე და მარი ვისხედით სასტუმრო ოთახში, სადაც ბროდეირი შემოვიდა. იმან შეხედა ჯერ მარის, მერე მე, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, რამდენჯერმე შესდგა, ამოიოხრა და შუბლზედ ხელი გადაისვა.

— ქალო, რათა ხარ დაღონებული?... რა მოგდის? დაიწყო ბოლოს ბროდეირუშკამ. მარიმ ზიზღით შეხედა და მკაცრად უპასუხა:

— ეგ თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ.

ბროდეირუშკამ კიდევ შეხედა, წუნარად დაჯდა სკამზედ და სალაპარაკოდ მოემზადა.

— ცოლ-ქმარშუა ულიამოენო ლაპარაკი ჩამოვარდა და საჭირად დავინახე მოშორებოდი, მაგრამ ბროდეირუშკამ არ გამიშვა.

— დაიცადე, სად მიხვალ?... მე მინდა რომ ამ ლაპარაკის დროს დაგვესწრო. მითხრა იმან და მიუბრუნდა მარის.

— სწორე გითხრა, მე ვერ მივმხდარვარ.

— ვერ მიმხდარხარ? ალალებით უპასუხა მარიმ: — ძალიან ცოტა მიხვედრილობა გქონიათ!...

ის გაჩუმდა რამდენიმე ხანს, რადგანაც სულის მოქცევა უჭირდებოდა და ბოლოს გარკვეით დაუმატა:

— როგორ ვერ მიმხვდარხართ, რომ მძაგხართ, მეზიზღებით!?... ამას გეტყვით ოჯველთვის, გეუბნებით ესლა, და გეუბნებოდით ჯვარის-წერამდის... გათვრთხილებდით, გეხვეწებოდით, მაგრამ თქვენ არ გაიგონეთ გულწრფელი სიტყვები... გეუბნებოდით, ცოლობას ვერ გაგიწევთ მეთქი და მაშინ თქვენ

ხარხარებდით გამოუცდელი ქალის ლაპარაკზედ, ამ ლაპარაკს ეძახდით უბრალო ტიტინს, რომელიც ინსტიტუტში წიგნებიდგან ამოამიკითხავს, მარწმუნებდით, რომ ეგ ყველა გაიგლის, ყველაფერი კარგად და რიგიანად მოეწყობა!!! — არ დავიჯერე შენი სიტყვები, მაგრამ შენ მაინც არ დაიშალე, ჩემის დედინაცვლის შემწეობით ძალად დაიწერე ჯვარი და ახლა კი მეუბნები, რომ ვერ გამიგია შენი შეწუხების მიზეზი?!... აბა მითხარ, ვინ იყო მართალი: შენ, შენის გამოცდილებითა, თუ მე, რომელსაც გამოცდილების მაგიერ წრფელი გრძნობა მალაპარაკებდა.

— მარი, შემიბრალე, შემიწყალე!... წარმოსთქვა ბრიტანეთმა, რომელიც მოკუნტულიყო სკამში, ძლიერ იქცევდა სულსა და საცოდავად გამოიყურებოდა.

— გვიანლა არის შებრალება, როდესაც გამაუბედურე მეც და შენი თავიც... ან რალა შემიძლიან, რითი გიწამლო, რითი უნდა გიშველო, შველაც რომ მინდოდეს!?...

— მაშ საქვეყნოდ არ გამხდი?... წამოვარდა გახარებული ბრიტანეთმა.

მარიმ შეხედა და მწარედ გაიღიმა.

— ხედავთ, წარმოსთქვა იმან სიმწარით. — ხედავთ, რას მეუბნება?... რაზედ სწუხს!?... საქვეყნოდ გახდომისა, ქვეყნის ლაპარაკისა ეშინიან!... ღმერთო ჩემო!... შენ ქვეყნის ლაპარაკი გაშინებს, ის გალაპარაკებს და მე რალა უნდა ვთქვა, რომ მომავალ ბედნიერებაზედ ფიქრიც კი მომისპე, მოსვენება წამართვი.

— რა გინდა, რა ვქნა, მარი?... თუ შენი მტერი ვიყავ, ჩემი თავი მაინც ალარ მებრალებოდა?... იმედი მქონდა... ემა-

წვილი იყავ, მეგონა გამოიცვლებოდი, შემეჩვეოდი; მაგრამ შეცდი, მოვტყუვდი...

— თუ მაგ სიტყვებს მართლა ჭეშმარიტ, შეცდომის გასწორება კიდევ შეგიძლიან.—მიაშურა ცოლმა.

— როგორ?

— გვიყარნეთ! ერთბაშად წამოიძახა მარიმ და დაუწყო ყურება.

— გვიყარნეთ!? წარმოსთქვა ბრაზიერმა და მთლად დაიბნა. — რას მეუბნები, მარი?

— იმას, რაც შენს სიხიდიას წინადვე უნდა ეთქვა.

— არა, მარი... ეგ არ შეიძლიან... იცხოვრე, როგორც გინდა... მოეწყე, როგორც გესიამოვნებოდეს... მხოლოდ მაგას-კი ნუ ითხოვ ჩემგან,—არ შეიძლიან!

— მაშ რაგორ ვიცხოვრო, რაგორ მოვეწყო?... გვიჩინო საყვარლები, გატყუო შენცა და მთელი ქვეყანაც?... ვიცრუო, ვითვალთმაქცო?.. მაგ გვარად ცხოვრებასაც მე ვერ მოვაწყობ. მე ვიცი, ყოველისფერს მაპატიებდი, ყოველგვარს გარეგნობებას არ შეიმჩნევდი, თუ ქვეყნისთვის და ხალხისთვის დათვრეული იქნებოდა, თუ იმაი სალაპარაკოდ საბუთი არ ექნებოდათ... მაგრამ მე ეგ არ მინდა, მაგას არ ვითხოვ შენგან... ადამიანი ადამიანურს ცხოვრებას მოვითხოვ, იმ გვარს ცხოვრებას, რომელზედაც უფლებაცა მაქვს და უნდა მომეცეს...

— ღმერთო ჩემო, რაებს მეუბნება?... სხვა ველარა მოახერხა-რა შეშინებულმა ბრაზიერუშკამ და მიმიბრუნდა მე:—გესმის, რაებს ამბობს? უთხარ რამე, ჩაგონე... მაგას არ ესმის, რასა სჩადის, რას ითხოვს?

— ბიძა ჩემო, თუ ერთმანეთის გაბედნიერება ვერ შეგიძლიანთ, წარმოესთქვი მე,—რასაკვირველია, გაურა სჯობს. ამ

სიტყვებმა ბრალდებულზედ ისე იმოქმედეს, თითქოს მდუღარე წყალი გადაგესხათ. ის მთლად აინთო, გაწითლდა, თვალებში სისხლი მოერია და ყელში ხრიალით დაიწყო:

— შენც ხომ არ გაგიყდი!?.. რაებს მეუბნები?... თავი დაგანებო, გაგეყრო მარის? მთელი ქვეყანა აგაყყანო?.. ეს, ეს, ეს... არა, ნამდვილად გიყი ხარ, შენცა და... ჩემი ცოლიც!

— ბიძა ჩემო, ქვეყანას რას დასდეგთ, რას დაეძებთ, ვინ რას ალაპარაკებს და რას იტყვის, როდესაც თქვენის მოქმედებით თქვენ მოგვლეობას ალასრულებთ.

— შენ აგრე გგონია, რომ ჩვენს ცხოვრებაში ქვეყანას საქმე არა აქვს და მე კი ისე მგონია, რომ აქვს... მე ვხედავ, რომ ანგარიშში შეცდი და მზათა ვარ ჩემის შეცდომისთვის მთელი სიცოცხლე ვეწამო... შენ როგორა გგონია: ადვილია ჩემთვის, როდესაც შენ და მარის ერთად გხედავთ, როდესაც ვგრძნობ, რომ თქვენ ერთმანერთს ამხიარულებთ, ატკბობთ, შეგიძლიანთ ერთმანერთის ბედნიერება და მე კი ყველა ეგ მოსპობილი მაქვს?..—არ არის ადვილი, მაგრამ ვითმენ, ვსთანხმდები, რადგანაც სხვა გზას ვერ ვხედავ, ვერ ვპოულობ. ვსთანხმდები და ჩემს მწარე შურს გულში ვიკლავ, გულში ვიმარხავ... სხვა რალა გინდა, რალას ითხოვთ ჩემგან?

— ერთმანერთის ბედნიერება შეგვიძლიან? მწარედ წარმოსთქვა მარიმ და დაუმატა;—კარგა შემოგვხედე და გაიგებ, მართალს ამბობ, თუ აქაც სტუუდები. მართალს ამბობ, ჩვენ შეგვეძლო ერთმანერთის ბედნიერება, ჩვენ გვიყვარს ერთმანერთი და წინ შენ გვეღობები. რათა, რისთვის, რა უფლებით?... რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, რომ არა მყვარებიხარ, არ მიყვარხარ და არ მეყვარები?! რატომ არ მანებებ თავს?

— გიმეორებ, დაიწყო ისევ ბრალდებულმა,—რომ ეგ აზრი,

შეკითვისე, სამუდამოდ იმედი გადვიწყვიტე, მე ვიცი, დარწმუნებული ვარ, რომ არაოდეს ჩემი არ იქნები და იმისთვისაც გაძლევ ოცვლისთვრის ნებას, ოღონდაც ხალხი ჩუმად იყოს.

— სადამდის მიჭყევხარ დამცირებულს თავ-მოყვარეობას!... მაგრამ გირჩევ თავი დამანებო, თორემ, გარწმუნებ, აქაც მოსტუუვდები.

— ვნახოთ. გადაწყვეტით უპასუხა ბროზეირმა.

— ბროზეირი, მოიგონე, ჯვარის წერის წინად მე გითხარი: «ნუ იწერ ჩემზედ ჯვარს, თორემ გაგექცევი მეთქი.» მიფიქიდი, ეს სიტყვები ეხლა არ შეგისრულო.

— ვისთან გაიქცევი?... ამასთან ხომ არა? და უჩვენა ჩემზედ და... მოიბრუნდა მე:— გთხოვთ ცოტა ხანს მარტონი დაგვტოვო, ჩემს ცოლთან მარტოდ უნდა მოვილაპარაკო.

— დიახ, თავი დაგვანებე, ლეკან, ცოტას ხანს თავი დაგვანებე... ჩემს ქმარს, ჩემს მბრძანებელს იმედი აქვს დამითანხმოს, დამიმორჩილოს...

მე წამოვდექ და დაწყვეტილის გულით გავედი ჩემს ოთახში, სადაც მოუთმენლად მოველოდი, რითი გადაწყდებოდა ცოლ-ქმრის ლაპარაკი.

თავი V

იმ სალამოზედ მარი ველარა ვნახე, თუმცა სურვილი დიდი მქონდა. გოგომ, რომელსაც ვკითხე მარის ამბავი, მიპასუხა:

— ქალბატონი შეუძლოდ არის და მოისვენა.

ამ სიტყვებმა უფრო ამაშფოთეს, რადგანაც გახურებული

გონება ერთიანად გაზვიადებულად წარმოიდგენდა მას, რაც ცოდვა-ქმარს შორის უნდა მომხდარიყო.

— არ შეიძლება ვნახო? ვკითხე იმავე გოგოს.

— ქალბატონმა მიბრძანა რომ ამათ ოთახში არავინ შევიდეს და შიგნიდგან კარები ჩაიკეტა.

ამ სიტყვების შემდეგ უფრო უმეტესად მომწადდა მარის ამბის გაგება და ეს სურვილი იქამდის ძლიერი იყო, საქმე ჩემ სიცოცხლეს რომ შეხებოდა, ვგონებ, მეტის წადილით მაშინაც ვერ ავინთებოდი.

— მე მინდა მარი ვნახო, დავიძახე ჭირვეულად. — მე ის უნდა ვნახო!...

— დღეს არ შეიძლება. მიპასუხა მოახლემ და გაბრუნდა, მაგრამ მე წინ გადაუდეგ და შევაყენე.

— მაშო, თუ ღმერთი გწამს, თუ ერთი ბეწო სიბრალული გაქვს... დაუწყე ხვეწნა.—ხომ ხედავ, რომ გავგიჟდი, გადვირეე... მე თითონ ალარ მესმის, რას ვჩადი...

— ბატონო, დამშვიდდით, ხვალაც მოასწრობთ ქალბატონის ნახვას... დღეს თავი დაანებეთ.

— დაიცა... მითხარ, მიამბე მაინც, რა მოხდა, რა მოუვიდათ.

— თითონ ქალბატონი გიამბობს, ხვალამდის მოითმინეთ. მიპასუხა მაშომ და გაიარა.

ის ისე მეუბნებოდა: «ხვალამდის მოითმინეო», თითქოს ხვალამდის ისე ცოტა ხანი იყო, თითქოს ხვალამდის დაცდა ისე ადვილად ასასრულებელი იყო!!... ღმერთო ჩემო! ხვალამდის, ხვალამდის მომეთმინა, როდესაც წუთები საუკუნოებად მიმაჩნდა, როდესაც წარმოუთქმელის ძალით გულს შეტყობა სურდა!...

მე გავბრუნდი იმ გადაწყვეტილებით, რომ, რადაც უნდა დამჯდომოდა, იმავ წუთს მენახა მარი, გამეგო იმის ამბავი და მეშველა, თუ შველა რითიმე შესაძლებელი იქნებოდა.

ის იყო კარები გავაღე და გასვლას ვაპირებდი, როდესაც პროფეირუშკა შემეფეთა კარებში და შეკდექ. იმის სახეს რალაცა უცნაური სიმწვანე დასდებოდა, წარბები შეჭკრილა და შუბლი შეკუმშოდა. პატარა მოკუნტული და ბოლოში გასიებული ცხვირი ჭარხალსავით გასწითლებოდა, ტუჩები გალურჯებოდა და აქეთ იქით კუნჭულებში ბნედა-მორეულ კაცსავით დორბლები გამოსჩენოდა. პატარა, შუაზედ გაყოფილი, ჩალრმავებული, წვეტი ნიკაპი ჩამოკარდნოდა და ძალზედ უცანცარებდა; თვალებს სიცოცხლე დაკარგათ და ერთს საგანს ვერარ დაჭკვირებოდენ, თმები აბურძგნოდა. პროფეირუშკა ძალზედ ქშინავდა.

მე გაშტერებით შევუურებდი მის არეულს და უსიამოვნო სახეს, რომელიც მღელვარებას დაეპრანჭა და უფრო უსიამოვნო შექნილიყო.

ის მომიახლოვდა, მომკიდა ხელი, მიმიყვანა სკამთან და დამსვა; მერე მიბრუნდა, მიკიდა კარებთან, გაალო, ნახა რომ არავინ იყო და საჩქაროდ მოკიდა ისევ ჩემთან და გვერდით მომიჯდა.

— შენ წასვლას აპირებდი.—დაიწყო იმან ხმის კამკალით. მე დაგაყენე... მაპატიე...

— რა მოგსვლიათ?

— ეგ ორივ ერთია... ნუღარა მკითხავ... მითხარ, გინდა წასვლა?

— დიახ, მინდა, მაგრამ....

— გინდა და წადი, წადი... ნუღარ დაიშლი! საჩქაროდ

დაიწყო იმან და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — მე მეგონა შენი მოსყიდვა შეიძლებოდა, მაგრამ პატიოსანი ყოფილხარ.

ამ მოულოდნელმა ქებამ გამაწითლა და პირში სიტყვა გამიწყვიტა.

მე ვიჯექ გაშტერებული, დაბნეული და ხმა ვერ ამოვიღე.

— მარი დაწყევლილია... მეც დაწყევლილი ვარ... შენ მაინც ნუღარ გაერევი ჩვენს საქმეში.

— ბიძა ჩემო, რად იტირებთ საქმეს, რატომ არ გაშორდებით.

— იმიტომ რომ, არ შეიძლიან. შეშინებით წამოიძახა იმან.

— ღმერთო ჩემო! მაშ ამ გვარი ცხოვრება გირჩევნიან? რა დაყინებაა?

— დაყინება არ არის...

— მაშ რა არის, თუ არ დაყინება?

— საყვარული. ძლიეს წარმოსთქვა იმან.

მე ყურებისა არა მჯერდა. ეს კაცი მარწმუნებდა, რომ მარი უყვარს და შეუბრალებლად კი სტანჯავდა.

— თქვენ ამბობთ, რომ მარი გიყვარსთ და საყვარლის მოსვენებისთვის თავ-მოყვარეობა მსხვერპლად ვერ მიგიცია?!... საოცარი საყვარულია! წარმოვსთქვი გაკვირვებით.

— მაგ გვარი მსხვერპლი, აღვილი გგონია... მარი რომ შენი ცოლი იყოს, დაუთმობდი ვისმე?

— თუ იმის ბედნიერებას ვერ შეეძლებდი, — წარმოვსთქვი მე და ხმა შემიწყდა, რადგანაც მარითლაც დასათმობლად ძნელი იყო.

— მითხარ, რაღად შესდექი? მაშურებდა ბრალეერ.

— გაგეგრებოდი. წარმოვსთქვი მე.

— მაშ არა გეკარებია, თორემ უიმისოდ სიცოცხლეს ვერ შესძლებდი.

— ეგ სხვა საგანია...

— როგორ სხვა?

— იქნება უიმისოდ ვერ მეცოცხლა.

— მაშ რას იქმოდი? აჩქარდა ბოროტვირ.

— ახლა არ ვიცი, ახლა ვერ გეტყვი...

— მაშ მე გეტყვი.

— მიბძანეთ.

— თავს მოიკლავდი.

— იქნება.

— იქნება კი არა, ნამდვილად. დამიმტკიცა იმან და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა:—დაიღ, შენ მაგითი ხარ ბედნიერი, რომ თავის მოკვლა მაინც შეგეძლო და მე... მე კი არ შემიძლიან, მეშინიან... დაითვარა ბროტვირმა ბირზედ ხელები და დაიწყო ქვითინი.

აქამდის ზიზღით აესებული გული, ისევ მომილბა, ისევ თვალ-წინ წარმოიდგა დავრდომილი, უსასითო კაცი, რომელიც საუკარულის მსხვერპლი შექმნილიყო, წვალობდა, აწუდებოდა აქეი იქით, რომ განთავისუფლებულიყო ამ მდგომარეობიდგან, მაგრამ გზას ვერ ბოულობდა, იზნიქებოდა და იკლაკნებოდა ამ გვარ მდგომარეობის სიმძიმის ქვეშ.

ჩემთვის აშკარა იყო, რომ ამ კაცს ეგრძნო თავის მდგომარეობა, ნათლად დაენახა თავისი მოვალეობა, ხედავდა თავის დანაშაულს, მაგრამ კერავერით ვერ შველოდა, რადგანაც სუსტი, უსასითო ქმნილება იყო..

მე ვუუურებდი იმის წვალებას, ჯოჯოხეთის ცეცხლს, რომელიც გულში აღრღოდა, ვხედავდი მთელს გენიას, რომელ-

ს

თლე და ამისთვის უნდა განვშორდეთ... წადი, სადაც გინდა, იცხოვრე, როგორც გინდა, ხარჯი ჩემს თავზედ მიმიღია, ოღონდაც ერთს რასმე გთხოვ, გეკვედრები... რაც ამ სახლში ნახე, იმაზედ ხმა არსად ამოიღო.

— გმადლობთ ზრუნვისთვის, შემწეობას არ ვსაჭიროებ... მოკლედ ვუპასუხე და დავუმატე:—რაც სხვა-და-სხვა ხმების გავრცელებას შეეხება, ეგ ჩვეულებად არა მაქვს... მაგის გარედ მარის სიყვარული და პატივისცემა საკმაო საბუთია, რომ ჩუმად ვიყო.

— შენ პატიოსანი კაცი ხარ, იმედი მაქვს შენზედ. გამომიშვირა ხელი პროფესორუშკამ.

— მაგ ქებისთვისაც გმადლობთ, ვუპასუხე მე და ისე გავბრუნდი თითქოს გამოშვერილი ხელი ვერ შევნიშნე.

— მაშ როდის წახვალ?

— წასვლით არ ვიცი, როდის წავალ და თქვენის სახლიდან კი ხვალვე გადავალ...

— ჩვენს ლაპარაკს... ცოტა მღელვარების შემდეგ დაიწყო ისევ პროფესორმა:—მარის არ შეატყობინებ?

— მაგის სიტყვას ვერ მოგცემთ. ვუპასუხე მე და გადაწყვეტით დავუმატე:—თუ მარიმ მკითხა რამე, სიმართლეს ვერ დავუმალავ.

— მაშ მარის ნახვას აპირებ? წყნარად და სიფთხილით მკითხა პროფესორმა.

— უეჭველად.

— რომ არ გენახა, ეჯობინებოდა. იდუმალებით წარმოსთქვა იმან.

— იქნება, მაგრამ უნახავი არ წავალ.

ჩამოვარდა ისევ მძიმე სიჩუმე, რომელიც ყოველთვისინ

უკეთესად მეტად გულს აწვრილებს. ეროვერ არ მიდიოდა, ეტყობოდა, რომ კიდევ რაღაცა ჭქონდა სათქმელი, მაგრამ ვერ გაებედა.

მე გულში ვნატრობდი, რომ მომშორებოდა ეს კაცი და რომელიმე ახალი უსიამოვნო ამბავი არ ეთქვა. მაგრამ ის ისევ იმ ადგილს იჯდა და მძიმედ ქშინავდა.

— მაშ არ იშლი მარის ნახვას?

— არა.

— რა მიზეზია?

— ის არის, რომ მარი მიყვარს და როდესაც საუკუნოთ უნდა მოვშორდე, არ მინდა უკანასკნელი მშვიდობა არ ვუთხრა.

— შენ გიყვარს, მაგრამ მარის არ უყვარხარ. გველსაკით გაისისინა მოხუცებულმა.

— რა უყო, თავს ხომ ძალად ვერ შევაყვარებ.

— შენ არა გჯერა და მე კი საბუთი ხელში მაქვს.

მე მოუთმენლად შევხედე ულმერთოს, რომელსაც ამ საღამოს წუნარ-წუნარად ჩემი მოწამეობა გადაეწყვიტა.

— გაჭვსთ და თქვენთვისვე შეინახეთ.

— ჩემთვის სასარგებლოა, რომ თქვენც გაიგოთ, თორემ განსაკუთრებით თქვენის მოსვენებისთვის მე არ ვზრუნავ. ეროვერი მართალი იყო, ის ჩემთვის არ იზრუნებდა. რა საბუთები უნდა ჭქონოდა, როდესაც დარწმუნებული ვიყავ, რომ მარის ვუყვარდი, რომ მარი ანგელოზი იყო, რომ მარი ტყუილს ვერ მოახერხებდა.

— დიახ, ჩემთვის სასარგებლოა, რომ გაიგოთ, მაგრამ თუ მარის ეტყვით, ვერ შეგატყობინებთ.

— მაშ ნუ მეტყვით, ნუ შემატყობინებთ ღვთის გულისთვის.

— მაშ ის გინდათ, რომ სტუუვდებოდეთ?.. არ გინდათ იცოდეთ, რომ ძარი მასსარად გიგდებდათ?

— ოო, გველო, გველო! ველარ გაკძელ და წამოგიძახე. შენ იცი, რომ უბედურებაში მარტო ის მამხნევებდა, რომ მარის უეკარკარ და უკანასკნელი ნუგეშიც გინდა წამართვა?... აბა მითხარ რა საბუთია.

— მარის არ ეტუკი?

— გაძლევ სიტუკას, რომ არ ვეტუკი.

— მაშ წაიკითხე. იმან უბიდგან ამოიღო ფოშტის ქაღალდი, რომელზედაც ორი მოღუღუნე მტრედი იყო დახატული და ერთი ადგილი მიჩვენა:

— წაიკითხე აი აქედგან.

მე ჩავხედე, პირველად ჩემი სახელი შევამჩნიე, დავკვირდი წერილს და შემდეგი სტრიქონები ეწერა.

...«ესლა აქ არის ერთი ჩემი ქმრის შორეული ნათესავი ლევან ...ძე, რომელიც ეს არის რუსეთიდგან დაბრუნებულა. იმას სიგიჟემდის შეუყვარდი და მეც ბევრს ვიცინი იმის განუწყვეტელს ოხვრაზედ... მაგრამ ღმერთმა უშველოს, დროს კიდევ ეგ მატარებინებს, თორემ ჩემი ქმრის ხელში აქამდის დაეჭლექებოდი»...

აქ კითხვა ველარ შევძელ, ხელები ჩამოვიცვივდა და მუხლმოეკრილსავით დავეშვი იმ სკამზედ, რომლიდგანაც ის იყო წამოვარდი.

მეტად მძიმე ზარი დამეცა, რომ იმ დროს მოაზრება კიდევ შემძლებოდა.

მე ვიჯექ გამოშტერებული, და განძრევის თავი ალარა მქონდა... ოთახი, სკამები, სტოლი, ყოველისფერი, რაც გარშემო მქონდა, ბრუნავდა და ტრიალებდა და ყურებს ხეიდი გაჭ-

ქონდა. რამდენს ხანს გაგძელდა ეს მდგომარეობა, მე ვერ გეტყვით მხოლოდ, როდესაც ბროფეირმა მკითხა:

— მარის კიდევ ნახავ?

მაშინ გულ-დაწყვეტით შეეხედე იმას და წყნარად ვუპასუხე:

— არა.

ცოტა ხანმაც გაიარა, წამოვდექ რაცრაცით, მიველ ჩემოდანთან და ბარგს ჩალაგება დავუწყე.

ბროფეირ თვალს არ მაშორებდა და მე წარმოუთქმელს სატანჯველს ვგრძნობდი იმის ცქერით.

— უბედური ხარ ლევან? წყნარად და თითქოს თანაგრძნობით მკითხა იმან.

— დამეხსენით. შეეგრთი იმის მოკარებაზედ და გავეშვებინე.

— რას აპირებ? ცოტა ხანს შემდეგ მკითხა იმან.

— წასვლას.

— როდის?

— ესლავ, ემ წუთას.

ეს სიტყვები ისეთის სიმტკიცით იყო ნათქვამი, რომ წინააღმდეგი ველარა გაბიბედა-რა.

— შენის მამულისას რაღას იტყვი?

— რა უნდა გითხრათ?.. აქამდინაც ვცხოვრებდი უმაგისოთ და ახლაც ვიცხოვრებ როგორმე.

— არა, რათა... რაღაცა უნდა ეთქვა ბროფეირს, მაგრამ გაგაწყვეტინე:

— დავანებოთ თავი მაგ უსიამოვნო ლაპარაკს!

— ხვალ ხომ კიდევ მნახავ?

— სრულიად მეტი იქნება... გთხოვთ, ახლა კი თავი დამანებოთ, საწერი მაქვს. მე მიველ საწერ სტოლთან. ბროფეი-

წამოდგა, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, შესდგა და მობრუნდა ჩემკენ. მე გულ-ხელ-დაკრეფილი ვუყურებდი იმის მოზნექილს წელს და დახრილს თავს, რომელიც წუნარად ალოდა, შემოძხედა, მაგრამ მაშინვე თავი ისევ დახარა და წუნარად გავიდა.

მარი მატუობდა, მარი მასხარად მიგდებდა! მეტად მწარე იყო ჩემთვის ეს თვიქრები, რომ მათი ალწერა შეეძლო.

თავი VI

მე იმავ ღამეს გადმოგელ ბროთვირუშკას სახლიდგან, მაგრამ უკანასკნელი შემთხვევა მეტად თავს-ზარ დამცემი იყო, რომ ჩემთვის შეუმჩნევლად გაარა, ჩავარდი ქვეშაგებად და ორი კვირის განმავლობაში თბილისის საავად-მყოფოში გრძნობა დაკარგული ვეგდე.

რადესაც ერთს დღეს თვალი გავახილე, ჩემს წინ ექიმი იდგა, რომელმაც სიამოვნებით გამიღიმა და მითხრა:

— მადლობა ღმერთს, რომ გამობრუნდი...

— განა ავად ვიყავ?

— შენ საცოცხლეზედ იმედი გადაწყვეტილი მქონდა... მაგრამ ცოტა ოლაპარაკე, მოსვენება გეჭიროებს, რომ სისხლი თავში არ აგიარდეს.

მე გავჩუმდი და დავფიქრდი. საშინელს სისუსტესა ვგრძნობდი, ყოველ განძრევაზედ თავს-ბრუ მეხვეოდა. ექიმი გავიდა და მე დავხუჭე თვალები, რადგანაც ის სუბუქი შუქი, რომელიც თვანჯრის მწვანე თვრდებიდამ შემოდიოდა, საკმარისად მაწუხებდა.

მე მოვაგონდა წარსული, რომელიც ჯერ დამსხვრეულ

ყურათებად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოიდგა, მერე გონებას მიიზიდავდა რომელიმე უფრო შესამჩნევი საგანი და ამ გვარად გაიზრდებოდა უმეტესობელს და თავის გარეგნობით შესანიშნავ მოგონებად.

მე ვგრძნობდი, რომ გული დამძიმებოდა, ყოველისფერს თავის დიდი დაესვა და შიგ მაგრა ჩაჭედილიყო. ვგრძნობდი, რომ ყოველი მასთან მიკარება გულს გმინვას დააწყებინებდა, აძგერებდა, მაგრამ უწინდებულად-კი არა, რაღაც მოტეხილად, ურუდ. ვგრძნობდი, რომ მარიმ თუმცა მაწყვეინა, დამამცირა, დამჩაგრა, მაგრამ სიყვარული მაინც არ მოამსუბუქოდა და ეს გრძნობა თუ უწინ მჩქებს ჩანჩქერად გადმოხეთქავდა, ეხლა შიგ გულში ბალღამად გუბდებოდა, ტრიალებდა, გასასვლელს გზას ველარ პოულობდა... ბრუნავდა, ღელავდა, ქაფთებოდა და გრგვინვით აბრუნებდა თვით გულსაც, სისხლსაც და მთელ არსებასაც.

მე მწყურდა, მწყურდა მარიის ნახვა, როგორც დაკოდვილს, უპატრონოდ ველად დარჩენილს, რომელსაც სიცხე უშრობდა ტუჩებს და მოახლოებული სიკვდილი უდაგავდა გულ-მუცელს.

დიახ, მწყურდა მისი ნახვა, მწყურდა ისე ძლიერად, რომ დარწმუნებული ვიყავ, მის ნახვას ჩემი ფეხზედ წამოუყენებს შეეძლო, მაგრამ სად იყო?!...

დღეები მიდიოდა, მიზდეკდა ერთი მეორეს და გული უბრალო წადილით სუსტდებოდა. ექიმები მოსვენებას მირჩევდენ, თითქოს ეს ჩემ სურვილზედ ყოფილიყოს დამოკიდებული და ჩემსავე უნებურად გაჩენილის გრძნობის მბრძანებლობა შეძლებოდა.

ჩემი გამობრუნება გვიანდებოდა, თუმცა ახალ-გაზდობას

და მაგარ აგებულობას უნდა ხელი შეეწყო. სიკვდილს მაინც ამან გადამარჩინა, მაგრამ ჯანის დაბრუნებას და აღდგენას-კი მოუსვენარი მდგომარეობა უშლიდა. გაიარა რამდენიმე დღემ და კელარ გაკეძლო... მე მინდოდა მარის ამბის შეტყობა იქამდის ძრიელად, რომ სოფიოსაც-კი სიამოვნებით ვნახავდი, ბრიოფერუშკასაც-კი სიხარულით მივეგებებოდი. აშკარად ვგრძნობდი, რაგორ იწოდა გული, რაგორ წყნარ-წყნარად იფეთქებოდა, —მასთან ერთად ვგრძნობდი, რომ მეც ვაკლდებოდი ამ სოფელს, მასთან დამაკავშირებელი ძალა დუნდებოდა, ხანითდებოდა.

მე დავუძახე დედა-კაცს, რომელიც მიველიდა და შევეხვეწე, რომ ბრიოფერის სადგურში, სოფიოსთან წერილი მიეტანა და ისიც დამეაბულდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, რადესაც ბასუხად ჩემივე წერილი გაუხსნელი მომიგიდა და დედა-კაცმა მითხრა, რომ ვილაც «ბარიშნა» გამოვიდა, ეკითხა, ვისგან იყო წერილი და, რა თქვენი სახელი გაიგონა, უკანვე გადმოიგდოო.

დაწუვეტილი გული მეტად ნაწვალები იყო, მეტად ბევრი ვეტანა, რომ ამ შემთხვევას განსაკუთრებით რამე ეგრძნობინებინა. გულში მხოლოდ ერთს ადგილს ვიგრძენ რალაცა დუღილი, რომელმაც დამალოცა, დამადუნა: მომაგონდა ბრიოფერის სიტყვები, «შენი სამსახურში, შემწენი საკმაოდ გყავს» და ეს სიტყვები ხმა-მაღლად გავიმეორე:

შემწენი, ნათესავები, მყავდა. ბრიოფერი იმათ შემწეობას მიქადდა და აგვა, ამოდენა ხანს უპატრონოდ საკვადმყოფოში ვიყოფდი, და ერთს კაცს, ერთს სულიელს თავში არ მოსვლოდა დავრდომილისთვის მოწყალებად თავი მოეკლო!... ღმერთო, ნეტავი ვიცოდე, ვისაც ამ გვარი წუთები არ გამოუვლია,

შეუძლიან დაასვასოს ამ დროს, რად ღირდა მეგობრული სული, სანუგეშო სიტყვა!?—არა, არ შეუძლიანთ და მოამეტებული წილი კიდეც იმიტომ არიან ასე გულ-მაგარნი, ასე შეუბრალებელნი.

გული ღელავდა, გმინავდა, უცრემლოდ ტირიდა და ქვითინებდა და, ერთი, ერთი სულდგმული არ მოიძებნებოდა, რომ მისთვის ბანი მიეცა, რომ მისთვის თანა-ეგრძნო...

სალხი იცინოდა, მხიარულობდა, თვით იქ-მყოფი ავადმყოფებიც-კი პოულობდნენ სახარხარო მასალას და მე?. . . მე გამოკლებული ვიყავ ამ საერთო მოძრაობას, საერთო მხიარულებას.

ესე ეოფილა დაობლებული გულის მდგომარეობა, ესეა მისი ილბალი, ვიძახდი მე და ველოდი, როდის მელირსებოდა საავადმყოფოდგან გამოსვლა, რომ გადავკარგულიყავ შორს, შორს, სადაც ვერც აქაური ხმა მომწვდენოდა, ვერც აქაური ლრუბელი დამენახა. მაგრამ სად, სად წავსულიყავ, მე თითონაც არ ვიცოდი....

ა. მოჩხუბარიძე.

(დასასრული შემდეგ)

მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი

ქართველის სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში.

მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი იმ მოღვაწეთა გუნდს ეკუთვნის, რომელთაც თავდ-საჩინო შრომა იტვირთეს სწავლა-განათლების გავრცელებისთვის ჩვენს ქვეყანაში წარსულს მეთვრამეტე საუკუნეში და რომელთა სახელიც უნდა ახსოვდეს ჩვენს ერს.—იოსებ სამებელი უმთავრესი პირია იმ განათლებულ სამღვდელოებისა, რომელიც გარშემორტყა სწავლის მოყვარე მეფე ვახტანგს რუსეთში. სამებელის ზედამხედველობით და შრომით დაარსდა სტამბა რუსეთში და პირველად აღიბეჭდა 1743 წ. დაბადების წიგნი, რომელიც მან დიდის შრომით შეასწორა და შეუთანხმა ებრაულ, სირიულ, ბერძნულ და სლავიანურ ტექსტს. მისივე შრომით დაიბეჭდა თითქმის ძველ საეკლესიო წიგნები და სხვა სალვთის-მეტყველო და საერო წიგნებიცა. სამებელი ეწეოდა ამ საქვეყნო საქმეს არა მარტო შრომითა: მან მოახმარა მას თითქმის ყოველი თავისი ქონებაც. ჩვენმა მწერლობამ თითქმის არა იცის-რა ამ განათლებულ და თავდ-საჩინო პირზე და მის მოღვაწეობაზედ და თვით საინტერესო ისტორია ბეჭდვის საქმისა საბნელოით მოცულია განათლების მძებნელ ქართველთ საზოგადოებისათვის, და საკურველია, რომ ეს წუვდიადი, რომელიც გვითვარავს ჩვენ წარჩი-

ნებულის ჩვენის წარსულის უწარჩინებულეს მოღვაწეთა, რაოდენიმედ მაინც განიბნეოდეს.

იოსებ სამებელი იყო შთამომავლობით თავადთაგანი, გვარად ქობულოვი. მისი მამა თამაზი ყოფილა გავლენიანი კაცი კახეთში. მას ჭბარებია თანამდებობა «კახთ მდივან მწიგნობართ უხუცესობისა», რაგორც მოხსენებულია იოსების თავლინობით დაბეჭდილს ზაპიკის წიგნში. მას ჭყოლია რუსეთში ძმის-წული თავადი ავთანდილ (იგივე ათანასე) ქობულოვი, ანუ ხვაბულოვი ქართველთა გუსარის პოლკის სეგუნდ მაიორი [1]), რომელმაც ითხოვა დარჩენილი ქონება იოსებ სამებელისა, შემდეგ მისის სიკვდილისა [2]) და მოანაზონი ეფეთიძე, რომელიც თავისთან ჭყვანდა რუსეთში, [3]) აგრეთვე ღვიძლი და თინათინი იგუმენი და ორი ქალი ძმის-წული. სად, რომელ მონასტერში ან სასწავლებელში მიიღო იოსებმან განათლება, ჩვენ არ ვიცით ნამდვილად; მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს ჩვენ ვხედავთ მას შიომღვიმის მონასტერში, სადაც მას უჭირავს სა-

---

[1]) ცნობანი ქართველთა გუსარის პოლკზე იხ. ჟურნალი «ივერია» 1882 წ. № 2, სტატია «დავით გურამიშვილი და მისი დრო» (წერილი მესამე.)

[2]) Арх. Св. Сѵнода, Дѣло 1749 г. № 247; Слич. Полное собр. Зак. Росс. Имп., т. X., № 7545 и 7560. ამ ავთანდილ გურგენის-ძე ქობულოვს ცოლად შეურთავს რუსეთში ვახტანგ მეფის შტალმეისტერის ზურაბ რატიშვილის ცოლი, რომელსაც ჰყოლია უკვე ორი შვილი. (П. С. З. № 7560).

[3]) წარწერა: «ეს წიგნი ჩემის ძმისწულის ავთანდილისათვის მიანდერძებია. ნაშრომი ხელთა მისთა არის. ამ წიგნზე მაკავ[illegible] თ[illegible]ი-დგან სულ მისი დაწერილია, ჭირნახულია მისი. ქრისტეს აქეთ ჩღმგ (1743 წ.) იანვარს კვ (26). სამებელი იოსებ (ხელ-ჩართულად).

ვსტიო ადგილი ამ განთქმულის მონასტრის წინამძღვრისა. მონასტერს განაგებდა იოსები შემდეგ მელქისედეკისა (ისილე სია შიომღვიმის წინამძღვართა въ опис. Шіомгвимск. мон. Плат. Іоселіани, изд. 1845 г., გვერ. 56.)

იოსები ეკურთხა სამებელის კათედრაზე საქართველოში, მაგრამ თვით იოსების კურთხევის დროის შესახებ წინა-უკმოცნობები გვაქვს. მეფე ვახტანგ თავის წერილ ჩვენებაში, რომელიც მან მისცა სინოდს 21 დეკემბერს 1732 წელს, ამბობს რომ იოსებ ეკურთხა საქართველოში ოცის წლის წინეთია, ე. ი. 1712 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც იგი მეფობდა საქართველოში[4]). მაგრამ მეორე შემდეგს ჩვენებაში (აპრილს 1733 წ.) იგივე ვახტანგ აცნობებს სინოდს, რომ იოსებ ეკურთხა 1705 წ.[5]) პატრიარქის დომენტის მიერ[6]); მესამე ცნობით იოსებ იქმნა

---

[4]) Арх. Св. Синода № 256, 1732 г.

[5]) ibidem.

[6]) საინტერესოა ამ პირის თავ-გადასავალი: დომენტი, ნამდვილი ძმა ვახტანგ მეფისა, ნამყოფი რუსეთში, ამორჩეულ და კურთხეულ იქმნა კათალიკოზად 170[illegible] წ.; შემდეგ იყო სპარსეთში (1707 წ.) და მოიტანა შაჰის უქაზი, რომლის ძალით ცნობილ იქმნა იგი თავად ეკლესიისა კახეთშიც.

კახეთის მეფეს იმამკულიხანს ეს არა სურდა. როდესაც ვახტანგი რუსეთში წავიდა, თათრებმა კათალიკოზობა მისცეს ბესარიონ ორბელიანს, (1724 წ.) დომენტი კეთილად მიღებულ იქმნა სტამბოლში პატრიარქის მიერ. მაგრამ ისაე ფაშის დაბეზღებით დატუსაღებულ იქმნა სულთანისგან ტენედოსის კუნძულზედ (1725 წ.), სადაც დაჰყო 12 წელი. 1739 წელს ისევ მიიღო ქათალიკოზობა შაჰ-ნადირის დროს, როდესაც განდევნილ იქმნა თათარი საქართველოდგან და განაგებდა ეკლესიასა 1741 წლამდის; ბესარიონ საეკლესიო კრების-მიერ იქმნა განდევნილ კათედრისაგან, რომელიც მან უკანონოდ დაიჭირა.

მთავარ ეპისკოპოსად სამებელისა 1709 წ. იმავე დომენტის მიერ. ჩვენის აზრით ეს ცნობანი ისე ურთიერთის წინააღმდეგნი არ არიან, როგორც პირველ შეხედვით კაცს ეგონება. იოსები ალბად, ეკურთხა ეპისკოპოსად დომენტისაგან 1705 წ. და 1709 წ. მიიღო სამებელის ეპარქია. პირველი ჩვენება ვახტანგისა, დამყარებული მხოლოდ მის მეხსიერებაზედ, არ არის ისე დასაჯერებელი.

იოსებს ეჭირა სამებელის კათედრა ეპისკოპოზის ხარისხით 1722 ან 1723 წლამდის. ამ წლებში მოხდა ის არევ-დარევა ვახტანგ მეფის წყალობით, რომლის შედეგი იყო ლეკთა, სპარსთა და ოსმალთა შემოსვლა საქართველოში. უმთავრესი მიზეზი ამ საშეუხარო ამბავისა ის იყო, რომ ვახტანგ მეფემ და რუსეთის იმპ. პეტრე დიდმან პირობა შეკრეს ერთმანეთთან, რომ შეერთებულის ძალით დაემხოთ სპარსეთი და დაეჭირათ კასპის ზღვის პირი. ვახტანგმა ომი აუტეხა სპარსეთს და ლეკებს, დაიპყრო განჯა და მისი არე-მარე. დაიჭირა შემახია, სადაც, პირობის ძალით, იმპ. პეტრეს ჯარი უნდა შემოერთებოდა მას. მაგრამ იმპერატორმა ისარგებლა ამ შემწეობით, აიღო დერბენტი და უკანვე დაბრუნდა რუსეთში. დარჩა ვახტანგი ატეხილ მტერთ შორის, რომელნიც განსაკუთრებით განრიხსდენ მასზედ მისთვის, რომ «დიდი (რუსის) სელმწიფე მოიყვანა.» სპარს-ლეკთა შემოუერთდენ ოსმალნი, რომელთაც დაიჭირეს საქართველო, ტახტზე დასვეს გამაჰმადიანებული ძმა მეფის ვახტანგისა იესე და დაემყარნენ ქართლში. ეს მოხდა 1723 წ. ვახტანგი იძულებულ იქმნა გაქცეულ იყო ოჯასობით რუსეთში (1724 წ.). ამ გვარად ვახტანგმა სამუდამოდ დაჰკარგა ქართლის ტახტი.

ამ არევ-დარევის დროს სამებელის ტაძარი და ეპარქია

აკლებულ იქმნა ოსმალთა და ლეკთაგან და იოსებმან დასტოვა თვისი ეპარქია [7]). დატოვებულ ეპარქიის მაგიერ იოსებს მისცეს წილკნის ეპარქია და მთავარ-ეპისკოპოსის ხარისხი იმავ (1722 ან 1723 წლებში, მაშინ, როდესაც ვახტანგი და მისი შვილი ბაქარი კიდევ საქართველოში იყვნენ [8]) და უეჭველად ამ უკანასკნელთ ბრძანებით.

თუმცა იოსები ყოველგან ხელს აწერს სამებლის არქიეპისკოპოსად, მაგრამ, უეჭველია, რომ სამებელის ეპარქიას იგი განაგებდა ეპისკოპოსის და არა არქიეპისკოპოსის ხარისხით. არქიეპისკოპოსობა მან მიიღო მხოლოდ მაშინ, როდესაც აღიდგა წილკნის საარქიეპისკოპოსო კათედრაზე 1722 ან 1723 წელს *). ეს ცხადათა სჩანს თვით იოსების ჩვენებისგან, რომელიც მან მისცა სინოდს 1733 წელს, სადაც ამბობს, რომ რაც არქიეპისკოპოსად ეკურთხა იგი, მას შემდეგ გავიდა 11 წელი [9]). ეგრევე მოწმობს თვით ვახტანგი. [10]) საკვირველია

---

[7]) Арх. Св Сѵнода № 256, 1732 г. და იქვე იხილე ჩვენება ვახტანგისა.

[8]) ibid.

*) მეფე ერეკლე მეორეს დროს წილკნელის კათედრა ეჭირა ქრისტეფორეს მიტროპოლიტის ხარისხით.

[9]) ibidem.

[10]) ibid იხ. ჩვენება ვახტანგის 19 სექტემბრიდგან 1733 წ. ეს ცხადია აგრეთვე იმ საქმიდგან, რომელიც აღიძრა, როდესაც იოსები რუსეთში მივიდა იმაზე—ფილონით შეიმოსოს იგი, თუ საკოსით. რადგან ეს საქმე არ არის ინტერესს მოკლებული ჩვენის ეკლესიის ისტორიის მოყვარეთათვის და შეამსებს ბიოგრაფიულს ცნობებს ხსენებულს არქიეპისკოპოსზე, ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ, გადრმოვსცეთ მოკლედ ეს საქმე.—წარსულ საუკუნეში ეპისკოპოსები ჩვენს ქუყანაში (და თვით

მხოლოდ ის, რის გამო უწოდებს იოსებ თავისთავს სამებელ არქიეპისკოპოსად და არა წილკნელად. წილკნელი კათედრა სამებელისაზედ მაღლა იდგა დიდებით და პატივით. ჩვენ შეგვიძლია ეს საქმეული სამებელისა ავხსნად მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ წილკნელი არქიეპისკოპოსი ალბათ ცოცხალი იყო იმ დროს, როდესაც სამებელმა დაიწერა ეს უკანასკნელი კათედრა და უსაფუძვლო არ იქმნება ვიფიქროთ, რომ წილკნელი არქიეპისკოპოსი ერია იმ სამღვდელო კრებულში, (ამ კრე-

---

რესეთშიაც) ფილონით იმოსებოდნენ და არა საკოსით; ამ უკანასკნელი სამკაულით იმოსებოდნენ მხოლოდ არქიეპისკოპოსნი, მიტროპოლიტნი და კათალიკოზნი. როდესაც 1732 წ. სამებელი მოსკოვში მივიდა ვახტანგის სახლში და მიიღო სინოდისაგან ნება-რთვა წირვისა, იგი იმოსებოდა ხან ფილონით და ხან საკოსით. როდესაც სამებელმა სთხოვა სინოდს სამსახურის ადგილი, სინოდში აღძრეს კითხვა, ფილონით შეიმოსოს იგი წირვის დროს თუ საკოსით. სამებელმა ითხოვა მიტრა და საკოსი; რადგან არქიეპისკოპოსობის ხარისხი მაქვსო და საქართველოშიაც საკოსში ვსწირავდიო. მაგრამ როდესაც დაეკითხნენ რომანოზ სამთავისის და გორის მიტროპოლიტს, რომელიც მაშინ პეტერბურგში იყო, უკანასკნელმან აჩვენა, რომ სამებელი საქართველოში სწირავდა ფილონშიო. მაშინ სინოდმან უკან მოსთხოვა სამებელს ორი საკოსი, რომელიც მან მიიღო. სამებელმან იმოწმა ვახტანგ მეფე, რომელსაც სინოდმა გაუგზავნა თავის სეკრეტარი დასაკითხველად. ვახტანგ მან გაუგზავნა წერილობითი ჩვენება, რომ იოსები სანამდის იყო სამებელის ეპისკოპოსად სწირავდა ფილონშიო, ხოლო როცა იქმნა წილკნელ მთავარ-ეპისკოპოსად, შეიმკობოდა იგი საკოსითა და მიტრითაო. მიტროპოლიტი რომანოზის წინააღმდეგი ჩვენება აიხსნება მხოლოდ მით რომ სამებელნი, როგორც ეპისკოპოსნი, მართლა ფილონით სწირავდნენ საქართველოში; მაგრამ იოსები, თუმცა იწოდებოდა სამებელად, გარნა ნამდვილ კი ის იყო მთავარ-ეპისკოპოსი წილკნელი და არა სამებელი.

ბაში იყვნენ ეპისკოპოსნი) *), რომელიც თან გაჰყვა ვახტანგს რუსეთში, ან შემდეგ გარდავიდა მასთან. თუ აგრეა, მაშინ აღვილად გასაგებია, რომ იოსები პატრიარქისთვის ვერ მიითვისებდა წოდებულ არქიეპისკოპოზის ტიტულსა მაშინ, როდესაც უკანასკნელი ცოცხალი იყო, განსაკუთრებით, თუ ისიც რუსეთში იმყოფებოდა მაშინ.

წოდებულის კათედრას იოსებ განაგებდა 1729 ან 1730 წლამდის. ამ დროს ოსმალებმან იქა მეფის სიკვდილის შემდეგ მოკლეს ზაკვით კახეთის მეფე კოსტანტინე (მამადყულიხანი) და ალაზრეს ქართლ კახეთი. ამ ანეკ დანეკის დროს განსაკუთრებით დაზიანდა მუხრანი და მისი ანე-მანე, და წოდებულის ეპარქიას დიდი ზარალი მიეცა. მცხოვრებნი ბევრნი ტყვედ იქმნენ წაყვანილნი, ზოგნი იძალებოდნენ სხვა-და-სხვა ქართლის კუთხეებში. ამ დროს იოსებ სამებელიც იძულებულ იქმნა დაეტოვებინა თვისი სამწყსო ალტყვენილი და განიზრახა რუსეთში წასვლა.

მიზეზი ამ განზრახვისა იყო მოწყალების შეგროვება რუსეთში დაზიანებულ ეკლესიების და მონასტრების განახლებისათვის. იოსებმან მიიღო კათოლიკოზის ბესარიონისაგან ნებართვა და კურთხევითი გრამატა მოწყალების შეკრებისათვის [11]) და გაემგზავრა რუსეთს 1731 წელს. რუსეთში მას ეგულებოდა მეფე ვახტანგი და მისი გვარეულობა, რომელსაც გული შე-

---

*) მიტროპოლიტი სამთავროისა ქრისტეფორე გარდაიცვალა მოსკოვს 1732 წელს, 28 ივლისს) თფილელი მიტროპოლიტი ჰაკლე (თავადთაგანი), რუისელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი (თავადი), მანგლელი ეპისკოპოსი არსენი (თავადი), ეპისკოპოსი იონა, ურბნისელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი (აზნაურთაგანი) (Арх. Сѵнод. 1725 г. № 192.

[11]) Арх. Сѵнода 1732 г. № 256.

სტკიოდა ქართლის ბედზედ და მრავალი ეპისკოპოსნი, და სხვა სამღვდელო და საერო პირნი ქართლიდგან წარსულნი, რომელნიც, უეჭველია, შემწეობას მისცემდენ იოსებს მისის გულის წადილის განსახორციელებლად.

რუსეთში წარსულს იოსებს მიჰყვებოდა დიდ ძალი ამალა 33 კაცისაგან შემდგარი. [12]) ამ ამალით ის წავიდა, ვგონებ, დარიალის გზით. *) გზაზედ მას შეემთხვა უბედურობა, და-

---

[12]) ibid. Дѣло 1734 г. № 302

*) თითქმის ამავე დროს ან ცოტათი შემდეგ და ამავე მიზეზისაგამო გარდავიდა მიტროპოლიტი სამთავროსა და გორისა რომანოზი, გვარით არაგვის ერისთავთაგანი (გიორგის-ძე), ნათესავი ვახტანგ მეფისა (ბაქარის ცოლი ანნა იყო მკვიდრი და მისი). ამ პირს შესაძჩნევი გავლენა ჰქონდა თანამედროვე ისტორიულ ცხოვრებაზედ. მას ჰქონდა ხშირი მისვლა-მოსვლა საქართველოს და რუსეთს შუა და, ვგონებ, იყო ვახტანგ მეჯის პოლიტიკური აგენტი. პირველად ის ერთად ეკორ ოთარისძე ერისთავთან (ვეზირი ვახტანგისა) 6 კაცითა გაიგზავნა რუსეთში 1722 წ. არხიმანდრიტის ხარისხით იმპერატორ პეტრე დიდთან, რომელმაც გაუჩინა მას ჯამაგირი თვეში 30 მანათი და საზრდოსა დგომი ნათლის მცემლის მონასტერში (მოსკოვს) (Арх. Св. Сѵнода, 1732 წ. № 256). შემდეგ, 1726 წ. ვახტანგმა, (რომელიც მაშინ რუსეთში იყო) უკანვე გაგზავნა საქართველოში «რაისამე საქმისათვის» და სექტემბერს 30, 1729 წ. ისევ დაბრუნდა რუსეთში; 1830 წ. მაისში ისევ გაგზავნილ იქმნა საქართველოში; ბესარიონ კათალიკოზმან აკურთხა იგი მროვეკლი მიტროპოლიტად 1731 წ. თებერვალში და ამა ხარისხით ისევ დაბრუნდა რუსეთში 1732 წ და მისცეს საზრდო და ჯამაგირი. 1738 წ ისევ ითხოვა საქართველოში დაბრუნება, რადგან შანშე ერისთავმან ამოსწევიტა მრთელი ჩემი გვარეულობაო. და 1741 წ. ისევ დაბრუნდა რუსეთში და მოიტანა გრამოტები იმერეთის კათალიკოზის გრიგორისა და ქართლის ქათალიკოსის დიმენტისა. საცხოვრებელად დაუნიშნეს სერგის ლავრა. შემდეგ ითხოვა და გარდაიყვანეს მოსკოვს (Арх. Сѵнод. 1737 г. № 232) შემდეგი ცხოვრება მისი მიფარულია.)

რიალის კარი რომ გაიარა, დაეცნენ ჩეჩნელ-ლეკები, გასცარცვეს, კაცები დაუხოცეს, ან დაატყვევეს, ძმისწული კოხდრატი მოუკლეს და თვით ტყვედ იქმნა წაყვანილი. ჩვიდმეტი დღე ჰყვანდათ იგი ლეკებს ჯაჭვით დაბმული. რა გზითა ან როგორ, არ ვიცით, მაგრამ ამ ამბავმან მოსკოვსა და პეტერბურღს მალე მიაღწია. აქ მეფემ და ქართველობამ გულ-მტკივნეულობა გამოიჩინეს და იშუამდგომლეს მთავრობის წინაშე იოსების განთავისუფლებისთვის. ეს იყო მიზეზი, რომ იმავე 1731 წელს, დეკემბრის თვეს უცხო აქმეთა კოლეგიის მიერ ებრძანა გენერალ-მაიორს ერეპვინს, ჯვრის ციხის განმგეს (комендантъ крѣпости св. креста) დახსნა ტყვეობისაგან სამებელისა და მასთანა მყოფთა. ტყვეობიდგან გამოხსნილი იოსები მივიდა ჯვრის ციხეს, იქ დამარხა მოკლულის ძმისწულის გვამი და წავიდა მოსკოვს, რომელსაც მიაღწია 1732 წლის დამდეგს, და ვახტანგ მეფისაგან კარგად მიღებული ცოტას ხნით ცხოვრობდა ვორონეჟის მონასტერში (подворье). მასთან იყო მღვდელ-მონაზონი ევთიმე, ორი მღვდელი (ქრისტეფორე და გიორგი), ორი დიაკონი და ექვსი მოსამსახურე კაცი.

იმავე წელს სამებელმან სთხოვა რუსის მთავრობას ჯამაგირი და საზრდო-სადგომი, რომლითაც სარგებლობდა ყოველთვის ქართველი სამღვდელობა რუსეთში მყოფ ვახტანგ მეფის გარდასვლის შემდეგ. აქ საჭიროდ ვრაცხ მოვიხსენიო, რომ იმ სამღვდელო პირთა, რომელნიც გარდაჰყვნენ ვახტანგს 1724 წელს (რიცხვით 42-ს), სახელმწიფო საზინდამ დაენიშნათ საცხოვრებლად ჯამაგირი, სახლი, საზრდო მონასტრისა, ეპისკოპოსებს 150 მანათი წელიწადში და 5 ულუფა საზრდო-პურ-მარილი შესაფერი სახლ-სადგომით და შეშით, მო-

ნაზრახნთ უხუცესებთ 75 მანათი და 3 ულუფა, იგუმენებს 50 მანათი და 2 ულუფა, მღვდლებს, მრანაზრახებს, და მთავარ დიაკონებს 25 მანათი და თითო ულუფა. სულ ამ საგანზე მთავრობამ გადადგა 3000 მანათი ფული, გარდა სახლისა და საზრდოისა. ამ ფულიდგან ეძლოდათ ჯარმაგირი იმ ეპისკოპოსებს და სამღვდელო პირებს, რომელნიც მიდიოდენ რუსეთში შემდეგაცა, და ეს იყო მიზეზი, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ძალიან გახშირდა სამღვდელო პირთა რუსეთში გარდასვლა და ხშირად სამუდამოდ მათი მუნ დასახლება. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისა და საქართველოის პოლიტიკურ შეგავშირებისათვის. რუსეთში გადასულნი სამღვდელო პირნი ნებით თუ უნებლიეთ სდებოდენ მქადაგებელად იმ პოლიტიკურ მოსაზრებისა და ლტოლვილებისა, რომელიც ჰქონდა მთავრობას კავკასიის დაპყრობაზედ და ვახტანგ მეფის მემკვიდრეების დაკარგულის ქართლის ტახტის დაბრუნებაზედ.—

სამებელის თხოვნის აღსრულებას არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობა წინ, რადგან ამ დროს (1732 წ.) მოკვდა ერი ქართველი ეპისკოპოსი (მიტროპოლიტი სამთავრელი ქრისტიფორე და ნიკოლოზი) [13]) და მაშასადამე ჯარმაგირის ვაკანსია გახსნილი იყო. ვახტანგმან იშუამდგომლა სინოდის წინაშე, რომ მათი ჯარმაგირი მისცემოდა იოსებ სამებელს და ზემოხსენებულ მიტროპოლიტს რომანოზს. ჯარმაგირის გარდა სინოდმა ერთხელად მისცა სამებელს (თანხმად უკანასკნელის თხოვნისა) 300 მანათი ვალის გარდასახდელად [14]). 1733 წ.

---

[13]) Арх. Синод., дѣло 1734 г., № 300.

[14]) ibid. Дѣло 1734 г., за № 302

სამებელი იქმნა მიწვეული პეტერბურგში და დაინიშნა ნევსკის ლავრაში მღოცველ-მწირავად გარდაცვალებულის გერცოგინის მეკლემბურგ შვერინის საფლავზედ [15]) და შემდეგ წელში (1734 წ., 22 მაისს) იმპერატრიცის ანნა იოანეს ასულის ბრძანებით სამებელს მიენდო მაღალი ადგილი ნოვგოროდის მიტროპოლიტის გამოხენილის რუსთ იერარხის თეოფანე პროკოპოვიჩის თანაშემწისა (намѣстникъ) და საცხოვრებლად მიეცა წინამძღვრობა პირველ ხარისხოვანის იურიევის (ანუ წმინდა გიორგის) მონასტრისა, [16]) სადაც იგი საცხოვრობდა კიდეც. სინოდის უქაზის ძალით სამებელს შემდეგის ტიტულით იხსენიებდენ წირვა-ლოცვაში: «О преосвященнѣйшемъ Архіепископѣ Архимандритѣ нашемъ Іосифѣ», ხოლო ოფიციალურ მიწერ-მოწერაში იმავ უქაზის ძალით მოიხსენებდენ მას ესრეთ: ,,преосвященному Архіепископу Новгородскому, Юрьевскаго монастыря Архимандриту Іосифу''. [17])

მიიღო-რა მაღალი ხარისხი ნოვგოროდის მიტროპოლიტის თანაშემწისა, სამებელმან არ მისცა თავი განსვენებას. რადგან რუსის ეპარქიისთვის ენის უცოდინარობისა გამო ის არ რცხდა თავისთავს გამოსადეგად, მან ჯაბუკობრივი მხნეობით ხელი მიჰყო საქართველოს ეკლესიის საქმეს. იგი პირველად შეუდგა სტამბის გამართვას ქართულ წიგნების დასაბეჭდავით და ძალხმარა მას თავისი ცოდნა და ქონებაცა და უკანასკნელს

---

[15]) ibid. Дѣло 1734 г., за № 301.
[16]) ibid. Дѣло 1734 г., за № 303.
[17]) ibid.

ყაბარდოს თავის სიცოცხლისა (1750 წ.) მას არ მიუტოვებია ეს პატიოსანი საქვეყნო საქმე. თუმცა ლირს-სახსოვარი მეისტორიე ჩვენი პლ. იოსელიანი, რომელსაც მრავალი ლვაწლი მიუძღვის ჩვენ განათლებულს საზოგადოების წინაშე, მოიხსენიებს, ვითომ პირველი სტამბა მოსკოვში დაარსა მეოქე ვახტანგის ძემ ბაქარმანო 1740—1741 წწ. და ბუტკოვიც ემოწმება ამასა, მაგრამ ეჭვიც არ უნდა იყოს, რომ ეს საქმე ეკუთვნის სამებელსა, რომელიც სტამბის დაფუძნებას შეუდგა დაცილებით უფრო ადრე ბაქარზედ იმპერატრიცა ანნა იოანეს დროშ'ი, და როდესაც ბაქარი ჭეიქრობდა მხოლოდ სტამბის დაარსებაზედ და დაბადების წიგნის ბეჭდვაზედ, იესეს უკვე სტამბაც მოწყობილი ჭქონდა და რამდენიმე წიგნიც უკვე დაბეჭდილი. ეს ცხადათა სჩანს ერთის დიდის (873 გვ.) წიგნის (ზატიკის) ბოლო სიტყვაობიდგან, რომელიც გამოვიდა სამებელის სტამბიდგან, და რომელიც ჩვენ ვიპოვნეთ ზემო ნიქოზის ლვთაების ეკლესიაში. *) თუმცა ამ წიგნში არ არის მოხსენებული, როდის დაიბეჭდა (რადგან მას აკლია თავი) მაგრამ ნიქოზის ეპისკოპოზს იგი ჭქონია ხელში 1740 წელს, როგორც სჩანს ორის მისის ხელით ქმნილის წარწერილობისაგან წიგნის ფურცლებზე, და მაშასადამე წიგნი სტამბიდგან გამოსულა არა უგვიანეს 1739 წლისა და თვით სტამბა კი დაარსებულა უეჭველად რამდენიმე წლით უფრო ადრე. ეტყობა, რომ სამებელს ხელი მოუკიდნია სტამბის საქმისთვის იმ დროიდგანვე, რა დროსაც ის დაემკვიდრა ნოკგოროდის

*) ეკლესია ესე, ჩინებული ძეგლი კაცთ-ხელოვნებისა და მოწამე ძველის ჩვენის ცხოვრებისა, დაუდევნელობით ირღვევა ჩვენს თვალთა წინაშე, სამარცხვინოდ ჩვენ ულირსთა თანამედროეთა.

წმინდა გიორგის მონასტერში.

იუბილეის მონასტერში იოსებსა თანა ჩნდებია მღვდელ-მონაზონი ევთიმე, მკვიდრი ძმის შვილი და ვიღაც ქრისტეფორე გურამისშვილი, ხუცეს-მონაზონი, რომელიც იგი უწოდებს თავის-თავს იმავე ბოლოსიტყვაობაში. ეს ქრისტეფორე, რომელიც ეტყობა, მოჰყვა სამებელს საქართველოდგან. სინოდის არხივის დოკუმენტებში ის მოხსენებულია სან მღვდლად[18]) ხან ბერად.[19])

ეს უკანასკნელი ქრისტეფორე გურამიშვილი, რომელიც ეტყობა, იყო მარჯვენა ხელი სამებელისა სტამბის დაარსებაში და წიგნების გამოცემაში. ზემოხსენებული ზატიკის წიგნი გასწორებულია და დაბეჭდილი იმა ქრისტეფორესგან, თანაშეწევნით ვიღაცა გიორგი მღვდლისა ბატონის შვილის დარეჯანისა, მეფე არჩილის კარის მღვდლის ხუცეს-მონაზონის დავით ხოსაშვილისა და არხიმანდრიტის გერმანისაგან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პირნი ეხმარებოდნენ იოსებს დაბადების და სხვა საეკლესიო და საერო წიგნების გამოცემაშიაც, მაგრამ მათი სახელი მოხსენებულია მხოლოდ ზემო მოყვანილის ზატიკის წიგნის ბოლო სიტყვაობაში.

რადგან ეს უკანასკნელი ზატიკის წიგნი ფრიად იშვიათად მოიპოვება საქართველოში და ზემო მოხსენებული ბოლოსიტყვაობა საინტერესოა ბეჭდვის ისტორიის გამოკვლევისათვის, ჩვენ ვალად ვრაცხთ გადმოვსწეროთ იგი უმეტ-ნაკლებოდ. ანი თვით ეს ბოლოსიტყვაობა: «ოდეს იპყრობდა და განაგებდა კეთილად კეთილ მორწმუნე და მპყრობელი დიდი ხელმწიფე

---

[18]) Арх. Св. Синод. 1732 г., № 256.

[19]) ibid.

იმპერატორიცა სნნა იოანნესი, მას ჟამსა იგულსმოდგინა ყოვლად სანსტრელმან არქიეპისკოპოზმან, სრულიად ვლადუკისამან(?) და არქიმანდრიტმან იურვისამან (Юрьевскій), კახთმდივან მწიგნობართ უხუცესის ქობულოვის თამაზის ძემან სამებელმან იესებ და მიბძანა მე ყოვლად უღირსსა ბერს გურამიშვილს ხუცეს-მოანაზონს ქრისტეფორეს სტამბის გაკეთება, და გავაკეთებინე სტამბა დიდისა გულმოდგინებითა და წარგებითა სათვისისათა. მაშინ ხელვუყავ ძალითა ღვთისათა წმინდისა ამის ზატიკისა ბეჭვდად რუსულს ზატიკზედ უნაკლულოდ; რამეთუ თვრიად მეკეთა, ვინაიდგან განმშვენებულიყო ყოველითურთ საეკკლესიო რიგითა, ვითარცა ბერძნისა და რუსის საეკკლესიო წიგნები უცთომელად და უნაკლულოდ ერთი იყო. ვინათგან პირველად ჩვენს წმინდათ მთარგმნელთ კეთილად და უნაკლულოდ ეთარგმნათ, არამედ ჟამთა ვითარებისაგან მცირედი რაიმე დაკლებულიყო და არა ესრეთ ვრცლად იბოვებოდა და მე მცირედი რაიმე რუსის წიგნის გამოცხობა და ტიბიკონის მიხდომა ვიცოდი, ამისთვის სურვიელ ვიქმენ ამისა და მოვიღე ქართული ზატიკები და რუსის ზატიკსა და ტიბიკონს ვამოწმე და რომელი მუხლი სამწუხრო და საცისკრო რუსის ზატიკსა და ტიბიკონს ემოწმა და იქიდამ შევკრიბე და ასე ადვწერთ, და რომელიც ჩვენში დაკლებულ იყო, ის რუსის ზატიკიდამ გადმოვათარგმნინე ბატონისშვილის დარეჯანის კარის მღვდელს გიორგის და მისგან ნათარგმნს ხუცეს მოანაზონი ხოსაშვილი დავით დიდის გულსმოდგინებითა და გამოძიებით ჩვენს ენაზედ ასწორებდა და სიმართლეს ცდილობდა და საგალობელის საძიებისპირის წიგნწილს არქიმანდრიტი გერმანე სჩხრეკდა და ასწორებდა, და დაიბეჭდა სრულიად უნაკლულოდ რუსულს ზატიკზედ თვისის ტიბიკონით, რაც რომ ადგგო-

მიდამ ყოველთა წმინდათ კვირიაკემდინ ეკკლესიის განწესება-ნრის თვანიერ სამის დღის სვინაქსარისა და ორის საგალობელის შუა ზატიკისა და მეხუთის კვირის საცისკრო, ამისთვის რომელ ეს ორი საგალობელი ჩვენს მიდასპირზე ზოგი მეტი და ზოგი ნაკლები მოვიდა და ჩვენ ვერც მოუმატეთ და ვერც დავაკლეთ. სხვა სრულად უნაკლულოდ რუსულზედ აღიწერა. აწ ვინც ხელად მიიღოთ წიგნი ესე, ლოცვასა ყოფდეთ დღეთა სიგრძისათვის დიდის ხელმწიფის ანნა იოანნესის და ანქიეპისკოპოსის იოსებისათვის. ეგრეთვე ღვთის საყვარულისათვის, თუ რამ იმ ჩვენს ნაკეთებ წიგნში მრუდი და ცთომილი ნახოთ, ნუ გაწყენთ: თუ შეგვეტყო, არ ვიქმოდით, არამედ მშვიდობით მოგვიხსენებდეთ.»

ჩვენ შეგვიძლია ნამდვილ ვთქვათ, რომ ამ წიგნის დაბეჭდვით არ გათავებულა სამებელის და ხხვა ზემოხსენებულის ბერთა შრომა. მათ მიჰყვეს ხელი სხვა წიგნებსაც, ზოგი დაბეჭდეს და ბევრიც დასაბეჭდათ დაამზადეს. მაგრამ ჯერ არ ვიცით, რომელი წიგნები დაიბეჭდა ზემოხსენებულს სტამბაში. ჩვენ გვინახავს მხოლოდ ყამნი იმავე სტამბიდგან გამოსული სამებელის თარგნობით და უწმინდესის სინოდის შენდობით და გურთხევით; ამ ყამნსა აქვს წვრილი ხუცურის ასოებით დაბეჭდილი წინასიტყვაობა დამბეჭდავთა; აგრეთვე იმავე სტამბაში იოსების საფასით და შრომით დაიბეჭდა მარხვანი, ბარაკლიტონი, საბარები, რომელნიც ჩვენ გვინახავს სხვა-დასხვა ეკლესიებში, მაგრამ წელი გამოცემისა არ გვახსოვს, ხოლო ეს კი კარგად ვიცით, რომ ის წიგნები, (რომელნიც მოგვითხრობენ წინა და ბოლოსიტყვაობა მათი) დაბეჭდილ იქმნენ სამებელის მიერ იმავე იმპერატრიცის ანნა იოანნესის დროს, რომელიც გარდაიცვალა 17 ოქტომბერს 1740 წ., მა-

შესადმე 1735—1740 წლებ შუა, ე. ი. უფრო ადრე, ვინემ დაარსდებოდა ქართული სტამბა მოსკოვში, მეფეისშვილის ბაქარის სასახლეში 1740 წლის დასასრულს ანუ 1741 წლის დამდეგს, რომელშაც წიგნის ბეჭდვა იწყეს არა ადრე 1741 წლისა.

სამებლის სტამბამ ყურადღება მიიქცია მთელი სამღვდელო და საერო მოსკოვში მყოფთ ქართველთ საზოგადოებისა და განსაკუთრებით ვახტანგის მეფის ძის ბაქარისა, რომელთაც თანაგრძნობა გამოუჩინეს სტამბას. მოსკოვში, მეფის შვილის ოჯახობაში დაიბადა ძალი აზრი ქართული დაბადების წიგნის გამოცემაზედ.

თუმცა დაბადების წიგნი ძველადგანვე თარგმნილი იყო ჩვენს ენაზედ, *) მაგრამ ერთ წიგნად ძალიან იშვიათად მოი-

---

*) უეჭველია, რომ პირველად საღმთო წიგნები გადათარგმნილ იქმნენ მეხუთე საუკუნეში ასურულ ან ქალდეურ ენიგდან; პირველ მთარგმნელებად მოხსენებულია მხოლოდ ქართველნი, სტეფანე და დავით. მაგრამ დაბადების წიგნი ვგონებთ სრულიად გადმოთარგმნილ იქმნა მხოლოდ მეათე საუკუნეში ათონელთ მამათ ევთიმე და გიორგის მიერ, რომელთა განაახლეს და განაუმჯობესეს პირველთ მთარგმნელთა ნაშრომი, გარდამწერელთაგან გარუვნილი. შემდეგ საუკუნეებში სთარგმნიდენ საბა თუხარელი და ეფრემ. მათგან ნათარგმნი დაბადების წიგნი გავრცელებულ იყო საქართველოში, მაგრამ მეთუთხმეტე, მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში, როდესაც საბერძნეთი ოსმალთა დაამხეს და მით მოისპო უმთავრესი წყარო ჩვენის ერის განათლებისა და თვით საქათველო ნაწილ-ნაწილად დაიყო და დადგა დრო არევ-დარევისა და ქვეყნის ცარცვა-გლეჯისა ოსმალ-სპარსელებისაგან და თვით საქართველოს მთავართა და დიდებულთაგან ერთმანეთთან დაუცხრომელი ომიანობისა და შფოთისაგან, როდესაც ყურადღება ქართველთა წიგნისაგან მიქცეულ იქმნა ხრმალზედ, — საეკლესიო წიგნები იკარგებოდნენ, ისე

ბოგებოდა საქართველოში და მასთან გადმომწერალთაგან ხშირად განირეკნებოდა; ზოგი წიგნები ძველის აღთქმისა დაკარგულიც იყო სრულიად, ზოგნი არა სრულად თარგმნილი, მაგალითებრ წიგნი ისო ზირაქისა და მაკკაველთა. ფრიად საჭირო სჩნდა დაბადების წიგნის შემოწმება ნამდვილ დედანთა მიერ და რიგიანი მისი გამოცემა. ამ საჭიროებას ჩგრძნობდენ საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნეშივე და ჩფიქრობდენ სტამბის დაარსებაზედ უწარჩინებულესნი განათლებულნი პირნი, მაგრამ განუწყვეტელმან ომიანობამ სპარსელებთან (შაჰ აბასის დროს) და ოსმალებთან (რომელთაც დაიჭირეს მაშინ საქცხეთა, უმთავრესი ძარღვი ქართველთა ერობისა) და შინაურმა არევ-დარევამ ნება არ მისცეს მათ საერულეში მოეყვანათ თავისი განზრახვა. განსაკუთრებით ბევრსა შრომობდა ამ საგანზედ მეფე არჩილი. მან შეჰკრიბა სამღვთო წიგნები და რაც ვერ იპოვა, ათარგმნინა ხელ-ახლა და ზოგნი თვითცა თარგმნა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, ტახტისა დამკარგველი, იგი გარდავიდა რუსეთს და დაემკვიდრა მოსკოვში, მაგრამ საეკვდილმან უსწრო და ფუჭად ჩაუტარა მას თავისი ზრუნვა. უფრო ფაცხლად და ერთგულად მოჰკიდა ამ საქმეს ხელი განათლებულ ქართველისა მეფემან ვახტანგ ლეონის ძემან. იმავე განზრახვითა მან გასწია თვის საძეუფო ქალაქ თბილისში ქარ-

---

რომ ვერც ვახტანგ მე-ექვსემ, ვერ არჩილმან და ვერც ბაქარმა ვერ იშოვეს სრული დაბადების წიგნი. დაბადების წიგნი, გიორგის და ევთიმეს მიერ თარგმნილი მე-ათე საუკუნეში დიცული იყო მხოლოდ ათონის მონასტერში, საიდგანაც 1849 წ. გარდმოწერილ იქმნა ერთი პირი სიონის სობორის ბიბლიოთეკისათვის, ერთი მეგრელიის მთავრისათვის და ერთიც იმერეთის მიტროპოლიტის დავითისთვის. (Опис. древ. Тифл., П. Іоселіани, 1866 г., стр. 152—153).

თული სტამბა, მოიყვანა მესტამბე ვლახეთით, მოამზადა ყოველივე ნივთი და საბეჭდავი მასალა და კიდეც ხელი მიჰყო დაბადების დაბეჭდვას (1710 წ.) თუმცა ვახტანგის სტამბით მრავალი საეკლესიო და საერო წიგნებიც დაიბეჭდა ხუცურის და მხედრულის შრიფტით *) და დაბადების წიგნის ბეჭდვასაც ხელი მიჰყოს, მცირე ნაწილი დაბადებისა კიდეც დაიბეჭდა (ხუთი წიგნი მოსესი, მსაჯულთა, რუთისა და რამდენიმე ნაწილი საწინასწარმეტყველოისა), მაგრამ, (ვიტყვი თვით ბაქარის სიტყვებით) «არღარცა მას სცა ყამმან და დრომან ამოომან დაქცევადმან და დაუშთა მასცა ეგრეთვე შეუსრულებელად;» ისტო-

---

*) სხვა საერო წიგნებთ შორის მხედრულის შრიფტით დაიბეჭდა მეფე ვახტანგის სტამბაში უკვდავი ქმნილება რუსთაველისა—«ვეფხვისტყაოსანი». ჩვენამდე მოღწეულის ცნობებით ამ წიგნის დაბეჭვდამ დაჭბადა ცილობა მაშინდელი ქათალიკოსის დომენტი მე-სამის და ვახტანგის შორის და ამ ცილობამ ორად გაჰყო მაშინდელი საზოგადოება. ერთი ნაწილი, რომლის მოთავე იყო ასკეტური შეხედულობისა და წმინდის ცხოვრების მიმდევარი კათალიკოსი, უწოდდა ამ წიგნსა ჯოჯოხეთის კარად, განმხრწნელად ზნეობისა, თესლად უსჯულოებისა და თვით რუსთაველს—მქადაგებელად და მოციქულად ეშმაკისა; რობლისაგამო სდევნიდნენ დაბეჭდილს შოთას წიგნს, ხევდენ და სწვავდენ; მაგრამ მეორე, უმრავლესი ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც ეკუთვნოდა თითონ მეფე, წინააღმდეგ ამისა, ღირსეულად აფასებდა პოეტს და მისს ნაწერს და იმ ნაწილებს მის ნაწერისას, რომლებზედაც მოწინააღმდეგენი უთითებდნენ, ალეგორიულად ხსნიდენ.—ამავე სტამბაში დაიბეჭდა მხედრულათვე «ქმნულებათა ცნობა» ნახატებით და ფიგურებით; დაუჯდომელი და საქრისტიანო მოძღვრება — მხედრულადვე იმავ ვახტანგის სტამბაში ქაიხოსროს (ვახტანგის მაგიერ მმართველის) დროს; აგრეთვე დავითნი, სამოციქულო, სახარება და წინასწარმეტყველებანი ხუცურად; ამავე სტამბაში ხუცურად დაბეჭდილი ყამნი ინახება «წერაკითხვის

რიულის ბედის ჩარხმან გარდაგდო იგი რუსეთში, ტახტისა დამკარგველი და მუნვე დამარხა სამუდამოდ.

ვახტანგ მეფე გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წელს მარტში. თუმცა განათლების მოუვარე მეფემ ველარ მიაღწია გულის წადილსა და დაბადების წიგნის დაბეჭვდის ჭვაზრი სოფლავში ჩაიტანა, მაგრამ ეს წიგნი თითქმის მომზადებული იყო დასაბეჭდათ, სლავიანურ დაბადებასთან შეთანხმებული, რაც აკლდა ხელახლა გადმოთარგმნილი (სლავიანურითვე) და გასწორებული, თუმცა კი, როგორც დავინახავთ, ეს წიგნი მაინცარ იყო სრულად მომზადებული საბეჭდავად, მას კიდევ ბევრი აკლდა.—მოსკოვში მყოფი ქართველი სამღვდელოება დიდს თანაგრძნობას უწევდა ვახტანგის გულის წადილს, და როდე-

---

გამავრცელებელ საზოგადოების» წიგნთ საცავში; ყამნი არის კარგის მწვრილის ასოებით დაბეჭდილი ნახატებით მორთული. ყამნზე არის შემდეგი ზედ-წარწერა დაბეჭდილი, რომლისაგან ნახევარი ვერ ამოიკითხება: «აწ მეორედ... ენასა ზედა ი... მეფისა... გამგებელობისა.. მორწმუნის ბატონი... ბაქ(არ).. გაიმართა ხელითა მესტამბე. (გარ)სევან ეოფილი მღვდელი გაბრიელისათა: დასაბამიდგან აქ...ჯ.. კრისტეს აქეთ ჩდ.. განსრულდა ყამნი ესე თთვესა თებერვალსა კგ, ქნსა"... «მეორე წარწერა: «მცირე ამა ბეჭდავთაგან მესტამბე მხურვალისა გულით ვმუშაობ მოსამსახურე თქვენი გიორგი მხატვარი". გარდა მოხსენებული მესტამბე გაბრიელისა და მხატვარი გიორგისა, რომელთაც, ალბად, ეკუთვნიან ყამნი და სხვა წიგნები, გრავიურით გამოყვანილნი ნახატნი, ჩვენ ვიცით, რომ უმთავრეს მესტამბეთაგანი იყო კარის მღვდელ მოძღვარი მიხაილ და რამდენიმე ვლახეთით მოსულნი პირნი. მოხსენებული ყამნი დაბეჭდილა 1713 წ., მაგრამ სტამბა მოქმედობდა მრთელს დროს ვახტანგის მეფობის განმავალობაში. ეს სჩანს იქიდგან, რომ ჩვენ გვინახავს იმავე სტამბაში 1720 წ. დაბეჭდილი «კურთხევა ეკკლესიისა და ოდიკისა».

საც მცხოვანი მეფე მოსკოვიდან წავიდა და ასტრახანში იმყოფებოდა ავად-მყოფი, ამაკე სამღვდელოებამ, როგორც სჩანს, თვით იტვირთა დაბადების დაბეჭდვა 1736 წ. დამლევს, ანუ 1737 წლის დამდეგს ამა სამღვდელოებამ განიზრახა დაბადების და საზოგადოთ საეკლესიო წიგნების ბეჭდვა და ამ საქმის წარმართვა მიანდო იოსებ სამებელსა, რომელსაც თავისი სტამბა უკვე გამართული ჰქონდა იურიევის მონასტერში (ნოვგოროდის გუბერნია) და, როგორც ეტყობა, ამ მინდობილობის ძალით გამოიხმო იგი მოსკოვში, სადაც ჰფიქრობდენ სტამბის გამართვას. ამით აიხსნება, რომ იოსებ სამებელმა 1737 წლის დამდეგს (თებერვალს), როდესაც მეფე ვახტანგი კიდევ ცოცხალი იყო და იმყოფებოდა ასტრახანში, სთხოვა უწმ. სინოდს არზით, რომ ნება მიეცათ მოსკოვში წასვლისა «წიგნების საბეჭდავათ.» [20]) თუმცა სინოდი თანაუგრძნობდა ამ საქმეს, მაგრამ სამებელს მაინც ნება არ მიეცა მოსკოვში წასვლისა. მიზეზი ამისა იყო ის გარემება, რომ ნოვგოროდის მიტროპოლიტი, გამოჩენილი რუსეთის იერარხი თეოფანე პროკოპოვიჩი, რომლის ვიკარად იყო სამებელი, ამ დროს ცოცხალი არ იყო (ის მოკვდა 8 სექდ. 1736 წელს) და მის ადგილს ჯერ არავინ იყო დანიშნული; სამებელი მარტოდ მართავდა ეპარქიას. ამიტომ სინოდმა განაჩინა სამებელის არზაზედ: «შეიცვლოსო, სანამ არქიერი დაენიშნება ნოვგოროდსა.» [21]).

როდესაც მეფე ვახტანგი გარდაიცვალა და მისი შვილი ბაქარი მოსკოვს დაბრუნდა, ამ უკანასკნელმა ენერგიულად მოჭ-

---

[20]) Арх. Синод. за 1737 г., № 230.
[21]) ibid.

კიდა ხელი იმ კეთილ საქმეს, რომელიც მუდმივი გულის წადილი იყო განსვენებულის და განათლებულის მისის მამისა, რომლის ბედი ეხლა, თითქო ანდერძით, გარდაეცა მას. ბაქარმა განიზრახა დაბადების წიგნის დაბეჭდვის გარდა სხვა საეკლესიო წიგნების დაბეჭდვაცა, მაგრამ მას უნდოდა საბეჭდავთ საჭირო ხარჯი ეტვირთნა თვით რუსეთის მთავრობას და ამ განზრახვით 30 სექდ. 1737 წ. შეიტანა განცხადება უწმ. სინოდში. მეფის შვილი სთხოვდა სინოდს ნება-რთვას საეკლესიო და საძღვთო წერილის წიგნების დაბეჭდვისას სამეცნიერო აკადემიაში, და განუმარტებდა, რა დიდათ საჭიროებდა ეკლესია საქართველოსი ამ წიგნებში და სხვ. [22]) ამასთან ბაქარმან წარუდგინა სინოდს სია დასაბეჭდი წიგნებისა, რომელშიაც მოხსენებული იყო: საზარება, საძოცეიქუდო, დავითნი, ყამნი, ლოცვანი, გონდაკი, კურთხევანი, ტიბიკონი, სვინაქსარი, თთვენი (საღვთისაწყუდო), პარაკლიტონი, მარხვანი და ზატიკი (ამ სიაში დაბადების წიგნი არ ვიცით რის გამო არ არის მოხსენებული, თუმცა უეჭველია, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ამის დაბეჭდვის ნებაც დართულ იქმნა) [23]). სინოდმა ბაქარის თხოვნა კაბინეტს მინისტრებისას გარდასცა განსახილველად და ნება-დასართავად (ალბათ მისთვის, რომ ბაქარი თხოულობდა, რომ ის წიგნები დაბეჭდილიყვნენ საეკლესიო აკადემიაში და ზედ დაურთო შემდეგი თავისი აზრიც: «თუ მის უდიდებულესობის (ანნა იოანოვნის ასულის) უქაზით... მოხსენებული ქართული წიგნების ბეჭდვის ნება და-

---

[22]) Полное собраніе Законовъ Росс. Имп. томъ X, 1737 г., Указъ отъ 23 Октября, № 7411.

[23]) ibid.

რთულ იქმნება, საჭირო ჩამოერთვას მოხსენებულს მეფის შვილს ბაქარს ანუ უმთავრესსა ქართველთ (რუსეთში მყოფს) სამღვდელო პირთაგანსა ხელ-წერილი, რომ მოხსენებული (ქართული) საღმრთო წიგნები დაბეჭდილ იქმნენ სლავიანურ საეკლესიო წიგნთა თანა სრულის შეთანხმებით, რადგან ეს წიგნები მიღებულია მართლმადიდებელის აღმოსავლეთის ეკლესიის მიერ.» [24]).

მინისტრების კაბინეტმან, რომელმაც განიხილა ეს საქმე და სინოდის აზრიც, მოხსენებულ წიგნების დაბეჭვდაზედ ნება დართო და სინოდის აზრიც მოიწონა. (23 ოქტობმერს, 1737 წ.), მაგრამ თავის მხრით საჭიროდ დაინახა, შესაძოწმებლად დაბეჭდილ ქართულ წიგნებისა სლავიანურ წიგნებთან, მოეპოვებინათ მცოდნე პირნი ორივე ენისა. და ამისთვის მისწერეს სინოდსა, რომ მან შემდეგში ყოველგვარი ღონის-ძიება იხმაროს და გახსნას სასწავლებელი ქართულის ენის შესასწავლად, რომ «შემდეგში ამ ხალხისთვის საჭირო და სასუელიერო წიგნები მათ დედა-ენაზე დაიბეჭდოსო» [25]).

მაგრამ მინისტრების რეზოლიუციიდგან არა სჩანს, მთავრობამ თვით იკისრა იმ წიგნების გამოცემა საძეცნიერო აკადემიის სტამბაში, თუ მხოლოდ ბეჭვდაზე დართო ნება. ეს კი ვიცით ნამდვილად, რომ ქართული წიგნები დაიბეჭდა რუსეთში მყოფ ქართველთა საზოგადოების მეცადინეობით და საფასით. მაშასადამე მოხსენებულ კაბინეტმან მინისტრებისამან ანუ სრულიად უარი უთხრა ბაქარს მთავრობის დახმარებაზედ, ან თუ იმ რეზოლიუციის ძალით მთავრობამ თვითვე იკისრა ეს საქმე,

---

[24]) ibid.
[25]) ibid.

ეჯველია რაიმე შემდეგ გარემოებამ ისევ დაარღვია მთავრობის პირველი გარდაწყვეტილება. ეფრო მისაღებია აზრი, რომ მთავრობამ შემწეობაზედ უარი უთხრა ბაქარს. ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ეს საქმე თითქმის ოთხი-ხუთი წლით შეჩერდა. საჭირო იყო, საშუალება მოეპოვათ და სტამბა გაემართათ, გაწვრთნილი მესტამბე ეშოვნათ. საჭირო იყო ეგრეთვე რიგიანად შეესწორებინათ ჩვენი საეკლესიო წიგნები სხვა ორიგინალებთან და გასწორებინათ; ამას თხოულობდა, როგორც ვუჩვენეთ, თვით სინოდიცა.

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ბაქარი კიდევ იმედს არ ჭკარგავდა, რომ რუსის მთავრობა შეეწეოდა მოხსენებული წიგნების გამოცემას და ერთი თუ ორი წელი შუამდგომლობდა ამაზედ მთავრობასთან ამ საქმის გასარიგებლად და მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულიად იმედი დაჭკარგა მთავრობის დასმარებაზედ, მაშინ შეჭყარა რუსეთში მყოფი სამღვდელოება 1739 წ. ან 1740 წლის დამლევს და ჭკითხა მათ გასწორდეს თუ არა სამღვთო წიგნი და რომელთან შეთანხმებით. რა საშუალება მოუპოვონ დასაარსებელ ქართულ სტამბასა, ვის ჩაბარდეს გასწორება და სხ. კრებამ, როგორც სჩანს დაბადების წინა-სიტყვაობიდამ, რომელიც დაწერილია თვით ბაქარისაგან, დათანხმდა, რომ საბეჭდავი ქართული წიგნები გასწორებულ იქმნენ უკეთეს დედანებთან შეთანხმებით და ბეჭვდის საქმე ჩაბარა იმავე პირს, რომელიც იმავ სამღვდელოებამ გამოირჩია სამი წლის წინედ—მთავარ-ეპისკოპოსს იოსებ სამებელსა. ამ გვარად ეს მძიმე ტვირთი «განზრახვითა და ნებითა ყოველთა ჩვენთა სამღვდელოთა», როგორც იტყვის თვით ბაქარი, სამებელს დაედო.—კრებას საფუძველი ჭქონდა, რომ აირჩია ამ მძიმე საქმისთვის ეს პირი. იგი იყო გაწვრთილი სა-

ლმრთო წერილში, და ამასთანავე სტამბის საქმეც კარგად იცოდა. როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, მას სტამბა უკვე გამართული ჰქონდა ნოვგოროდში და რამდენიმე საეკლესიო წიგნები კიდეც დაიბეჭდა ამ სტამბაში; ამ მზა სტამბაში უნდა დაბეჭდილიყო მოხსენებული საეკლესიო წიგნები და თვით დაბადებაც.

ბაქარმან იმავე წელს (1740) აცნობა სინოდს კრების გარდაწყვეტილება და სთხოვა იოსებ სამებელის გარდაყვანა მოსკოვში; ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ სამებელი მართლა აქმნა გადაყვანილი, სინოდის უქაზით, მოსკოვში 1740 წ., ზნამენის მონასტერში, რომლის არქიმანდრიტად იგი ითვლებოდა სიკვდილამდის (1750 წ.) [26]).

მოსკოვში გადმოყვანილი იოსებ სამებელი დაემკვიდრა, ვგონებთ, თავის მონასტერში (знаменскій) და თან გადმოიტანა ნოვგოროდიდგან თვისი სტამბა და წამოიყვანა მესტამბეებიც. ამ უკანასკნელთაგანში დაბადების ბოლო სიტყვაობაში მოხსენებულია მხოლოდ ზემო-ნახსენები მღვდელ-მონაზონი ქრისტეფორე გურამიშვილი, რომელიც საქართველოდგან გადმოჰყვა ვახტანგ მეფეს და 1734 წლიდგან სამებელის კრებულში იმყოფებოდა ყოველთვის. როგორც მოვიხსენიეთ ეს ქრისტეფორე იყო მარჯვენა ხელი იოსებისა სტამბის გამართვაში და წიგნების ბეჭდვაში, ნოვგოროდში. ბაქარმა ისარგებლა იოსების სტამბითა დაბადების წიგნის დასაბეჭდავად; მაგრამ რადგან ამ სტამბაში უნდა დაბეჭდილიყო სრული დაბადება და სხვა მრავალი საეკლესიო წიგნები, საჭირო იყო, სტამბა უფრო რიგიანად გაეწყოთ, ვიდრე მანამდე იყო. ამისათვის საჭირო

---

26) Арх. Синод. Дѣло 1740 г.

შეიქნა მეტი საშუალება, კარგი ასოების მოჭრა და რიგიან მოხელეთა შოვნა. ბაქარმა ეს საქმე სრულიად მიანდო სამებელსა და ალბად ალმოუჩინა მას საშუალებაც; სტამბას მისცა ადგილი თავის სასახლეში, მოსკოვის ახლო - მეოთე სოფელ ვსესვიატკაში [27]) (Всесвятскъ), ანუ, როგორც ქართველნი უწოდებენ,—სკესენწკაში. სამებელმა ალბად შეამსო თავისიკე სტამბა და უფრო კარგად მოაწყო იგი ყოველიკე საჭირო ნიგთებითა და ამ გვარად გაიმართა ახალი განკარგებული სტამბა ზემოხსენებულს სოფელში, იმპ. ანნა იოანნოვნის გარდაცვალების შემდეგ, მაშასადამე, არა ადრე 1770 წლის დამლევისა. ეს ის სტამბაა, რომელსაც ბუტკოვი, იოსელიანი, და სხვანიც ბაქარის სტამბას უწოდებენ. რომ ეს სტამბა იგივე სამებელის სტამბაა, რომელშიაც დაიბეჭდა ზემოხსენებული წიგნები ნოვგოროდს, სჩანს იქიდგან, რომ ასოები და შრიფტი დაბადების წიგნისა, რომელიც ამ სტამბაში დაიბეჭდა, სრულიად ჰგავს სიდიდით და ლირსებითაც ნოვგოროდში გამოცემულ წიგნების ასოებსა და შრიფტს. მოხსენებული დაბადების წიგნის წინასიტყვაობაში მოუკანია: «აწ ნებითა ჩვენითა მიზეზ ექმნა სტამბისა ამის გამართვასა და გაკეთებასა არქიეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ფრიად დაშვრა განზრახვითა და ნებითა ყოველთა ჩვენთა სამღვდელოთა».

სტამბის მოხელედ იყვნენ: მოხსენებული ქრისტეფორე გურამიშვილი, რომელსაც თანა-შემწედ მისცეს კარის (ბაქარის) მღვდელნი ფილიპე*) და დავით (გვარით, ვგონებთ, იკანოვი);

---

[27]) Буткова. Матеріалъ для исторіи Кавказа, т. I стр. 504, примѣч. 4.

*) სინოდის არხივიდან 1753 წ., № 314 სჩანს, რომ ეს ფილიპე დაბადებული ქალაქ დერბარს 1703 წ. გვარად პეტრიაკი იმერე-

სტამბის ზედამხედველად და მეურნედ იყო დანიშნული ვახტანგ მეფის მდივანი მელქისედეკ (აბელისშვილი) კავკასიძე, რომელიც, ვგონებთ, იყო ეგრეთვე კორრექტორი. ყველაზედ კითვალი ეჭირა არქიეპისკოპოსს სამებელსა, რომელიც განაგებდა სტამბასა; ბეჭდვის საქმეებში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე მეფის შვილი ვახუშტი, რაგორც სჩანს მისი ბოლო-სიტყვაობიდამ (memento), რომლითაც თავდება ამ სტამბიდამ გამოსული დაბადების წიგნი.

თ. ჭორდანია

(დასასრული შემდეგ)

თიდამ, ყოფილა მოსკოვში მღვდლად იოსებ სამებელთან, 1744 წ. დაქვრივებულა; 1750 წ. გაჰყოლია ყიზლიარში სამებელს, რომლის სიკვდილის შემდეგ წასულა საქართველოში 1752 წ. შემდეგს წელს კურთხეულა ქათალიკოზის ანტონის მიერ არქიმანდრიტად; ქუთათელ ქათალიკოზს ბესარიონს მიუცია მისთვის არქიერობა ხოფისა, და როდესაც მისი ეპარქია თათრეს დაურბევიათ ისევ, რუსეთში წამოსულა გრამოტებითა: იმერეთის მეფის ალექსანდრესი, იმერეთის კათალიკოსის ბესარიონისა და აფხაზეთის ქათალიკოსის დომენტისითა. მისცეს საცხოვრებლად პეტროვის მონასტერი (მოსკოვში). გარდაიცვალა 1782 წ., რუსეთში. (Арх. Синод. 1782 г., № 257.)

სოფლისთვის თავ-დადებული.

ამბავი ციმბირის ცხოვრებიდგან.

(რუსულით).

თუ თქვენ გგონიათ, რომ ქვეყანაზედ მხოლოდ ერთი სიმართლეა,—კოუინის აზრით—ძლიერ სცდებით. მისის აზრით სიმართლე—ერთი კი არა—ორია და იგინი მუდამ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.

მართალია ეს აზრი თუ არა— ჩემი საქმე არ არის: მე უბრალო მომთხრობელი ვარ და რაც უნდა ვსთქვა, რაც გინდ ბევრი ვამტკიცო, რა ნაირი საბუთებიც უნდა მოვიყვანო ჩემის აზრის დასამტკიცებლად,—ბ. კოუინი მაინც თავისას არ დაიშლის და ჩემს წინააღმდეგ თავის პირადს გამოცდილებას წამოიყენებს ორის სიმართლის არსებობის დასამტკიცებლად.

აი სწორედ ამ «პირადს გამოცდილებაზედ» უნდა მოგითხრობთ თქვენ მკითხველნო.

იყო დრო, როდესაც კოუინსაც მხოლოდ ერთი სიმართლე ესწამდა, როგორც საზოგადოდ ყველას. იგი იმ დროს იყო მხიარული, ყოველთვის მოცინარი, თვალთაგან ნაპერწკალთ მეფრქვეველი და თმა მშვენიერად გადავარცხნილი; ასე რომ მასთან მიახლოების უმალ ყოველს ქალს ტანში ყრუანტელი დაუვლიდა ხოლმე. ამ გვარს ცხოვრებაში იყო კოუინი

უნივერსიტეტში და პირველ ხანებში ქალაქ ან...ში სამსახურის დროს. მაშინ კოჟინისათვის მხოლოდ ერთად-ერთი სამართლე არსებობდა და ეს სამართლე მდგომარეობდა მეცნიერებაში და თავის სამსახურის, ანუ მოვალეობის სვინიდისიანად აღსრულებაში. მან კარგად იცოდა, რომ ციმბირში ყოველი საქმე გულცრუებით და ხშირად უკულმართად მიჰყავდათ და მისი გულითადი სურვილი იყო ყოველისფერი გამოეაშკარავებინა, ყველა უკულმართობის მიზეზი «ფესვიანად» ამოეთხარა; ყველგან და ყოველთვის კეთილისათვის მიეცა გამარჯვება და ბოროტება დაეთრგუნა. მისი პატიოსანი და სიმართლით სავსე გული ჰფეთქავდა მკერდში ყველასათვის და ყველაზედ ნაკლებ კი თვითონ მისთვის, რადგანაც იგი თავისთავზედ მხოლოდ იმდენად ჰფიქრობდა, რომ თავის სიცოცხლე დაეცვა სხვის სასარგებლოდ.

«ახალი ცოცხი კარგად დაჰგვისო»; «დაასცადეთ ცოტას ხანს, ეგეც გაიხეხება და გული აუცრუვდება...» ამბობდენ გამოცდილი პირნი კოჟინზე, რადესაც ჰხედავდენ, რომ იგი ყოველთვის და ყველგან დაუყოვნებლივ თავ-გადაგლეჯილი მიეჩქარებოდა თავის მოვალეობის აღსასრულებლად. ხშირად ისე გაერთობოდა ხოლმე რომელიმე ავად-მყოფისას, გლეხებში, რომ ავიწყდებოდა სადილი, ვახშამი და ძილიც კი!...

მართლაც რამდენიმე ხნის შემდეგ კოჟინი გამოიცვალა და ცოტა არ იყოს, გულიც აიცრუა; მაგრამ მიტომ კი არა, რომ «მოსწყინდა» თავისი საქმე,—არა. მან იპოვა, აღმოაჩინა «მეორე სიმართლე...»

და ამ მეორე სიმართლის პოვნამ იგი ჩამოახმო, მკრთალი ფერი დაჰსდო, წელში მოღუნა, ნაღვლიანი და თითქმის ბოროტიც გაჰხადა; თმა ჩამოჰსცვივდა, თვალები დაუბუნდდენ

და ამიტომ ქალებისათვისაც ალარ იყო უწინდებურად სათაყვანებელი... იგი ერიდებოდა საზოგადოებას და მთელის დღეობით სახლში იყო დაკეტილი; ზოგნი კიდეც ამბობდენ, რომ ლოთობას მიჰყოლ ხელიო; მაგრამ ტყუილი გამოდგა ეს უკანასკნელი ხმა, რომელიც (ხმა) გაავრცელა წამლების შემზავებელ-გამსყიდველმა (აპთიქარმა), რომელსაც კოჟინმა დიდი ჯარიმა გარდაახდევინა წამლების ძვირად გასყიდვისათვის...

II

ზამთარი იყო საშინელი, თოვლიანი; ერთის კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ ჭრიდა „სივერკო" (ციმბირის ქარია, რომელიც ჩრდილოეთის ყინულების ზღვიდგან მოჰქრის) და გარეგან ისეთი საშინელი ყინვა იდგა, რომ სიცივე 40° (ორმოცი გრადუსამდე) მიაღწევდა. კოჟინი თავის საძეცადინოთახში იჯდა და გულ-მოდგინედ კითხულობდა გამოძმიებლისგან შედგენილს და წარმოგზავნილს ოქმს „ნაპოვნს, უსათუოდ გაყინულს კვამზე," რომლის გასაგრძელოდ იგი მეორე დილით აპირებდა წასვლასა. ოლქის მკურნალმა იცოდა რა კოჟინის დაუზარებლობა საქმეში, ხშირად მოიავადმყოფებდა ხოლმე თავსა და თავის საქმეს მას მიანდობდა. კოჟინიც ჩვეულებრივ ერთგულად ალასრულებდა მისდამი მინდობილს საქმესა.

— საკვირველია! ასე გადაწყვეტით რად იწერება: „უეჭველად გაყინულია!" გაიფიქრა კოჟინმა და იჯნეულად გაიქნია თავი.

იგი იმდენად იცნობდა ციმბირის ცხოვრებას, რომ ადვილად შეეძლო გაეგო საიდუმლო აზრი ყველა ამ გვარის „ქა-

ლალდების,» «არზების» და სხვათა, რომელნიც ხშირად არ ეთანხმებოდენ სიმართლესა. თვისი გამოცდილება და სხვა-და-სხვა გარემოება და შემთხვევანი თითქოს არწმუნებდენ მას, რომ ყველა ამ გვარი განცალკევებული მჯევრ-მეტყველება ყოველთვის უკულმა უნდა მიიღოს კაცმა, რომ ნამდვილს სიმართლეს მიაგნოსო. მან ერთხელ კიდევ გარდაიკითხა ქალალდი, შეკრიბა თვისი ყველა საჭირო იარაღები, ქალალდიანად პატარა ყუთში ჩაწყო და დაიწყო ჩაის სმა.

ვილამაც კარები დააკაკუნა.

— ხომ არ დაგიშლით? იკითხა ვილამაც ჩუმად, ხრიწიანის ხმით.

— არა, არა, შემოდით!

ფრთხილად შემოვიდა, თითქოს კატა თავგს ეპარებაო, გამომძიებელი, რომელიც ილიმებოდა მთელის თავის მელურის სახითა.

— ჩაის მიირთმევთ?

— გიასლებით! თქვენც მიირთმევთ?

— დიდის სიამოვნებით! და გამომძიებელი სიამოვნების ნიშნად ფეხის თითებზედ შედგა და ჭუსლებით იატაკზე დაბრაგუნა. მკურნალმა (კოჟინმა) დასხა ჩაი.—მაშ ხვალ დილით ადრე აპირებთ გამგზავრებას? იკითხა სტუმარმა, თითქოს უმიზნოდ, «სიტყვის მასალად» ლ ოთან ჩაის დაუწყო კოვზით რევა

— ინათებს თუ არა—მაშინვე... რაზედ იკითხეთ?

— არაფერი... ისე შემოვედ შესატყობად: ერთად არ ემგზავრებინება წასვლა. მეც განთიადისას ვაპირებ წასვლას.

— ბატონი ბრძანდები! რასაკვირველია, ერთად სჯობია, დაეთანხმა კოჟინი—მკურნალი:—შორს არის?

— ა—ა—ა—რა! ასე—ორმოცი ვერსტამდე იქნება, მეტი არა, გაუგრძელა სიტყვა გამომძიებელმა.

— ექვსი საათის განმავლობაში ხომ მივალთ? — იკითხა მკურნალმა.

— რა—ა—ა-საკვირველია, მივალთ!

— მაშ ძალიან კარგი, უმჯობესია თვალ-ნათლივ მივიდეთ, თორემ ეხლა დღე მოკლეა და გვიის გაჭრაც ძნელია, ჩუსთქვა მკურნალმა. გამოშძიებელმა როგორღაც დასამშვიდებლად გაიქნია ხელი.

— ეჰ, თქვე დალოცვილო! რა გაჭრა უნდა გვიმსა; ღმერთს გეფიცებით ტყუილი შრომა იქმნება! ისეც ბევრსა შრომობთ, თითქის მეცოდებით კიდეც.—გამოშძიებელმა გულ-შემატკივრობა გამოიხატა სახეზედ: ღმერთს გეფიცებით, მეცოდებით! ეჰ საქმე ცხადია—გაყინულა! გზაში გაყინულა! ხომ ხედავთ როგორი ყინვაა! და ეს სიტყვით ტერმომეტრზედ მიუთითა.

— «აუღია, აუწაპნია და ჩმალავს!» გაუელვა თავში კოყინს და კინალამ ხმა-მაღლივ არ წამოიძახა, რასაც გულში ზრახვიდა გამოშძიებელზე.

— ცარიელი წესია, ფოლმაა, განაგრძო გამოშძიებელმა. სოფელი ქურდი იყო! ვინ იცის იმაზედ რამდენმა საქმემ გაიარა ჩემს ხელში,—მოსვენება არა მქონდა მისგან! რამდენჯერ ციხეში იჯდა, მაგრამ... გამამტყუნებელის საბუთების უქონლობით... გამოშძიებელი მოიღრიცა და თითი გაატყლაშუნა. —გამოჩენილი ქურდია! არ გაგიგონია—სმირნოვი!...

— საფურობილის ლაზარეთში მუკანდა ერთი ვიღაც სმირნოვი, ჩუსთქვა მკურნალმა.

— სწორედ, სწორედ ის არის! შაგვრემანია, მალალ-მალალი. ბირველი ავაზაკია! დაუმატა გამოშძიებელმა.—დაიჭერდენ თუ არა საფურობილეში,—მაშინათვე მოჩუკებოდა ოხვრას: ოჩ, ოჩ... ლაზარეთშიო! იქიდგან კიდევ, გამამტყუნებელის საბუ-

თების უქონლობით განთავისუფლებდენ ხოლმე. ხომ იცით რაგორი სასამართლოებიცა გვაქვს ამ ჟამად... და გამომძიებელმა თვალით ანიშნა მკურნალსა.

— ნუ თუ ისეთი მოხერხებული იყო, რომ ვერაფერი გასამტყუნებელი საბუთი ვერ უპოვეს? ჰკითხა მკურნალმა.

— რას მიბძანებთ?—ოსტატია! ღმერთს გეფიცები ნამდვილი ოსტატია! ხელიდგან ცხენებს აცლიდა, მიჭყვანდა და კიდევ წმინდად, უდანაშაულოდ გამოდიოდა... შე-სა-ნიშ-ნა-ვი არამზადა იყო!.. მკურნალმა დაიძინა იმ აზრით, რომ გვამის გაკრა და გაჩხრეკა საღამოთხილით და დაკვირვებით მოესდინა...

III

გაუინულის «არტისტის» ანუ ოსტატი აკაზაკის გვამი იპოვეს მიყრუებულს ტყეში, პატარა მინდორზედ; მაგრამ გამომძიებელის განკარგულებით წინათვე გადმოიტანეს ახლო სოფელში და დასვენეს ერთის გლეხის სახლის ოთახში. სალამო მოტანებული იყო, როდესაც მკურნალი და გამომძიებელი მოვიდნენ აქ. კოუინი გულში ჩსწყევლიდა გამომძიებელს, რომელიც ხუთის საათის მაგიერ,—რვის ნახევარზედ-ღა გამოემგზავრა და გზაზედაც, ცხენების გამოცვლის დროს, დიდ-ხანს ემუსაიფებოდა გლეხებს, ვითომ და რაღაც «საქმეებზედ». ამასთან, ორმოცის ვერსტის მაგივრად ორმოც-და-ათზედაც მეტი გამოვიდა მანძილი ქალაქიდამ ამ სოფლამდინ.

— ძნელია დაბეჯითებით თქმა ამდენია, თუ ამდენი, იმართლებდა თავს გამომძიებელი: ეს ხომ თოსტის გზა არ არის სასოფლო საურმე შარა-გზაა და ვინ გაზომავდა ამას? ზოგი

ამდენს ამბობს, ზოგი იმდენს.

— მაგრამ ამ გვარი საქმის განმარტება სრულიადაც არ აგმაყოფილებდა კოჟინსა, რომელიც უფრო-და-უფრო რწმუნდებოდა გამომძიებელის ცბიერობაში, რომ მან განგებ მოიყვანა საქმე ისე, რომ ბინდამდინ არ მისულიყვნენ სოფელში, რომელსაც ადვილია შეცდომა.

ვიდრე გამომძიებელი საჭირო განკარგულებას მოახდენდა, მკურნალმა დაიწყო სიარული ბატარა ნათელს ოთახში, რომელშიაც ჩამოხდენ. კოჟინის გარდა, აქ იჯდა დაღვრემილი და ღრმად ჩაფიქრებული მასპინძელი, სული და მაგარის აგებულების სამოცის წლის მოხუცი, რომლის სახის გამომეტყველებაც ჭკუასა და შეუდრეკლობას ამტკიცებდა.

— შენია ეს თოფი, ბიძაკ? ჰკითხა უეცრად მკურნალმა, თვითასაც არ იცოდა კი რისთვის და მიუთითა ხელი კუთხეში მიუდებულს თოფზე.

— ჩემი გახლავთ! ერუდ მიუგო მოხუცმა. მკურნალს მოეჩვენა, ვითომ იგი შეკრთა და სახე შეეცვალა.

— შორს მიჰყავს ტყვია-სათვანტი?

— კარგა შორს მიჰყავს. ზარმაცად უპასუხა მოხუცმა და სახე-შეჭმუხვნილმა იჭვიანად დაუწყო თვალიერება მკურნალსა. მკურნალმა ამ გარემოებას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და თითქმის კიდეც დაავიწყდა ზემოხსენებული საუბარი, რომელსაც შევიდა მიცვალებულის ოთახში,—იქ უკვე დახვდენ ფერშალი, რამდენიმე გლეხი მოსახმარებლად, რომელნიც ტანთ ჭხდიდენ მიცვალებულსა. მკურნალმა ადვილად მოისაზრა, რომ ეს მიცვალებული საპყრობილის საავადმყოფოში როდესღაც მყოფი სმირნოვია.

— სწორედ ის არის, უთხრა მკურნალმა გამომძიებელს:—

მეცნობა! მე ვარჩენდი ამას სასვენდმოთვლაში...

— დიახ, დიახ! როგორღაც დამარწმუნებელის კილოთი წარმოსთქვა გამომძიებელმა.—უკელასგან ცნობილი ქურდია! ვინ იცის რამდენჯერ იყო დაჭერილი!

— ბევრის ცოდო ადევს კისერზედ. წაიდუდუნა ვალამაც.

— ბევრს აუტირა დედა! ამოოხვრით დაუმატა მეორემ.

მკურნალი თვალს ადევნებდა ტანისამოსის გახდის წესსა და, როდესაც სრულიად გაჩხადეს,—ჩკითხა ფერშალსა:

— აქვს რაიმე ნიშანი ტანზე?

— სრულიად არაფერი! მიუგო ფერშალმა.

— რას ბრძანებთ, რა ნიშნები უნდა ჩქონდეს!—ცხადია—გაუინულა! თიოქოს წყენით წარმოჩსთქვა გამომძიებელმა: საქურდლად მიდენილა, გზაზედ სიცივეს მოუსწორია და გაუყინავს. ქვეყნიერის სასჯელის მაგიერ—ზეციური მიუღია.—გლეხებმა მოწიწებით პირჯვარი გამოისახეს.

— მაშ არაფერი საეჭვო არა ყოფილა-რა ადგილზედ... არაფერი ნიშნები? ჩკითხა მკურნალმა გამომძიებელს.

— ნიშნებიო!? ერთი წერტილიც არა ყოფილა!.. თოვლში ეგდო და სხვა არაფერი...

გამომძიებელი თვანჯარასთან დაჯდა და მოემზადა ოქმის დასაწერად.

«წელიწადი»? უკარნახა გამომძიებელს მკურნალმა, რომელიც გულ-მოდგინებით სინჯავდა ცხედრის გვამს.—შეხედვით—ოც-და-ათზე მეტი უნდა იყოს, ჩა? მიუბრუნდა გლეხებს.

— დიახ, სწორედ მაგ ხნისა იქნებოდა. დაჩსთანხმდენ გლეხები.

— «ტანი»? (სიმაღლე) გაიგრძელა მკურნალმა კარნახობა.

ფერშალმა დაიწყო ზომვა ცხედრისა.

— «ორი ალაბი და შვიდი გოჯი!» დაიძახა მკურნალმა და გამოძძიებელმა ჩასწერა.

— ძალ-და-ძალ მოკლულის კაცის ნიშანი ხომ არა აქვს-რა? სთქვა საჩქაროდ გამოძძიებელმა და დაუბერა «არა»-ს დაწერვა.

— მოითმინეთ! დაიძახა მკურნალმა და დაუწყო სხეულს ხელით სინჯვა თავიდამ ფეხებამდინ.

— თითქოს არაფერი აქვს... აბა გადააბრუნეთ! უთხრა მან ფერშალსა.

ფერშალი იდგა მკურნალის პირ-და-პირ, მიცვალებულის მეორე მხარეს. მან ასწია თავისკენ მიცვალებულის სხეული და, გადააგლო რა ოდნავ თვალი, წარმოსთქვა—,,არაფერი აქვს!''

კოკინს თითქოს სრულიად დაეკარგა იმედი: იგი თვითონაც ჰფიქრობდა, რომ სმირნოვი მართლა გაყინულიყო და ამიტომ თავის მხრივ სხეული ცოტათი ასწია, თვალი გადააგლო ზურგის ერთს ნაწილს და, როგორც ფერშალმა ჰსთქვა,—მართლა ვერაფერი შეამჩია. გაუსინჯა თავი, კეფა, მაგრამ ეს ნაწილებიც მთელი აღმოუჩნდა.

— აი, ხომ ჩხედავთ, უეჭველად გაყინულია! მხიარულად წამოხტა გამოძძიებელი: ამას რაღა გაჭრა უნდა! უმჯობესია ამ ტყუილ-უბრალო კაი-კაგლახს თავი დავანებოთ და სახლში გავეშურეთ.

— მართლა და რაღა გაჭრა უნდა ამისთანა უეჭვო მკვდარსა. წაიდუდუნეს გლეხებმა პირჯვრის წერით.

— ცხადად ჩსჩანს გაყინულა! მოთქნარებით წაიბუტბუტა ფერშალმა.

— კოკინს თავის ეჭვები ხელახლად გაუცხოველდა, მაგრამ თანაც ფიქრობდა: მართლა და გაჭრა მხოლოდ ფორმალური

წესია. ოქმში შეიძლება ჩაიწეროს: გაკვსკერითო. ხომ ხშირად თავდება საქმე ამ რიგად.

— ძალიან გვიანდება... რიდის-ღა უნდა მიგიდეთ სახლში! ჩასთქვა თითქოს თავისთვის გამოძმიებელმა.

— რა?! გაკვირვებით და თან გაჯავრებით იკითხა მკურნალმა.

— ეჰ, არაფერი! და გამოძმიებელმა გაიქნია ხელი.

მკურნალის ეჭვებმა ახლა ისევ წინანდელი მიმართულება მიიღეს. იგი ხელახლად მიუახლოვდა მიცვალებულის გვამს; გაუსინჯა თვალები, გვერდები, გისერი—ყველაფერი მთლად ალმოჩნდა... ნამდვილად გაყინულა! გაუელვა თავში.

— აბა ბირქვე გადაბრუნეთ! უთხრა მან ფერშალს ისე, „სვინიდისის განსაწმენდად.“

ფერშალი გაწითლდა და ხელი არ გაანძრია.

— გადაბრუნეთ მეთქი, დაუყვირა მკურნალმა.

ფერშალმა ხელების განკალით ასწია გვამი და გადათვალიერების შემდეგ ჩასთქვა: არაფერი აქვსო!

— გადაბრუნეთ სრულებით! და თვით მკურნალმა ორივე ხელით ასწია და გადაბრუნა გვამი ბირქვე. თითქო ყველაფერი გარგად მიდიოდა.

გარედ დაბინდებული იყო და გამოძმიებელიც თანჯარას ჩამოჭყარებოდა.

— ოჰ, რა რიგად ბნელა! ჩამოდექით თანჯარიდამ, უთხრა მკურნალმა გამოძმიებელს, რომელიც უკმაყოფილოდ ჩამოცცალა თანჯარას.

— ყველაფერი მთლად აქვს, მართლა. ამბობდა ჩუმად კოქინი და თან ათვალიერებდა გვამსა:—ყველაფერი, მხოლოდ...

ფერშალი გაწითლდა და გამოძძიებელი წამოხტა და თითქოს უნებურად ჩამოეფარა ფანჯარას.

— მოძითმინეთ! დაიღრიალა მკურნალმა. —ჩამოდექით!... ეს რა არის? უჩვენა თითით ბეჭები, ხერხემალთან.

— მუწუკია დაწყლულებული! ერუდ, თრთოლვით უპასუხა ფერშალმა.

— რა, მუწუკი! მკურნალი დაიღუნა და გასინჯა თითით: მუწუკი კი არა ეშმაკები არ გინდა! ეს ხომ ჭრილობაა!! ყველას თავ-ზარი დაეცა. გლეხები მიაკუმშნენ კედელთან, გამოძძიებელმა ხელები გაშალა და გაწითლებული ბუტბუტებდა: აბა, აბა სად არის ჭრილობა? ფერშალი ერუდ ახვევებდა მუჭაში. მკურნალი მეტის ალეკებისაგან ველარათვერს ჭხედავდა და ალარა ესმოდა-რა. მას მზად ეჭირა ხელში დანა და სხვა არალი.

— დიახ, კარგი გაყინული გასლავთ! დაიღრიალა გაძარცვულის ხმით და ამოიღო ტყვია: — აი! ყველანი, მკურნალის გარდა, მეხ-დაცემულსავით გაქვავებულნი იდგნენ.

— სად არის ბერანგი, მოიტანეთ? ღრიალებდა კოყინი და თვითონ გამოარჩია მკვდრის ბერანგი ტანისამოსისაგან და დაუწყო სინჯვა. ბერანგზედ მხოლოდ ბატარა ნატყვიარი ეტყობოდა.

— მე... ღმერთს გეფიცებით... არ ვიცი... ვერ მოვითვიქრებდი... ლუღლუღებდა გამოძძიებელი.

— ვერ მოითვიქრებდით!? დაცინვით გაჰკივრა კოყინმა: ესლა სულ ერთია, ველარ ინებებთ საქმის ჩათვუჩეჩებას!...

გამოძძიებელი ერთბაშად განრისხდა და მთელი თავისი რისხვა გლეხებზე ამოანთხია:— დამცადონ, მე ვიჩვენებ იმათ! მე ყველათვერს ალმოვიჩენ... ვინ არის აქ? და დაუცხრომლად

უქნეკდა თითს, თვითონაც არ იცოდა, ვისა. მე... რას მიბრძანებთ?!... მკვლელობა ყოფილა და მე კი არ ვიცოდი! ნაააი შენი! გმადლობთ, რომ აღმოაჩინეთ ჭეშმარიტება... ნაააი შენი!! ღრიალებდა გამოძძიებელი უთავბოლოდ.

— «ღმერთო, დაგვიხსენ და დაგვიფარე!» პირჯვრის წერით ამბობდენ გლეხები.

IV

მკურნალი ცხენების მოლოდინში გაცვებულსავით დარბოდა ერთის კუთხიდამ მეორეში და უხარიოდა, რომ გამოძძიებელმა ვერ მოახერხა საქმის «ჩაფარცხვა». მართლა-და ყველა რომ სვინიდისიანად ასრულებდეს თავის მოვალეობას,—რა კარგი იქნებოდა მაშინ: ქვეყანაზე არც მკვლელობა იქნებოდა, აღარც ავაზაკობა და ცარცვა-გლეჯვა, არც მტრობა ურთიერთშორის... რა ბედნიერება იქნებოდა მაშინ ქვეყანაზედ!...

გამოძძიებელი კარად, დერეფანში გლეხებს ელაპარაკებოდა რალაზედაც; ოთახში, მკურნალის კარდა, ისევ ისე მდუმარედ, სახე-შეჭმუხვნილი იჯდა მოხუცი და ღრმად ოხრავდა... მკურნალი ამას ვერ ამჩნევდა, რადგანაც ფრიად იყო გატაცებული და გახარებული თავის გამარჯვებით.

— ბატონო, ბატონო!... ნუ დაგვღუპავ! შეეწყალავლა უეცრად მოხუცმა.

— ვისა? რათა? გაკვირვებით ჰკითხა მკურნალმა.

— ჩვენ, სოფელს, ნუ დაგვღუპავ. ნუ აგვოხრებინებ... დაფარე როგორმე ეს საქმე... საჩივარში ჩაგვაგდებენ და აგვიკლებენ სულ ერთიანად და ამ სიტყვებით მოხუცი დაეცა მკურ-

ნალის ფეხ-ქვეშ.

— შენთან რა საქმე მაქვს, ბიძაკ, რას ლაპარაკობ! გაკვირვებით და შეკრთომით უთხრა მკურნალმა და თან ჭსცდილობდა მოხუცის წამოყენებასა.

— ნუ დაგეღუპამ, ბატონო, შეგვიბრალე! განაგრძობდა მოხუცი ყრუდ და მიწაზედ ემხობოდა მკურნალის ფერხთა წინაშე:—ნუ დაგეღუპამ! ეს საქმე — სოფლის საქმეა... დათვრე როგორმე!...

მკურნალი მიხვდა, რომ მას ჭსთხოვდენ საქმის «ჩათვრცხვას» და საშინლად აემღვრა გული.

— მე არ შემიძლიან აკაზაკობის და ბოროტ მოქმედების შეწყნარება! მაგრამ შენ რა შუაში ხარ აქ?

— სოფლის გულისთვის, სოფლის მაგივრად გთხოვ, განაგრძო მოხუცმა: სოფლის საქმეა ეს; ხომ გესმის... სოფელმა გადასწყვიტა ეს საქმე სიმართლით... და ვისაც წილი შეხვდა—იმან შეასრულა... მკურნალს ბირველად ესმოდა ამ გვარი ლაპარაკი და საქმე: ესმოდა და ვერც ესმოდა მოხუცის ლაპარაკი.

— ვინ არის მკვლელი? იკითხა მან, თითონაც არ იცოდა რისთვის.

— სოფელი ვერაკის დაუსახელებს მკვლელსა თვით ღმრთის მტერსა... სოფელმა მოჭკლა წილის-ყრით, გესმის?! [ეგი ქურდი იყო და აკაზაკი; ყველას აწუხებდა, მოსვენებას არავის აძლევდა...

მკურნალი თან-და-თან უფრო განცვიფრებაში შევიდა.

— თქვენ შეგეძლოთ გეჩივლათ, გაუბედავად წაიბუტბუტა მან და, თითქო შერცხვა,—გაწითლდა.

— ვისთან უნდა გვეჩივლა? ღმერთთან თუ? მწარედ წარმო-

სთქვა მოხუცმა: აკი ვიჩივლეთ; ვსცდილობდით, რომ ეს საქმე ესე უბედურად არ დაბოლოებულიყო, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხეთ-რა და აი, ღმერთი გაგვიწყრა! რამდენჯერ წარუდგინეთ მთავრობას! დაატუსაღებდენ და გამოუშვებდენ ისევ! ის კი უფრო და უფრო უარეს აკეთებს და ოინებს ჩადიოდა.

მკურნალი თრთოდა მეტის აღელვებისაგან.

— გამოძძიებელი კეთილი კია! განაგრძო მოხუცმა, თითქო ამით უნდოდა მკურნალის გამხნევება. ესი მანათი შეკერიბეთ სოფელში, როგორც იყო, და დაგიყოლიეთ...

— ჭოო—ოო! გააგრძელა მკურნალმა, რაკი შეიტყო, რა მუცლის ტკივილიც ჭქონდა ამ საქმეში გამოძძიებელს.

— არც შენ დაგტოვებთ ისე, შენთვისაც შეკერებთ, საჩქაროდ წარმოსთქვა მოხუცმა. მოხუცს ეგონა, რომ მკურნალის ხმის გაგრძელება ამას ნიშნავსო: უკანასკნელს პერანგს გავიყიდით, ოღონდ სოფელს ნუ დაჭყლეპამ, ნუ დააწიოკებ გლეხებსა!

— მე... მე... მე არაფერი მინდა, ჩემს სვინიდისს რადი ვუიდი მე! და ხან ეკითხებოდა და ხან წითხებოდა მკურნალი მეტის აღელვებისაგან: აქეთ, აქეთ, კარგი!...

— შენ მეტს მოგართმევთ, ეხვეწებოდა მუხლ-მოდრეკით მოხუცი: ცოლ-შვილს დავაგირავებთ და თქვენ კი დაგაკმაყოფილებთ, ოღონდ ნუ დაგვლეპამ, ბატონო.

ეს-კი მეტის-მეტი იყო კოჟინისათვის. იგი თრთოდა, განკალებდა, თავი ურატრატებდა და თავ-ბრუ ეხვეოდა.. რაღაც ახალი აზრი ერთსა და იმავე დროს ანათებდა და აბნელებდა მის გონებასა... მისი აზრები ირეოდენ უთავ-ბოლოდ: იგი მზად იყო ქვითინი დეწყო... ერთი-ორი წამიც და თვით შედგენილი ოქმიც ლუკმა-ლუკმად იქცეოდა; მაგრამ თითქოს განგებ, ამ დროს გამოძძიებელი შემოვიდა ოთახში.

— რა ამბავია აქ? წამოიძახა შემოსვლის უმალ გამომძიებელმა მეღვურის ხმით.

მკურნალი გონს მოვიდა. მოხუცი მარდად წამოხტა ფეხზედ.

— საქმის დათვრვას თხოულობს საზოგადოება, დაიწყო გამომძიებელმა. უეცრად მიიღო მთხოვნელის კილო და განაგრძო; რა ვქნათ, ღარიბი ხალხია და სასამართლო უფრო გაალტაკებს და არათერი-კი არა გამოვა-რა, რადგანაც მკვლელს სოფელი არასოდეს არ გასცემს. საზოგადოება, ხომ იცით ერთი-კი წამოიძახოს ვინმემ და... მაინც-და-მაინც რა იქნება; ბოლოს საქმე მაინც ისევ დაიწყებას უნდა მიეცეს და სხვა არათერი!

ამ სიტყვებმა მკურნალი სრულიად გადარიეს.

— ბევრი მიიღეთ «დამატებითი» მიღებულის სის მანათის გარდა ამ შუამდგომლობისათვის? მკახედ ჰკითხა მან გამომძიებელსა და თვალი თვალში გაუყარა.

— მე... მე... რას მიბრძანებთ? რა სი მანათი... განა მე ქრთამი გამოვართვი ვისმე? და მიუბრუნდა მოხუცს.

— მე არათერი შემიტყვია! უბასუხა მოხუცმა.

მკურნალმა შეჭსედა მოხუცს და, რა შეამჩნია ბოროტებით და მძულვარებით სავსე სახის გამომეტყველება—უნებურად თვალები დაბლა დაუშვა. იგი მიხვდა, რომ მოხუცი ყველაფერზედ უარს იტყოდა. გაფითრებული ბოლთასა სცემდა ერთის კუთხიდამ მეორისკენ და ყურადღებას არ აქცევდა გამომძიებელის ბურდღუნს. ნუ თუ მონაწილეობა უნდა მიეღო მეც ამ უსვინიდისო საქმეში? გაუელვა თავში... მაგრამ მაშინათვე მძულვარებით შეჭხედა გამომძიებელს და ჭსთქვა გულში: ღმერთმა ნუ ქნას!... რა ღმერთი გამიწყრა, სხვის მაგიერად

წამოგეხეტე ამ საქმის შესამოწმებლად! ნანობდა გულში. ბოლოს მძულვარებით გაათვალიერა და,—გამოვიდა-რა დერეფანში საჩქაროდ, დაინახა ცხენები, მაგრამ, თითქოს განგებ აგვიანებენო, ცხენები არავის მოჰყვანდა. იგი ისევ შებრუნდა ოთახში და ჩუმად ბოლოთის ცემა დაიწყო.

გამომძიებელი ბუტბუტებდა ვილაც «მტრებზე», რომელნიც, ვითომ, ცუდს ხმებს ავრცელებდნენ მასზედ. ბუტბუტებდა, რომ «მე შემეძლო მტრების სამართალში მიცემა, მაგრამ ავკაცობას ვერიდებიო» და სხვა ამ გვარებს. ბოლოს მან გამოიჩინა გასაოცარი გამომძიებლის ნიჭი: აიღო ხელში ოქმი, გადააოვალიერა და ვილასაც დაემუქრა. შემდეგ, დაინახა-რა ნიგთიერ დამამტკიცებელ საბუთთა შორის ტუვია,—აიღო ხელში და გაქანა კუთხეში მიუდებულ თოფისაკენ.

— გამოადგა! დაიღრიალა მან უეცრად საშინელის ხმით და თან აზმანებდა ტუვიას თოფის ტუჩსა; თვალები მხეცსავით გაუბრწყინდენ: შემოჭხედეთ და! სწორედ ზედ-გამოჭრილია!

— მგურნალი უნებურათ შეჭსდგა და შეამცნიგა, რომ ტუვია მართლა საკვირველად გამოადგა თოფსა.

— ხომ გამოადგა, ჭაა! ღრიალებდა ისევ გამომძიებელი და შემდეგ მიუბრუნდა მოხუცს:

— აი, შენ, წვერო! შემოჭხედე, ჭხედავ? შენი საქმეა განა? თვალების ბრიალით ჭკითხა მან.

— მოხუცი მკვდარსავით გათეთრებული უძრავად იდგა.

— გამოტყდი, ჭსთქვი! დასჭყოლდა გამომძიებელი მოკუმშულის მუშტებით მოხუცს—ჭსთქვი მეთქი!

მოხუცი მდუმარებდა, თითქოს რაღასაც ჭფიქრობსო.

— ეხლავე ბოროკილებს შეგიყრი ხელ-ფეხში! დასჭყიალა კვალად გამომძიებელმა.

— შემიყარე! მძიმედ და თავაზიანად უპასუხა უცრად მოხუცმა:—შემიყარე, მაგრამ რის გულისათვის? ჩვენ ყველას ერთის ყალიბის თოფები გვაქვს და, მაშასადამე, ტუვიებიც ერთის ყალიბისა გვექმნება.

მცირეს ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— მართლა! ნაღვლიანად წარმოსთქვა გამოძიებელმა: აქაური თოფები სულ ერთის ყალიბისანი არიან, აი დასწყევლოს ღმერთმა!.. მაგრამ ცოტას ხნის შემდეგ იგი ისევ გაცხარდა და დაუწყო ტუვიას სინჯვა. მას მოაგონდა, რომ ციმბირელი მონადირენი ხშირად საკუთარს ნიშანს ასმენ ხოლმე თავის ტუვიებსა.

— მოიცა დაიღრიალა მან, რა შეამჩნევ ტუვიას ნიშანი:— აბა მიჩვენე შენი ტუვიები, მიუბრუნდა მოხუცს.

მოხუცი ხელახლად გაფითრდა და ადგილიდამ არ დაიძრა.

— მოიტა მეთქი ე ტუვიები, მიჩვენე, სადა გაქვს? ღრიალებდა გამოძიებელი და ათვალიერებდა ოთახის კუთხეებს და, რა შეამჩია ერთს კუთხეში ღურსმანზედ ჩამოკიდებული უბრალო სანადირო ტოპრაკი,—ჩამოჭგლიჯა იგი და წამოყარა იქიდან ტუვიები. ალმოჩნდა, რომ ყველას გვამიდგან გამოღებულის ტუვიის ნიშნები ჭქონდა.

— ჭა-ა-ა შე-შე-შე ქოფაკო! დაიღრიალა მან, გახარებულმა.—ბოროკილები ამას! ჩქარა ბოროკილები!!

როდესაც მკურნალი დაბრუნდა სოფლიდგან (მარტოდ წამოვიდა), იგი გამოაცილა მოხუცის ნათესავთა წიგილ-კივილმა და ტირილმა; მოხუცი მდუმარებდა, მხოლოდ ხამუშ-ხამუშ პირჯვარს იწერდა.., რალაც ბურუსმა აუხვია კოჟინს თვალები; ასე რომ გზაზედ იგი თითქმის ვერარაფერს ჭხედავდა. სამაგიეროდ სმენა ისეთი ფრთხილი და გამახვილებული ჭქონდა,

რომ როდესაც ქალაქში შემოვიდა, მას თითქოს ცხადად ესმოდა ტირილი და ღრიალი მთელის სოფლისა...

V

ამ ამბის შემდეგ მკურნალი ისე ნაირად გამოიცვალა, რომ თითქმის ყველა მისი მცნობნი შეხვედრის დროს უნებურად ეკითხებოდენ: „რა ამბავია თქვენს თავს?“ ან „როგორ ბრძანდებით?“ თეთრ-წითელი სახე მკრთალად შეეცვალა, წელში მოიღუნა, ალარავისთან ალარ დაიარებოდა; მხოლოდ თავის საკად-მუოფოში ატარებდა მთელს დღეებსა. მეხუთეს დღეს იგი პოლიციის სამმართველოში დაიბარეს რიღასიც შესამოწმებლად. კოყინი მივიდა, სახქაროდ შესრულა რაც საჭირო საქმე იყო და, აიღო თუ არა ქუდი წამოსასვლელად,—უეცრად შეაყენა იგი პოლიციის ბოქაულმა.

— იცით, ბატონო მკურნალო, რომ ის მოხუცი დამნაშავედ არ გამოდგა? უთხრა მან თითქმის ჩუმად ყურში: მკვლელი სულ სხვა არის.

— როგორ თუ სხვა? გაკვირვებით ჰკითხა მკურნალმა.

— დიახ, სხვა არის: თვითონ მოვიდა და გამოტყდა ყველაფერში. გარდა ამისა, მოწმებმაც აჩვენეს, რომ მოხუცი რამდენიმე დღის განმავლობაში სახლიდგან ეზოშიც არ გამოსულა.

მკურნალმა თითქო რალაც საამოვნება და შვლაკვითი იგრძნო, თითქოს გულზედ მოეშვა.

— მაშ ტყვიის ნიშნები? იკითხა მან.

— ეგ სრულიად ადვილად იხსნება: მკვლელს თოფი მოხუ-

ცისგან უთხოვნია. ყველაფერი ნათლად სჩანს, აი, აბა წაიკითხეთ! და ამ სიტყვებით ბოქაულმა ხელში მიაჩეჩა «საქმე.»

მკურნალმა წაიკითხა მოწმების ჩვენების ჩამოართმევის ოქმი. ,,გლეხი, ობოლი ცხრამეტის წლისა, რომან პეტროვი თავის ნებით ადიარებდა თავისგან გლეხის სმირნოვის მოკვლას. თოფი მან სთხოვა მოხუცს სანადირო, ჩაუსაფრდა სმირნოვს ტყეში და მოჭვლა იგი, რადგანაც უკანასკნელის ჯავრი ჭსჭირდა ცხენების მოპარვისათვის. ბოლოს ნათქვამი იყო, რომ მკვლელი არავისგან არ იყო დარიგებული და დავალებული, თვითონ, თავის ნებით ჩაიდინა ხსენებული მკვლელობა. ბოლოს მობლაჯნული იყო ,,რომან პეტროვი.''

— რას იტყვით ამაზედ? ჭკითხა ბოქოულმა.

მკურნალმა ხმა არ გასცა, მხოლოდ მხრები აიწია.

— იჭკვნეულობთ, განა? მეც, სწორე გითხრათ, როგორც ეჭვში ვარ, მოხდება ხოლმე. მე შეკიტყე, კითომც მთელს საზოგადოებას გარდაეწყვიტოს და წილის ყრით მიენდოს ერთისათვის ბორტების შესრულება, მაგრამ რას იზამ, როდესაც მკვლელი თვითონ აღიარებს თავის დანაშაულს და მოწმებიც ამტკიცებენ... მაინც ჭსჯობია კიდევ კითხოთ დამნაშავეს.

— აქ შემოიყვანეთ ტუსაღი! უბრძანა ბოქაულმა ყარაულებს.

შემოიყვანეს ახალ-გაზდა გლეხი, მაღალის, გაწყობილის ტანისა, თვერ-მკრთალის, დალაგებულის სახით. იგი შემოვიდა თამამად, თავისუფლად; მხდალობა ამას სრულიად არ ეტყობოდა, როდესაც სხვა დამნაშავეთ ეს უკანასკნელი თვისება ძლიერ ემჩნევათ ხოლმე. მის თვალებში მშვიდობიანობა, გულგეთილობა და ლმობიერება ისე ცხადად გამოჭსჭვირდენ, რომ გასაოცარი იყო მისი ცხოვრება.

— გამიგონე, შენ! მიუბრუნდა მას ბოქაული. მართალს ამბობ შენ? სხვის დანაშაულს ხომ არ ჭვისრულობ? ხომ იცი ეს დიდი და საშინელი ცოდვაა.

ტუსალს სახე ცოტათი შეეცვალა, თვალები მოუსვენრად აუხამხამდენ; იგი თითქოს შეკრთა; მაგრამ მალე მოვიდა გონს და დამშვიდებით ჭსთქვა:—ჩემი საქმეა და ჩემი ცოდვა!

,,სულაც არა!'' გაუელვა მკურნალს თავში.

— აი, მკურნალი ამბობს, უთხრა უეცრად ტუსალს, რომ ეგ საქმე საზოგადო საქმეა, შესრულებული წილის ხდომით.

მკურნალი თვალს არ აცილებდა ტუსალს. ახალგაზდა გლეხი შეკრთა, სახეზედაც შესამჩნევად შეიცვალა, მხოლოდ ხმა-ლა იყო მისი დამშვიდებული; მაგრამ თვალები კი, თვალები, მიპყრობილნი მკურნალისადმი, ბრწყინავდენ საშინელის და ლრმა მძულვარებითა.

— არა, ბატონო, საზოგადოებას რას ერჩით; ეგ სულ ტყუილი მოგონებაა... საზოგადო საქმე სულაც არ იყო ეგ... მე ჩემის ნებით შევასრულე ეგ საქმე! ნუ ჭრეკთ ტყუილად! ჭსთქვა უბედურმა.

იგი წაიყვანეს საპყრობილეში.

VI

თუმცა მკურნალი ცდილობდა გართობასა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მას ხშირად აგონდებოდა მოხუცის სიტყვები: ,,სასოგლო საქმეო.'' და სხვა ამ გვარები და რომან პეტრეოვი, მკრთალის და მძულვარებით სავსე სახითა. რამდენჯერაც მიახლოვდებოდა საპყრობილის საავად-მყოფოსა, ყოველ-

თვის მოეჩვენებოდა ხოლმე, ვითომც რომან პეტროვი უყურებდა მას მეორე სართულის რკინის ხარიხიანის თვანჯრებიდან. მისი სახე იყო მართლა, თუ სხვა ტუსაღისა,—ვინ იცის, მაგრამ მკურნალი კი დარწმუნებული იყო, რომ ის სახე ნამდვილად „იმისი" იყო. იგი შეკრთებოდა ხოლმე და საჩქაროდ გაირბენდა საპყრობილის ეზოსა.

რადგანაც რომან პეტროვი თითქმის ყოველთვის თვანჯარასთან იდგა, საკვირველი არ არის, რომ იგი სიჭლორქეში ჩავარდნილიყო გაცივებისაგან და მართლა ასე მოხდა. ერთხელ, როდესაც მკურნალი საპყრობილის საავადმყოფოში იყო ჩვეულებრივ,—ოთხმა კაცმა შემოიტანეს სრულიად ლონე-მიხდილი, გამხდარი, დაუძლურებული და თვერ მიხდილი ავად-მყოფი.—ეს იყო რომან პეტროვი.

მკურნალი დაიღუნა მის გასასინჯავად.

— დამეხსენ!.. ნუ მტანჯავ! ერუდ წარმოსთქვა ავად-მყოფმა.—დამეხსენ!

მკურნალი ცოტა არ იყოს, შეკრთა; მაგრამ მაინც შეამოწმა ავად-მყოფი, რომელსაც საშინლად გაძლიერებული ჭლექი ალმოჩნდა.

— ცალკე ოთახში დაავწვინეთ ეს. უთხრა მან თვერშლებსა.

— ბატონო! დამითხოვე ჩემს ბინაზედ, დამითხოვე! ალმოიხრა ავად-მყოფმა.

— რათა? შენ ძალიან ავადა ხარ!

— არა, ბატონო, მე ისე, ცოტათი ვქეიფობ; მალე გამიკლის...

— არ შეიძლიან შენი აქედგან გაშვება; აქ გირჩევნია; თორემ ხო თვითონ შეიტყობ.

მკურნალი ლაპარაკობდა გაფითრებული. იგი თავის ქერქ-

ში ვერ ჭვრეტნობდა თავის-თავსა. რაღაც აწუხებდა და გულს უხუთავდა მას. მთელი დღე და ღამე ელანდებოდა თვერ-მკრთალი ახრდილი პეტროვისა და მოსვენებას არ აძლევდა მას.

მეორე დღეს, როდესაც მკურნალი მივიდა სასვადმყოფოში, შეიტყო, რომ ავადმყოფი უფრო შეძიებულიყო, არავის სიტყვას არ უგონებდა, ჩუმად წამლებს ყლეურიდა და, როდესაც მოსამსახურეს გაიგულებდა — ჭსცდილობდა თვანჯარაზედ აცოცებასა.

— რად შვრები ამას? ალერსიანად ჭკითხა მკურნალმა.

პეტროვმა ხმა არ ამოიღო; მხოლოდ ხრიალი ამოჭქონდა მძიმე სუნთქვას მისის სნეულის გულიდგან.

— დღეს უფრო ცუდად ჭგრძნობ თავსა? ჭკითხა კვალად მკურნალმან და აიღო მისი ხელი.

— დამესესენი, ბატონო! დაიწყო ტირილი უბედურმა და თვალებიდამ ლაპა-ლუბით ცრემლები გადმოსცვიოდა: — თავი დამანებე!...

— დამშვიდდი, ანუგეშა ალერსიანად მკურნალმა: ნუ გეშინიან! გიწამლებ და მორჩები.

— რათა! ყრუდ ჭკითხა პეტროვმა: სულ-ერთია: მიწამლებ თუ არა, მაინც მალე მოვკვდები. ჩემი ალსასრული მოახლოებულია!... ოჰ! ამოიოხრა უბედურმა და ტუჩებთან სისხლის დუქი მოადგა.

— გამიგონე! დაიხარა მასთან მკურნალი ათრთოლებული და თვალებ-დაბნელებული: გამიგონე, წასჩურჩულა მან ალელვებულის ხმით: მე ყოველს ლონის-ძიებას ვიხმარებ, რაც-კი ჩემ ხელთ არის!... გამიგონე! შენ არ მოგიგლავს, განა, სმირნოვი? შენ განგათავისუფლებენ...

ავად-მყოფი შეკრთა. ცრემლები შეაშრენ თვალებზედ,

რომელშიაც ბორბალებს და მტრობა გამოჰსჭვრეტდენ.

— ბატონო!... მისი ხმა ჩასწყდებოდა ხრიალით და ყრუ ხვლებით.—ბატონო! ნუ მაშინებ... ნუ მრეკ! გასწორდა და წამოიწია: — ჩემი საქმეა ეგ, ჩემი და არა სოფლისა!... და ლანე-მიხდიჯი, იგი დაეცა ლოგინზედ...

მკურნალმა მთელი თავისი ხელოვნება და ცოდნა იხმარა ავადმყოფის გამოსაბრუნებლად, არ დაიშურა მისთვის თავისი სარჩო და შეძლება და შეუწყო ხელი ისე, როგორც კი შესაძლებელი იყო; მაგრამ, საუბედურად, ყველაფერი ამაო შეიქნა უბედურისათვის: იგი გაწირული იყო ამ სოფლიდგან...

VII

ზაფხულის თბილი საღამო იყო. ხარიხანის თვნჯრებიდამ ოთახში წყნარად შემოისმოდა მეურინეული ყლიავილი და ვილასიც ლაპარაკი სამკურნალოს ეზოდგან. ისმოდა, აგრეთვე, ფეხის ხმა გუშაგისა, რომელიც ზომიერად მიდიმოდიოდა ეზოში. ალის ფერი სხივები ჩამავლის მზისა ოქროს ფერად ჭსცემდენ სამკურნალოს შენობის კედლებსა. გაფითრებული, ალელვებული და, თითქმის, მტირალი მკურნალი იდგა ავად-მყოფის წინ, დაჭყურებდა და მაჯას უსინჯავდა. პეტრეოვი იწვა უძრავად, მძიმედ ჭსუნთქავდა და სიცოცხლეს მოკლებული თვალები ჭერში ჭქონდა მიმართული.

— არათერი არ გინდა? ჭკითხა მკურნალმა.

— მდვდელი რომ მოგეყვანათ.., მოწყვეტით და სუსტის ხმით მიუგო ავად-მყოფმა.

— მე ვუბრძანე დაძახება... არა, იქნება სხვა რამ გინდო-

დეს? და ამ სიტყვით მკურნალმა ხელში აიღო მისი საშინლად გამხდარი და ცივი ხელი.

— შენ?! გაკვირვებით ჰკითხა უბედურმა.

— ჰო, მე... მე აღგისრულებ ყველას, რასაც კი მოისურვებ, ოღონდ მითხარ: რა გსურს გულით?

მოგონება იმ საგანთისა, რაც მკურნალმა დასდო, საკვდილის მოახლოვება, თუ კოყინის სახის ამ ყამად სხვა-ნაირი გამომეტყველება იყო მიზეზი,—ძნელია თქმა,—მხოლოდ ეს კია, რომ ავად-მყოფმა ეხლა პირველად შეჰხედა კოყინს კეთილი თვალით და გული მოიბრუნა მასზედ.

— მადლობელი ვარ! ღმერთი საამაგიროს გადაგიხდის! თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა ავად-მყოფმა.

მკურნალმა ოდნავ მოუჭირა ხელი მის ხელს და თავით ჩამოუკვდა, რადგანაც მუსლები ჩაეკვეცნენ.

— რა გინდა, მითხარ?

ავად-მყოფმა გამხდარის ხელით ბალიში ქვეშიდამ გამოიღო ჭუჭყიანს ძონძში გამოხვეული ერთი მუჭა მშობლიური «შავი» მიწა და ჩაუდო მკურნალს ხელში.

— საფლავში ჩამყოლეთ. ძლივს აღმოსთქვა უბედურმა.

კოყინმა უნებურად ჩამოართვა მიწა, სუნთქვა შეეხუთა და თვალთ დაუბნელდა.

ჟეტროვმა საშინლად ამოასხვლა, თითქოს გულ-ღვიძლი თან ამოაყოლა. გადმოაბრუნა ასაღუხი და საწოლში რილასაც ძებნა დაიწყო.

— მე მოგეხმარები! უთხრა მკურნალმა: მოიცა! და ამ სიტყვით ამოიღო ასაღუხიდგან ორი მანათიანი ქაღალდის ფული და თეთრი ბამბის ხელთ-ცასოცი:

— ამას ეძებდი?

ავად-მყოფმა ანიშნა გმაყოფილება თვალების მიღულვით, რადგანაც თავის განძრახვის წარმოთქმის ღონე აღარა ჰქონდა.

— სოფელში... ჩვენსას... ძლივს ამოგვნესოდა მოამაგედ: ანნა ჰქვიან... სელიფონტოვისაა...

— იმას გარდაცვე ესენი? ჰკითხა მკურნალმა.

უბედურმა თანხმობა ანიშნა.

ორივენი დადუმდენ... ავად-მყოფი სადღაც, შორს იყურებოდა უსიცოცხლო თვალებით; მკურნალს ეჭირა მისი ხელი და ვერაფერს ჰხედავდა, რადგანაც თვალები ცრემლებით ჰქონდა აღვსებული. ბინდდებოდა. ავად-მყოფმა შეოთვა დაიწყო.

— მღვდელი... მღვდელი მოამგვარეთ!... ძლივს ამოიღულლული მოამაგვანმა.

ყვალად სიჩუმე ჩამოვარდა. ავად-მყოფი დაწყნარდა და სუნთქვაც უფრო თავისუფლად დაიწყო, თითქოს უკვე შეიქნა. უცრად მკურნალისკენ მოატრიალა თვალები და დაკვირვებით დაუწყო ყურება.

— გესმის! წაიჩურჩულა ავად-მყოფმა.

მკურნალი უფრო ახლო დაიღუნა ავად-მყოფთან.

— იგი უსაბაბოდ, უდანაშაულოდ მოჰკვლეს...

მკურნალი მიხვდა, ვისზედაც ამბობდა საცოდავი.

— სოფელმა გარდასწყვიტა მისი მოკვლა, ჩურჩულებდა მოამაგეავი, თითქოს ალსარებას ამბობსო: რადგანაც სძულდათ, თუმცა უმიზეზოდ...

მკურნალი უფრო მიუახლოვდა ავად-მყოფს.

— ჩემი საქმე არ არის... მე არ მოამიკლავს... სოფელს შევსწირე ჩემი სიცოცხლე... რომ საჩვარს სოფელი არ დაეღუბა...

კოყინმა ოდნავ მოუჭირა ხელები მის გაცივებულს ხელსა.

— ჭო, სოფლის გულისათვის... მოხუცი შემეცოდა... დიდი სახლობა ჭყავს... მე-კი..... მარტოდ-მარტო კარ, მხოლოდ ან...ნნა...

მომაკვდავი შეინძრა და ხარბად დაუწყო ჭაერს ულაპვა. გონება-დაკარგული მკურნალი წამოხტა და აუწია თავი, რომელსაც დაუძლურებელი კისერი ვეღარ იმაგრებდა.

— სოფლის გულისათვის... ჩე...მი... თა...ვი გა...ვსწი-...რე... უკანასკნელად ამოიკვნესეს და სამუდამოდ დადუმდენ გაცივებული ტუჩები სხვის გამოხსნისათვის თავ-გაწირულის ჭაბუკისა!

მკურნალი მხოლოდ მაშინ-ღა მოვიდა გონს, როდესაც მოსული მღვდელი «შენდობის» ლოცვებს უკითხავდა ახლადგარდაცვალებულს—რომან ჭეტროვსა.

რ. ძამსაშვილი—ც—ვი.

ჩვენის გლეხ-კაცობის ისტორიიდან.

(შენიშვნები ბატონ-ყმობაზედ)

ძველს საქართველოში ფეოდალურ წეს-წყობილებასთან ერთად არსებობდა ეგრედ წოდებული ბატონ-ყმობა, რომელსაც თავისი გარეგანი აგებულება და ფორმა ჰქონდა, თავისი განსაკუთრებითი სული, მიმართულება. ბატონ-ყმობა, როგორც იურიდიული დაწესებულება, დამყარებული იყო ორს ძალზედ. ერთს ძალას შეადგენდა დაწერილი კანონი, მეორეს—ჩვეულებრივი უფლება. დაწერილი კანონი, როგორც საყოველი ფეოდალური ცხოვრებისა, უფრო ჩაგრავდა გლეხ-კაცობას და ესარჩლებოდა ძალულ-წოდებას. სულ სხვა ხასიათისა იყო ჩვეულებრივი უფლება; ეს უკანასკნელი ხელს უწყობდა გლეხობას, უმსუბუქებდა მძიმე უღელს, რომელიც, კანონის ძალით, კისრად ედო. კანონის და ჩვეულებრივის უფლების ამ ნაირის ხასიათიდან წარმოსდგა ის ორ-გვარი უკიდურესი შეხედულობა ბატონ-ყმობაზე, რომელსაც ეხლაც ხშირად მისდევენ. თუ ერთნი ამტკიცებენ, რომ ბატონ-ყმობა ისე მოქმედობდა, როგორც კანონი ბძანებდა, მეორენი სულ წინააღმდეგს აზრს ადადებენ—კანონი ცხოვრებაში თავის სიმკაცრეს ჰკარგავდა, ბატონ-ყმობა ჩუმანიურის ხასიათისა იყო და სინამდვილე არ ეთან-

ხმებოდა დაწერილს უფლებასაო.[1]) სახვენები უკიდურესობა წარმოსდგა უმთავრესად იმ მიზეზისაგან, რომ დაივიწყეს კაეშირი, რომელიც არსებობს კანონის და ჩვეულებრივის უფლების შორის. ჩვენშიაც, როგორც სხვაგან, დაწერილს კანონს გვერდით უდგა ჩვეულება, რომელიც ხშირად იურიდიულ სინამდვილეს ცოტად თუ ბევრად სხვა მიმართულებას აძლევდა, ასუსტებდა კანონის დამჩაგვრელს ძალას, ბარბაროსულ ხასიათს. მეორეს მხრით, თვით კანონებშიც მოიპოვებოდნენ ისეთი მუხლნი, სადაც პირველი და ზნეობრივი თავისუფლება გლეხისა ალიარებული იყო, სადაც ყმაც კაცად იყო ცნობილი. ამას შემდეგში ვუჩვენებთ და ეხლა შევნიშნავთ მხოლოდ, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, როდესაც ბატონ-ყმობის კანონებზედ გვაქვს საუბარი. ხშირად ერთი მუხლი კანონისა წინააღმდეგია მეორესი, მეორე მესამესი და სხვ.[2]) კანონებიდგან რო-

---

[1]) Густавъ Калантаровъ, Крѣпостное право въ Грузіи, გვ. 1—3. აქ ავტორი, რომელსაც ჩვენი ბატონ-ყმობა ქვეყნიურ ჯოჯოხეთად მიაჩნია, გადაჭრით ამბობს, რომ ბატონ-ყმობა ისე მოქმედებდა, როგორც კანონი ბრძანებდაო. წინააღმდეგის შეხედულობისა არის თ. ა. ჯამბაკურიან-ორბელიანი; ამის აზრით—«მებატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისათვის». იხილე მისი თხზულება, გვ. 77.

[2]) აი მაგალითიც: «ვისაც შერისხდეს ღმერთი და თავის ბატონი მოჭკლას, ან დაჭრას, ამისი სისხლი არ გაჩნდების, ამისათვის, რომ ყმისა ყველა ბატონისა არის»... (ვახტ. სამართ., მუხ. 258;) ამას ეწინააღმდეგება იმავე სამართლის 231 მუხლი, სადაც ლაპარაკია სამეგრელოს საკუთრებაზე: «ვინ მოკვდეს და დარჩეს ცოლი და შვილი, ამას უკან შვილიც მოკვდეს და დარჩეს დედა-კაცი, მამულთან ხელი არა აქვს, ბატონისა არის.. და თუ შვილი ისევა ჰყავს, მამულს ვერავინ წაართმევს, შვილის არის...»

მელიმე მუხლის ამოღება და მასზე დამყარება საზოგადო დასკვნისა, შეცდომა იქნება. საჭიროა მთლად კანონების მიმართულების, მათი სულის შეგნება. მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება პირუთვნელი და უტყუარი საზოგადო დასკვნა, ნამდვილი იურიდიული სინტეზი.

თუ რა შეცდომა წარმოსდგება ჩქარებისა, მარტო ერთის რომელიმე მუხლით ხელმძღვანელობისაგან, ამას გვიჩვენებს სახელმწიფო რჩევის წევრი და სენატორი ბარონი განი. ხსენებული ბარონი 1837—1841 წ. იმყოფებოდა საქართველოში. მაშინ მთავრობას ჭსურდა ზოგიერთა ცვლილება შემოღება სამოქალაქო მმართველობაში, და სენატორმა განმა წარუდგინა სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს წერილი, იმ ზომათა შესახებ, რომელნიც უნდა წინ წასძღოლოდნენ ახალს სახელმწიფო მეურნეობას (ფინანსიურ სისტემას); ეს მეურნეობა უნდა შემოღებულ-ოთ საქართველოში. ბ. განი თავის წერილში ამტკიცებდა, რომ საქართველოში ბატონ-ყმობა არა ყოფილა და ვასსალობა, რომელიც წარმოსდგა ფეოდალური წეს-წყობილობისაგან, მხოლოდ უკანასკნელი მეფეების დროს გარდაიქცა ყმობათად [3]). რაზედ დაამყარა ბარონ განმა თავისი დედა-აზრი, საზოგადო დასკვნა? მან მეტად ადვილი საშუალება იხმარა— სომხური სამართლიდგან ამოგლიჯა ერთად-ერთი 171 მუხლი [4]) და მაზედ დაუფუძნა თავისი შეხედულობა, თუმცა ამ

---

[3]) К. Л. Зиссерманъ. Сборникъ матеріаловъ, т. I, вып. I, стр. 265.

[4]) ...«პატრონ-ყმობა ამისი (კაცისა) ნდომებითა იქმნა მიწისა და წყლისა და ვისაც არა აქვს მიწა და წყალი, ის კაცი აზატია, სადაც უნდა წავიდეს არ არის სამართალი ხელმწიფეთაგან და თავადთაგან ძალად დაჭერა და დაუენება ერთს ადგილს, გინდა და არა აქ იყავო». სომხური სამართალი მუხლი რ ო ა.

შეხედულობისათვის უნდა მოეძებნა სხვა და-სხვა ისტორიული და სოციოლოგიური საბუთები, რადგანაც ამას ითხოვდა საგნის ულრესი მნიშვნელობა. სასენებულ მუხლიდგან მხოლოდ ის დასკვნა გამოდის, რომ ვისაც არა ჭსურს სხვის მიწით და წყლით ისარგებლოს, ის თავისუფალია და სადაც უნდა წავა, იგი აზატია. თუმცა საქართველოს მაშინდელი მთავარ-მმართებელი გენერალი გოლოვინი ბარონ განის აზრს უარ-ყოფდა ცალკე წერილში, [5]) მაგრამ ამ უკანასკნელის ხმა მაინც ძლიერი იყო. ბარონ განის აზრმა დიდი შთაბეჭდილება იქონია მმართებლობის წრეებში. ასტიკად მიჭვეს სელი შეესწავლათ და განემარტათ სხვა-და-სხვა კითხვები წოდებათა შესახებ. მთავრობას ეწადა თავისუფალ მხვნელ-მთესველ გლეხთა წოდების დაარსება. [6]) სამწუხაროდ, თვით ჩვენი თავად აზნაურობა წინ აღუდგა მთავრობის კეთილს განზრახვას, გზაზე გადაეღობა ასარგებლო საქმეს, და უფრო სამწუხარო ის იყო, რომ ამ საქმეში ჩვენი კეთილ-შობილური წოდება ხელმძღვანელობდა ვიწრო პირადი სარგებლობით, წოდებრივი ანგარიშით, საზოგადო საქმე, საერთო კეთილი კი აკიწყდებოდა. ჩვენმა თავად-აზნაურობამ მიართვა ცალკე წერილი თავის საჩივრებაზედ სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს, რომელსაც ეს უკანასკნელი საქართველოში მოვიდა და ამ წერილში, წინააღმდეგ ბარონ განისა, ამტკიცებდა, რომ სომხურ სამართალს საქართველოში ძალა ჰქონდა მარტო სომხებისთვის, და გახტანგმა შემოიღო იგი

---

[5]) Сборникъ матеріаловъ, стр. 265—267., იხილე აგრეთვე Сборникъ статистическихъ свѣдѣній о Кавказѣ, т. I. стр. 14—15.

[6]) Сборникъ матеріаловъ, стр. 268—269.

იმ განზრახვით, რომ უფრო ბლომად გადმოესახლებინა სომხები სპარსეთიდგან და ოსმალოდგან, სადაც მათ სდევნიდნენ. თავად-აზნაურობა, რასაკვირველია, მართავლს ამბობდა, რომელ ამტკიცებდა, რომ ბატონ-ყმობა კანონიერი შვილი იყო ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, თუმცა კი სცდებოდა იმაში, კითომ სომხურ სამართალს ძალა და მნიშვნელობა არა ჰქონია ქართველთათვის. ამ სამართლით ხელმძღვანელობდნენ ქართველი მსაჯულები იმ შემთხვევაში, როდესაც თვით ვახტანგის სამართალი რომელიმე იურიდიულ ფაქტზე არას იხსენიებდა, არას ამბობდა [7]). აქ საკვირო ის კი არ არის—რამოდენად მართალი იყო ჩვენი კეთილ-შობილური წოდება თავის იურიდიულ საკაში, არამედ ის, რომ ამ წოდებამ გაიმარჯვა, რადგანაც თვით მთავრობამ ყარ-ჭყო ბარონ განის აზრი და განმარტა, რომ არ შეიძლება დასკვნის დაფუძნება მარტო ერთს 171 მუხლზე, რადგანაც სხვა მუხლნი სომხური სამართლისა ეწინააღმდეგებიან ხსენებულს მუხლს. [8]) ბარონ განი გატაცებული იყო მალალის აზრით, წმინდა გრძნობით. იმის მოგონების დროს

---

[7]) Сборникъ матеріаловъ, стран. 252, примѣч.

[8]) მაგ., მუხლი ლ ბ «ვინცა ვინ თავის-თავის ხელთ მქონე მივიდეს ვისთანაც საყმოდ და თქვას კაცთა წინაშე თუ შეეგქნილვარ ყმა ამისი, ვისაც აყმო თავისი თავი თვითონ თუ იყოს კაცი იგი ოცის წლისა დაკარგოს თავისი თავი ხელთ მქონებიდამ... თუ ფასიც რამ გაუღია და შეუსვამს შეუჭამია დარჩა იგი კაცი ყმად მას კაცსა, ვის წინაც ეს რაც ქნას და თქვას». იხილე ეგრეთვე მუხ. ლ გ, სადაც ქალს შეეძლო მოახლედ მისცემოდა სხვას იმ პირობით, რომ მოახლედ გამყოლი ოცის წლისა უნდა ყოფილიყო. См. Сб. Матер., стр. 253. Сбор. статист. свѣд., стр. 7, სადაც ჩამოთვლილნი არიან მუხლნი, რომელნიც არღვევენ 171 მუხლს.

საქართველოში, დაბალს წოდებას ბედმა გაუღიმა, შეიძლებოდა ეს ღიმილი სიხარულად გადაქცეულიყო, მაგრამ თვით თავად-აზნაურობა გაჭირვებაში ჭყედავდა თავის-თავს, შელავათს მოელოდა იმიდგან, რომ ყმები სრულიად მორჩილნი ყოფილიყვნენ ბატონებისა და დაუყოვნებლივ ეხადათ მათ სასარგებლოდ მრავალ-გვარი ხარჯი. კიდეც ამიტომ გენერალი გოლოვინი სწერდა უმაღლესს მთავრობას, რომ უფრო მეტად განემტკიცებინათ ბატონების უფლება, ჩვენი ბატონ-ყმობა რუსეთის წესზე, იქაურ ბატონ-ყმობის კვალზე დაეყენებინათ; ამ გვარი მოქმედება უშველის მალალ-წოდებას და დაკმაყოფილებს მისს განზიერს სურვილს, მოთხოვნილებათა.[9])

მკითხველი თვითონაც ჭყედავს, რომ ბარონ განი სცდებოდა. ჩვენმა უფლებამ, სამართალმა ძველადგანვე იცოდა ბატონ-ყმობა, რომელიც იყო შედეგი ფეოდალურის სახელმწიფოისა. ეს ბატონ-ყმობა, როგორც ალიარებული ისტორიული ფაქტი, როგორც განხორციელებული იურიდიული მოვლენა, შეტანილ იქმნა ვახტანგის მიერ მის განონებში და ეს განონები ხომ უკლებრად ცხოვრებიდგან იქმნენ ამოღებულნი, უტეუარად ჭყატავდნენ მაშინდელს ისტორიულს სინამდვილეს. გარდა ამისა, ვახტანგმა თავის განონთა კრებაში მხოლოდ ის იურიდიული წესები შეიტანა, რომელნიც ძველ დროიდგანვე შეკავშირებულნი იყვნენ ხალხის ცხოვრებასთან, მის ჩვეულებასთან. ხსენებულ განონთა კრებაში ვრცლად არის ნაჩვენები რა გზით, რომლის საშუალებით არსდებოდა ყმობა; მაგ., ჩვენმა განონმა იცის ბოძება მეფისაგან (ვახტ. სამ.,

---

[9]) Сбор. Статист. свѣд., стр. 14—15, Матер. Зиссер. стр. 265—267.

მუხლი. 233), შეუძლებელ მოკვლეს ყმად აყვანა («ესეც იქმნების, მოკვლეს რომ კაცი ვერ აუვიდეს, საქონელი არა ჰქონდეს, კაცი მიეცემის იმ საქმით, რომ ურჯულოზედ არ გაყიდოს» მუხ. 142), უკანონო შვილს შეეძლო თავის ძმებს ჰყმობოდა და სხ. მაგრამ როდის დაარსდა ყმობა, რომელ უკანასკნელ მეფეების დროს, როგორც ჰფიქრობს ბარონი განი, გადაჭრით არ შეიძლება ითქვას, თუმცა კი ყმობა მოიხოვება ჩვენში მეცხრე საუკუნეშიაც[10]). აქ შევნიშნავთ, რომ თვით სიტყვას «ყმა» სხვა-და-სგვა მნიშვნელობა ჰქონდა, იგი ნიშნავდა მეფის ერთგულს, წინად «ყმას» უწოდებდნენ თავის-თავის გამყიდველს; ხოლო შემდეგში ამ სიტყვით იხსენიებდნენ ყველა იმ პირებს, რომელნიც სხვების დამოკიდებულების ქვეშ იმყოფებოდენ[11]).

რადგანაც ჩვენი წარსული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრება ფეოდალურ წესზე იყო გამართული, ამისათვის თვით გლეხ-კაცობის იურიდიული აგებულობაც საზოგადო ფეოდალურ წესს ეთანხმებოდა; როგორც სხვაგან, მაგ., დასავლეთს ევროპაში, სადაც ფეოდალიზმმა შექმნა სხვა-და-სხვა გვარი გლეხ-კაცობა, ისე ჩვენში დაბალი წოდება, გლეხობა და-და-სად იყო დაყოფილი: თვითეულს დასს თავის ადგილი ეჭირა სახელმწიფო შენობაში, თავისი უფლება და ვალდებულობა ჰქონდა შემოხაზული. როგორც სხვა წოდებაში, ისე გლეხობაშიც განხორციელებული იყო დიდ-ბატარაობა, იურიდიული უფრო-უმცროსობა (თუ ასე შეიძლება ითქ-

---

[10]) Крѣпостное право въ Грузіи, стр. 23, Г. Калантарова.

[11]) ibid, стр. 21.

ვას) და როდესაც ერთი გლეხი განსხვავდებოდა მეორესაგან თავის უფლებით, მაშინ ამ განსხვავებას თავისი საბუთი ჰქონდა და საბუთიც სხვა-და-სხვა ნაირი იყო. ფერადად აკრძალებულს გლეხობას თავს დასცქეროდნენ მსახურნი, რომელნიც შეადგენდნენ ცალკე წოდებას; ეს წოდება იყო შემაერთებელი ხიდი გლეხობის და მაღალ-წოდების შორის. მსახურის სისხლი ერთი-ოდად ძვირი იყო უბრალო გლეხის სისხლზე (მუხ. 32 ვახტ. სამ.), მას შეეძლო აზნაურობა მიეღო ბატონისაგან. დანაშთენი გლეხობა ოთხს წრეში იყო მოთავსებული, ოთხს ნაწილად განყოფილი. პირველს ნაწილს ეკუთვნოდენ: შემოხიზნულნი, უცხოეთელნი, რომელნიც სცხოვრებდნენ ბატონების მამულზე და საბატონოს ხდიდნენ, როგორც დროებით ვალდებულნი გლეხნი. მათი დასაკუთრება არ შეიძლებოდა, რადგანაც საბატონოს ძლევის გარეშე, იგინი მოშორებულნი იყვნენ ყოველგვარ დამოკიდებულებას. მეორე დასს შეადგენდნენ ისეთნი გლეხნი, რომელნიც დიდი ხნიდგან დასახლებულნი იყვნენ ბატონის მიწაზე; ეს მიწა, მამული, თუმცა ბატონის საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ გლეხის ხელში იყო სარგებლობა და მფლობელობა. ჯანი და ღონე ჩაღვრილი ჰქონდა ამ გვარ მამულში; სამართალიც და ჩვეულებაც თხოულობდა, ეს მამული მისთვის უმიზეზოდ არ გამოეწირა ბატონს. კიდეც ამიტომ ამ მამულზე გლეხს ჰქონდა სამემკვიდრო უფლება. მესამე ადგილი ეჭირათ მონებს, ნასყიდს გლეხებს, მოთხე—ყმებს [12]). გლეხ-კაცობის ამ გვარი დანაწილება, დას-დასად დაყოფა მიაჩნათ უმთავრეს მიზეზად ძისი დაჩაგვრისა, შეკიწროებისა. გლეხ-კაცობა არ წარმოად-

---

[12]) Крѣпостное право, стр. 20—21.

გენდა ერთიანს სხეულს, ერთს შეერთებულს ძალას, გიდეც ამიტომ ვერ შეეძლო აჯანყებულიყო ფეოდალების წინააღმდეგ, რომელსაც აჯანყებას ითხოვდა გარემოებანი, ასე ამბობენ მრავალნი, ასე ამბობს თვით ყალანთარაშვილიც. [13]) მაგრამ ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა მართლა დაჩაგრული იყო და მერე მოიძებნოს მიზეზი—თუ რისთვის საქართველოს გლეხ-კაცობის ისტორიამ არ იცის ყაგერია და სხვა ამ გვარი ნაყოფი დასავლეთის ევროპის ფეოდალიზმისა.—

საქმე ის არის, რომ, როგორც უკვე შევნიშნეთ, თვით ჩვენი კანონი ალიარებდა გლეხ-კაცის ზნეობრივს და პიროვნულს თავისუფლებას. ჩვენს კანონებში დიდის ზოლით არის გატარებული ეგრედ-წოდებული პოლიციური მზრუნველობა (полицейская опека), ის სახელმწიფო გამგეობის სისტემა, რომელიც წარსულს საუკუნეს დაგვირგვინდა დასავლეთის ევროპის სახელმწიფოში (Polizeistaat). კამონების გარდა ამ მზრუნველობას უფრო ხშირად ვპოვებთ ჩვეულებაში. გლეხი, კანონის და ჩვეულების ძალით, რადი იყო რომაელების «servus», რომელიც შადგენდა მონარეს ნივთს. არა, სახელმწიფო ზრუნავდა გლეს-კაცობაზე, იფარავდა მას. «.... ეს ამიტომ დავსწერეთ, რომ ნურა-კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა, ექვს წელიწადს სხვაგან დაჭყოფს, მოვა, ხელმწიფეს ეუმობა და ყმა დაგეკარგებათ». (კასტ. სამ., მუხ. 201) უკეთუ ბატონი ცუდად მოეპყრობოდა ყმას, «ძალას დაატანდა», ყმას შეეძლო სხვა ბატონს შეხიზნოდა, დაეყო მასთან ოცდა-ათი წელიწადი და სრულებით განთავისუფლებულიყო მოუ-

---

[13]) ibid.

სვენარი ბატონისაგან (იქვე, მუხ. 202; თრიალეთზე წასულიესათვის ვადა თორმეტი წელიწადი იყო—«თრიალეთზე ქართველის ბატონის სახასოშიდ თორმეტის წლის წასული რომ მოუვიდეს, ალარ მისცემენ»). არა თუ მარტო კანონში ვპოულობთ მზრუნველობას გლეხ-კაცობაზე, არამედ მართებლობის კერძო განკარგულებაშიაც. ამ გვარის მზრუნველობით აიხსნება, მაგ., ის საყურადღებო ფაქტი, რომ 1765 წელს მეფე ირაკლი მეორემ ბძანება გამოსცა, რომ ტყვეობიდგან დაბრუნებული გლეხი თავისუფალი იყო და ვინც ჩსურდა, იმას ეყმობოდა.[14]) ეს მზრუნველობაც რომ არ ყოფილიყო, მაინც არც თვითონ გლეხი გახლდათ ისე ღრმად დაჩაგრული, ყოველ პროტესტის ძალას მოკლებული, როგორც ჩვიქრობენ. მართალია, ჩვენმა ისტორიამ არ იცის ისეთი ჯგუფად გლეხების აჯანყება, როგორსაც ვხედავთ პუგაჩოვის დროს რუსეთში და სხ., მაგრამ ეს კიდევ არაფერს ამტკიცებს. ჯგუფად აჯანყება იმას მოგვითხრობს, რომ მთლად გლეხობა შეკიწროებული და დაჩაგრული ყოფილა და, თუ ჩვენში ამ გვარს აჯანყებას არა ვპოულობთ, უფრო იმიტომ, რომ მთლად გლეხობა, როგორც წოდება, სახელმწიფოსა და მაღალის წოდების მზრუნველობის ქვეშ იყო. კერძოდ, ცალ-ცალკე გლეხი ჩვენშიც ხშირად იჩაგრებოდა, მაგრამ პროტესტსაც იჩენდა. და თუ გლეხს «ძალას დაასტანდნენ», მას ადვილად შეეძლო მოეკლა თავისი შემაწუხებელი ბატონი, გაეყლიტა კიდეც მთელი სახლობა მისი და გაქცეულიყო სამზღვარ-გარეთ. ამ გვარი მოვლენა ხშირად ხდებოდა

---

[14]) Д. П. Пурцеладзе. Груз. Крестьян. Грамоты, стр. 17.

და გარემოებაც ხელს უმართავდა გლეხობას.[15]) კიდეც ამი-ტომ ბატონი იძულებული იყო ადამიანურად მოპყრობოდა თავის გლეხებს, კაცურად მოქცეოდა მათ. ურთი-ერთობრივი სათნოება, ნდობა—აი საფუძველი, რომელზედაც ამოუვანილი იყო ის დაწესებულება, რომელსაც ბატონ-ყმობა ეწოდებოდა და რომ ეს სათნოება, ნდობა იყო ნამდვილი ფაქტიკური ძალა უეჭველ აშკარად მტკიცდება ჩვეულებით. მაგალითად, ჩვეულება თხოულობდა, რომ ბატონი შიმშილობის დროს შესწეოდა თავის გლეხებს. ამ უბედურობის გამო მთელი წლის განმავლობაში სოფელი განთავისუფლებული იყო ყოველ-გვარ სარჯისგან; ეგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც მტერი აოხრებდა სოფელს, აოხრებულს სოფელს არა რაიმე გარდასახადი არ მოეთხოვებოდა, ვიდრე მცხოვრებლები არ მოგეთდებოდენ და სხ.[16]) ურთი-ერთობრივს სათნოებას, ნდობას, მკვიდრს კავშირს თხოულობდა სახელმწიფოს საჭიროება, პოლიტიკური ინტერესი და არა თუ მარტო მეფეები, არამედ უმაღლესნი მოხელენიც კი ფხიზლად, სასტიკად ზრუნავდნენ, ეს სათნოება, კავშირი არ შერყეულიყო. ლრმად სცდება ბ. ყალანთარა-შვილი,[17]) როდესაც ამბობს, რომ ჩვენს მეფეებს ვითომ ძალა არა ჰქონდათ კანონები აღსრულებაში მოეყვანათ. არა, მეფე-

---

[15]) Крѣпостное право, стр. 31—32. აქ ბ. ყალანთარა-შვილს ჩამოთვლილი აქვს ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობდენ გლეხს თავი დაეხსნა შევიწროებისაგან. ავტორის სიტყვით აღმოსავლეთ საქართველოში გლეხი უფრო დაჩაგრული იყო, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. რადა?—ცალიერი სიტყვების გარდა არა რაიმე საბუთი არ მოჰყავს.

[16]) Крѣпостное право, стр. 25, 46.

[17]) ibid, стр. 23, 26.

ბი და მათი შვილები თვით უდიდეს ფეოდალებსაც კი ნებას არ აძლევდნენ კანონის წინააღმდეგ მოეხდინათ რაიმე. 1781 წელს გლეხმა სვიმონ პეტრიაშვილმა იჩივლა მეფის მემკვიდრეს გიორგისთან (უკანასკნელი მეფე საქართველოსი), აბელ ანდრონიკაშვილმა ორი ქალი მოიტაცა და მოახლებათ წაიყვანა, ერთი კიდეც გააუპატიურა და ორსულად არისო. მეფის შვილმა ბძანება მისწერა მოურავს რეკვაზს: გაიგე ეს ამბავი და თუ მართალი გამოდგეს, პეტრიაშვილი თავის სახლობით ჩამოართვი ანდრონიკაშვილს და სახელმწიფოო მამულზე დასახლე. უთხარ, «მამაძღლს» აბელა ანდრონიკაშვილს, რომ თუ წინააღმდეგობას გასწევს, მიწასთან გავასწორებთ. ეს კარგად იცოდეს იმან. [18]) რასაკვირველია, ბატონისაგან ყმის დაჩაგვრა ხშირს მოვლენას შეადგენდა, მაგრამ თვით ბატონ-ყმობაც ხომ ამ დაჩაგვრას ნიშნავდა, ამ მოვლენას მოასწავებდა. საქმე ის არის, რომ ძველი ჩვენი გლეხობა ისე არ იყო დაჩაგრული, როგორც შემდეგში და არ იყო იმიტომ, რომ ბევრი გარემოება ეხმარებოდა მას, ხელს უწყობდა. და რომ ყოველივე ეს მართალია, სჩანს იმ ფაქტიდგანაც, რომ 1832 წელს საქართველოს მთავარ-მმართებელმა ბარონ როზენმა შეამოწმა ზნეობითი და ეკონომიური გეთილი განწყობილება ბატონების და ყმების შორის, რომელიც ძველს ჩვეულებაზე იყო აშენებული. უმაღლესმა მთავრობამ მოსთხოვა ბარონ როზენს აზრი, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო გლეხების გარდასახვა. მთავრობას ეწადა შეეცვალა გლეხების ეკონომიური დამოკიდებულება და ეს უკანასკნელი რუსეთის ბატონ-ყმობის კვალობაზე,

---

[18]) Грузин. Крест. грам., стр. 38; იხილე ეგრეთვე გვ. 29, 45, 31. 79 და სხვანი...

წესზე დაეუენებინა. თავის პასუხში 11 თებერვლიდგან 1832 წ. ბარონ როზენმა მოახსენა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ გლეხ-კაცობა კმაყოფილია თავის ძველებური ჩვეულებისა და ეკონომიური დამოკიდებულების შეცვლა რუსულ წესზე საჭირო არ არისო [19]). მარტივი სახელმწიფოებრი ცხოვრება, მოშორებული ბიუროკრატიულს სენს, ბუნებრივი სახელმწიფო მეურნეობა, რომელიც ეკონომიურად ისე არა სჩაგრავს გლეხობას, როგორც ფეოდალური მეურნეობა—ია, სხვათა შორის, მიზეზი გლეხ-კაცობის კეთილ-მდგომარეობისა. მართალია, პირველი შეხედვით მკითხველს ეგონება, რომ გლეხობას დიდი გადასახადი ედვა, რადგანაც თვით გადასახადი მრავალ-გვარი იყო [20]), მაგრამ, ჩვეულების ძალით, გლეხი გარდასახადს აძლევდა შეძლებისა გვარად და ისიც ფულით არა, და ეს გარემოება დიდს შელავათს უშვებდა მას. ყოველსაგე ამას ზედ უნდა დაუმატოთ განსაკუთრებითი თვისება მეფის უფლებისა [21]). ეს თვისება ამხნევებდა გლეხ-კაცობას, რადგანაც ამ თვისების ძალით მეფე იყო დაბალი წოდების მფარველად. კიდეც ამიტომ ხშირად თუ გლეხს დაუშავებდნენ რასმეს, პირ-და-პირ მეფესთან მიდიოდა საჩივლელად. მეფის ბძანებით საჩივარიც ძალე თავდებოდა. ზემოხსენებულით ჩვენ სრულებითაც არ ვუკმევთ გუნ-

---

[19]) Сбор. матер., стр. 275—280.

[20])Грузин. Церковн. Гуджари, стр. 78—79, 110 და სხ.

[21]) შემდეგ მშვენიერის სტრიქონებისა მეფის უფლების თვისებაზე («ივერია» № 8, 1881 წ., წერილი, «რანი ვიყავით გუშინ?», გვ. 73—75,) რომელნიც ეკუთვნიან ბატონ ი. სვიმონიძეს, ჩვენ აქ მეტად მიგვაჩნია განმეორებით ამ უფლების თვისებაზე ბაასი.

დრუკს ჩვენის გლეხ-კაცობის წარსულს მდგომარეობას. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ეს მდგომარეობა არ იყო ისე ცუდი, როგორც ჭგონიათ ბევრს და იქნება ჩვენი გლეხობის ყოფაცხოვრება უფრო ცუდი არა ყოფილიყვეს, ვიდრე დასავლეთის ევროპის ზოგიერთა სახელმწიფოებში, მაგ., საფრანგეთში, რომლის დაბალს წოდებაზე აი რას სწერდა მეჩვიდმეტე საუკუნეს მწერალი ლაბრუერი: «სოფლებში ერთგვარს პირუტყვებს ჭხედავ,—ბინძურებს, გამხდრებს, შიშველებს, მზით დამწვრებს; ისინი დაჭკრობიან მიწას, დიდის გაჭირვებით სჩიჩქნიან მას, მცენარეების ლერწს და ფესვებს დაეძებენ საჭმელად. იმათ თითქმის არ შეუძლიანთ ადამიანურად ხმის ამოღება; მხოლოდ მაშინ, როდესაც ფეხზე წამოდგებიან, თქვენ შენიშნავთ, რომ ისინი ადამიანები არიან, ნამდვილი ადამიანები!..» [22])

ლირს-შესანიშნავია ერთი მოვლენა გლეხ-კაცობის ცხოვრებაში. ძველს საქართველოში დაბალი წოდების კაცი ხშირად თვითონ ეძებდა ბატონს, ყმად აძლევდა მას თავის თავს. ასაბლოგიურ მოვლენას ვხედავთ ევროპაში. იქ ეგრედ წოდებულნი უმამულო ვილლანები ყმებად ეძლეოდნენ ზოგიერთა ძლიერ ფეოდალებს იმ მიზეზის გამო, რომ ეს უკანასკნელნი მფარველობას უწევდნენ მათ, შეწუხებისაგან იხსნიდნენ. [23]) დასავლეთ ევროპაში ამ მოვლენის პირველი და უკანასკნელი მიზეზი არეულ-დარეულობა, უწესობა იყო, რომელიც თან მოჰყვა ფეოდალობას. იქ სუსტს და უძლურს ძლიერისთვის უნდა მიემართა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაანადგურებდნენ. ჩვენშიც,

---

[22]) Организація Уголовной юстиціи Беко, стр. 311—312.

[23]) ibid, стр. 168—169.

რასაკვირველია, ფეოდალურ ანარქიას ადგილი ჰქონდა, მაგრამ აქ ბატონი, ფეოდალი იზიდავდა თავისკენ გლეხს უფრო თვით ბატონ-ყმობის ხასიათის, მიმართულების ძალით, მით რომ ბატონი ხშირად «პატრონი» იყო თავის გლეხისა[24]). არეულობა არ იყო უმთავრესი და მუდმივი მიზეზი. მემკვიდრე გლეხი, რომელსაც არავინ და არა აწუხებდა რა, ბირობას აძლევდა ბატონს, გეყმობი და შენ კანონიერად, სამართლიანად მამეკიდე, ჩემზედ ძალა არ იხმარო (მაგალითად, დავით ზბითელის წერილი ბახუტა თულაშვილისადმი, Крест. Грамоты, стр. 49 და სხ.) საკვირველია, რომ შემდეგში, აწინდელი საუკუნის 20 წწ. დასაწყისში ურთიერთობითი დამოკიდებულება თავად-აზნაურობის და გლეხ-კაცობის შორის ძირეულად შეიცვალა. გლეხ-კაცმა დაჭკარგა ძველებური სათნოება, ნდობა და ხელი მიჭყო რომ თავი როგორმე დაეხსნა ბატონისაგან. მეტად გახშირდა საჩივარი, დავი-დარბაზ—არა, მე ამის ყმა, ამის კაცი არა ვარო. ამის მიზეზთ ის მიაჩნდათ, ვითომ ბატონებმა ყმების კუთვნილობის დაწერილი საბუთები დაჭკარგეს არეულობის დროს საქართველოს დამოუკიდებლობის უკანასკნელ წლებში და ეს შეიტყეს ყმებმა; ამას იმასაც უმატებდნენ, რომ ბოლიცია თავის მოქმედებით აქეზებდა გლეხ-კაცობასა. რადგანაც გლეხ-კაცობა თავისას არ იშლიდა, მთავარ-მმართებელი თ. ვორონცოვი იძულებული იყო მოეხსენებინა ეს გარემება ხელმწიფისათვის, რომლის ბძანებით დაწესდა, რომ გლეხს არ გაებედნა თავისუფლების ძებნა მარტო იმის მიხედვით, რომ ბატონს ხელთ არა ჰქონდა დაწერილი საბუთი; თუ ჰსურდა თა-

---

[24]) Крѣпостное право въ Грузіи, стр. 21

ვი გაუნთავისუფლებინა, უნდა დაემტკიცებინა, რომ ან თვითონ, ან მამა მისი და ან ბაბა წინად თავისუფალნი ყოფილან.[25]) მთავრობა სცდილობდა ყმების მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. 18 მარტს 1825 წელს და 6 სექტემბერს 1826 წ. გამოიცა ორი ბძანება, რომლის ძალით უგეთუ მებატონე ზომას გარედ სარჯს გარდასხდეკინებდა ყმას, შეუბრალებლად მოეკიდებოდა მას, ერთის სიტყვით, რაიმე ბოროტ-მოქმედობას იქმოდა, მაშინ მთავრობა მის მამულს, ყმებს თავის მზრუნველობის ქვეშ აიყვანდა (опека)[26]), მაგრამ გლეხ-კაცობა მაინც თავისას არ იშლიდა, დაკას არ სტოვებდა. რისთვის? უმთავრესი მიზეზი ამ მოვლენისა იმაში უნდა მოიძებნოს, რომ უწინ თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა ერთს საზოგადოებრივ სხეულს შეადგენდნენ, ორგანიულად იყვნენ შეკავშირებულნი. ბატონი ჩასჭირებდა გლეხში, გლეხი ბატონში. დამოუკიდებელი სასოფლოშეითვო, გარემოცული მტრებით, თხოულობდა წოდებრივს კავშირს, სათნოებას წოდებათა შორის და კიდეც ეს კავშირი, სათნოება მკვიდრად იყო განხორციელებული. შემდეგ 1801 წ. ბატონ-ყმობის ხასიათი, მიმართულება შეიცვალა. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ თვით მთავრობამ გამოსცა ზემოხსენებული ბძანება (უქაზი) ყმების სასარგებლოდ. ბძანება, რასაკვირველია, საჭირო არ იქნებოდა, თუ კი გლეხ-კაცობა გაჭირვებაში არა ყოფილიყო.

რაც ყამი და დრო გადიოდა, იმდენად crescendo ისპობოდა, იფუშებოდა ძველებური განწყობილება ბატონსა და ყმის შორის. 1823 წ. მთავრობამ ისურვა გამოეკვლია ეკო-

---

[25]) Сбор. статист. свѣд. стр. 32—33.
[26]) Сбор. матер., стр. 278.

ნომიერი მდგომარეობა ყმებისა, რაოდენობა მათის გადასახადისა. ეს კითხვა ადიძრა იმის გამო, რომ, როგორც შეკნიშნეთ, ყმებმა გამართეს სახიერები თავისუფლების მოსაპოვებლად. მთავრობას ეწადა შეეტყო თუ რამოდენად შეიწროებულია გლეხკაცობა. გენერალ ერმოლოვმა, საქართველოს მთავარ-მმართებელმა, წინადადება მისცა «საქართველოის უზენაეს მმართებლობის საზოგადო კრებას», რათა მას მოეწვია თავად-აზნაურობის წინამძღოლნი და გამოჩენილნი მებატონენი და მათის დახმარებით გამოეკვლია — რამოდენს გადასახადს აძლევდნენ მებატონეებს თავისუფლების მეძიებელნი გლეხნი. სამის წლის შემდეგ (1826 წ. 30 აპრილს) «საზოგადო კრებამ» მოახსენა გენერალ ერმოლოვს, რომ საქართველოში ყმების გადასახადი გადაჭრილი და განსაზღვრული არ არის, თუმცა ეს გადასახადი დიდია და მრავალ-ნაირია. ამას «საზოგადო კრება» იმასაც უმატებდა, რომ შეიძლება ისე დაწესდეს, რომ თავისუფლების მეძიებელნი ყმანი, რომელნიც ლალას და კულუს არ იხდიან, სამ დღეს ემსახურონ ბატონს კვირაში, ხოლო ისინი კი, ვინც ლალა-კულუს აძლევენ, ორ დღესაო. კრებამ წარუდგინა ერმოლოვს სხვა-და-სხვა გადასახადის სია. ამ სიიდგან სჩანს, რომ გლეხი ყველაფერს აკეთებდა თავის ბატონისათვის, ყველაფერს აძლევდა მას. [27]) «საზოგადო კრების» აზრი უშედეგოდ დასტოვეს, მაგრამ საქმე კი ამითი არ გათავდა. 1831 წელს საქართველოში მოვიდნენ რევიზორებით გრაფი ქუთაისოვი და მეჩნიკოვი. ამათ განიხილეს «საზოგადო კრების» შრომა, გადაწყვეტილება და პასკევიჩ-ერივანსკის ნება-დართვით მოახსენეს ხელმწიფეს—საქართველოშიაც ისეთი ურთიერთობა

---

[27]) Сбор. матер. стр. 274—275.

დაარსებულიყო, როგორც რუსეთში იყო მებატონეთა და გლეხთა შორის. ამ აზრს წინააღუდგა ბარონ როზენი, რომლის შეხედულობა ამ საგანზე უკვე იცის ჩვენმა მკითხველმა.

1847 წელს «მთავარ-სამმართველოს რჩევა» (Совѣтъ Главнаго Управленія) შეუდგა პროექტის შედგენას, რომელსაც სახელად ეწოდებოდა: «Систематическій сводъ отношеній помѣщиковъ къ крестьянамъ и обратно». ეს პროექტი წარუდგინეს თ. ვორონცოვს, რომელმაც, შემდეგ განხილვისა, წარმოსთქვა, რომ პროექტი უეჭრო დიდს უფლებას აძლევს ბატონს, ვიდრე ძველად ჰქონდა მას მინიჭებული. ვორონცოვს ჩსურდა გაეგო — რა შეხედულობისა იყო თვითეული მაზრის თავად-აზნაურობა. ამისათვის მან უბრძანა თავად ბებუთაშვილს მაზრის კომიტეტები დაეარსებინა. რადესაც კომიტეტები დაარსეს და მათ მოსთხოვეს წარედგინათ მთავრობისათვის შენიშვნები პროექტზე, მაშინ აშკარად აღმოჩნდა მტრობა თავად-აზნაურობისა გლეხ-კაცობისადმი. პროექტში ჩართული იყვნენ ზოგიერთა ლიბერალური ზომანი, წესები გლეხ-კაცობის სასარგებლოდ. ეს მეტად არ ესიამოვნა თავად-აზნაურობას. სამწუხაროდ, დიდი ანგარება გამოიჩინა კორის მაზრის თავად-აზნაურობამ. აი ნიმუშად ზოგიერთა ზომანი, რომელნიც ურ-ჭყო კორის მაზრის ეგრედ წოდებულმა მალალმა წოდებამ. პროექტის მეოერთმეტე მუხლი თხოულობდა, რომ უკეთუ ბატონი მოჭკლავდა თავის გლეხს, მოკლული გლეხის ოჯახი და მისი გაუყრელნი ძმანი ყმობიდგან უნდა განთავისუფლებულიყვნენ და სახელმწიფო გლეხებად შერიცხულიყვნენ. მესუთე მუხლის ძალით, თუ ბატონი ახლად გაუშენებდა სოფელს, გლეხნი ექვსი წლის განმავლობაში თავისუფალნი იყვნენ სახელმწიფო გარდასახადისაგან (ამას ით-

ხოგდა ძველებური ჩვეულებაც, (Крѣпост. право, стр. 46). მეთერთმეტე მუხლის ძალით, რომელსაც ცალკე გლეხი, მთელი ჯალაბობა ან სოფელი უნდა გასყიდულიყო ვალში, თვით გლეხს ან სოფელს შეეძლოთ დანიშნული თანხა წარედგინათ და თავისუფლება მოეპოვათ, თუ სხვა მსყიდველი არ აღმოჩნდებოდა. გორის მაზრის თავად-აზნაურობამ ურჩ-ყოფს მუხლნი იმ მიზეზების გამო, რომ ჩემი სასარგებლონი არ არიან. [28]) არც სიღნაღის მაზრა ჩამორჩა უკან გორის მაზრას. იქაური თავად-აზნაურობა თხოულობდა ნება მოგვეცით გლეხები დავაგირავოთ საქართველოს გარდა სხვაგანაცა და არა მარტო «პრიკაზშია» (Приказъ общественнаго призрѣнія), საჭირო ჩვენს ქალებს მზითევში მთელი სოფლები გავატანოთ და ნება გვქონდეს იმერეთშიც ვიყიდოთ გლეხები და იქიდგან გადმოვასახლოთ. [29]) ცოტად ადამიანური გრძნობა გამოიჩინა თბილისის მაზრის თავად-აზნაურობამ. [30]) თვით თ. გორჩაკოვმა უფრო ლიბერალურად შეჴხედა პროექტს; ამის კეთილ-შობილური აზრი და გრძნობა უჩვენებდა საზოგადოებას, რომ მთავრობა ზნეობით და გამჭრიახობით დაშორებით მაღლა იდგა ჩვენს თავად-აზნაურობაზე. სამწუხაროდ, საქმე ვერათერით ვერ დაბოლოვდა, რიდგანაც თ. გორჩაკოვმა დასკვნა, რომ ვიდრე მამულები არ გაიმიჯნება და თავად-აზნაურობა ფორმალურად არ დაიმტკიცებს ლირსებას, შეუძლებელია ურთი-ერთობრივის დამოკიდებულობის შეცვლა,

---

[28]) Сбор. матер. стр. 282—292.
[29]) ibid, стр. 293.
[30]) ibid, стр. 291.

ბატონ-ყმობის ახალს წესზე დადგენა[31]). მკითხველი თვითონაც ჭხედავს ჩვენი თავად-აზნაურობის მოქმედებას, მის ზნეობრივს სახეს. საყურადღებო და ღირსშესანიშნავი ის არის, რომ გორის მაზრა იყო უდიდესი ბუდე ფეოდალებისა, ყმების რიცხვი ამ მაზრაში უფრო მრავალი იყო, ვიდრე სხვაგან[32]) და აი სწორედ ამ მაზრის თავად-აზნაურობამ გამოიჩინა მტრობა გლეხობისადმი, გვიჩვენა ვიწრო წოდებრივი ანგარიში, პირადი სარგებლობა.

სულ სხვა ნაირი კაეშირი, ურთიერთობა სუფევდა ძველს საქართველოში. ეს მკითხველს უკვე ვუჩვენეთ, აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ თვით არისტოკრატიასაც კარგად ახსოვდა ძველებური სათნოება და ბატონ-ყმობის გაუქმების წინად თითონვე აღვიარებდა თავის პირით, რომ ბევრი მაგალითები მოიპოვება ბატონს თავი შეეწიროს ყმისათვისა[33]). ოდევლივე ეს მართალია, თუმცა კი, მეორეს მხრით, მართალი არ იყო გენერალ-ლეიტენანტი თ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელიც ჭეიქრობდა, რომ საქართველო უბატონ-ყმოდ ვერ გასძლებდა და უეჭველად მალე დაემხობოდა.[34]) ბატონ-ყმობა ჩვენში, როგორც მოვიხსენიეთ, ძველს იურიდიულს დაწესებულებას შადგენდა, ამ დაწესებულებას თავისი ისტორიული raison d'être მოეპოვებოდა, მაგრამ იგი რადი იყო ისეთი ძალა, რომლის გარეშე სახელმწიფოის, ხალხის არსება არ შეიძლებოდა. ეს

---

[31]) ibid, стр. 295.

[32]) Сбор. статист. свѣд., стр. 37.

[33]) Зиссерманъ, Сбор. матеріаловъ, вып. II, стр. 347 и слѣд.

[34]) ibid, стр. 359.

ავიწყდებოდა ჩვენს თავად-აზნაურობას, როდესაც სჯა დაიწყო ამაზე—მამულით თუ უმამულოდ უნდა განთავისუფლებულიყო გლეხი. საკვირველი რამ იყო ეს სჯა. თავად-აზნაურობას ეგონა, რომ რადგანაც ბატონ-ყმობა უძველესი დაწესებულებაა, რომელმაც შეაკავშირა ორი წოდება, ამისათვის კავშირი მოისპობა, თუ გლეხს საკუთარი მიწა მისცეს და ისე გაანთავისუფლეს. თავად-აზნაურობის ლოგიკით, გლეხ-კაცობას რომ საკუთარი მამულები მისცემოდა, ეს წინააღმდეგი იქნებოდა ზნეობრივის კანონისა, სინდისისა, ეს მოსპობდა კეთილს განწყობილებას მათ და გლეხთა შორის, დასთესდა მტრობას, შუღლს. ერთის სიტყვით, თავად-აზნაურობა ზნეობრივი პრინციპით ამართლებდა თავის აზრს, რომ გლეხს საკუთარი მიწა არ უნდა მიეცესო [35]). შესანიშნავი რამ არის ეს ეგრედ-წოდებული ზნეობრივი პრინციპი, ყველასთვის ყველაში და ყოველთვის გამოსადეგი! რასაკვირველია, თავად-აზნაურობას სრული ნება ჰქონდა ელაპარაკა, რომ თუ გლეხს საკუთარს მამულს მისცემენ, ამითი შემცირდება უიმისოდაც არა-სანატრელი ეკონომიური კეთილ-დღეობა მამულის წოდებისა და ნება ჰქონდა მით უმეტეს, რომ ეს კეთილ-დღეობა დაბალი თვისა იყო, მარლაც და თავად-აზნაურობა ვალით იყო სავსე. [36]) მაგრამ რო-

---

[35]) ibid, стр. 347, აგრეთვე 352—353.

[36]) თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ჰყვანდა დაგირავებული «პრიკაზში» 1 ივნისს 1864 წლამდე გამოტანილს ფულში 30,714 სული ყმა, კაცი და ქალი. ეს ყმები დაფასებულნი იყვნენ თავიანთ მამულებით 2,042,100 მ. სულ ემართა ვალი თავად-აზნაურობას 1,810,840 მ. მეოთხედი ნაწილი მამულებისა პრიკაზში იყო დაგირავებული, ცოტათი კიდევ მეტი, ასე რომ მთელს გუბერნიაში ითვლებოდა 16,409 კომლი, პრიკაზში იყო დაგირავებული, 1864 წ. 4,848 კომლი. Сборникъ статист. свѣд. стр. 36—40.

დესაც თავად-აზნაურობა ბუნებრივ მიზეზებთან (естественныя причины) იხსენიებდა ზნეობრივ მიზეზებსაც (нравственныя причины) და ამბობდა, რომ გლეხს არ უნდა მიეცეს საკუთარი მიწა, მაშინ ერთს ფაქტს ამტკიცებდა, სახელდობრ იმას, რომ საუკუნოდ მოისპო უწინდელი კავშირი ბატონსა და ყმას შორის.

ზემოდ მოხსენებულიდგან საკმაოდ სჩანს, რა დიდი ცვლილება მოხდა ჩვენს ბატონ-ყმობაში, რა ღრმად შეიცვალა მისი ხასიათი, მიმართულება შემდეგ 1801 წლისა. ასლად დაარსებული რუსეთის მთავრობა, შეძლებისამებრ, სცდილობდა, ასე თუ ისე, შელავათი მიეცა გლეხ-კაცობისათვის, მაგრამ საქმეს ვერა უშველა-რა. შემდეგ რუსების შემოსვლისა, საქართველოში სულ სხვა ცხოვრება დაიწყო და ბატონ-ყმობა, როგორც ნაყოფი საუკუნოვის ისტორიულის ცხოვრებისა, უეჭველია, უნდა დაშლილიყო სხვა გარემოებათა, სხვა პირობათა გავლენის ქვეშ და კიდეც დაიშალა, კიდეც განიჭრა ძველებური «ბატონობა—პატრონობა». მთავრობა, როგორც გარეგანი ძალა, აქ არაფერს შუაში იყო. როგორც ვსთქვით, მთავრობა კიდეც სცდილობდა ცოტად თუ ბევრად ჩუმანიურად განეწყო ბატონ-ყმობის საქმე. ამითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მან 1808 წელს, საზულიერო პირნი გაანთავისუფლა ყმობის უღელიდგან, რადგანაც ყმობა საზულიერო წოდების ღირსების დამამცირებელია და, გარდა ამისა, წინააღმდეგიც რუსეთის კანონებისა;

1832 წ. მოქალაქეებს აღუკრძალა ყმების ყოლა და სხ. [37]). თუმცა ჩვენი უფლება დიდს და საპატიო ადგილს აკუთნებდა საზულიერო წოდებას და თავი ამ წოდებისა, კათალიკოზი სუ-

---

[37]) Сбор. матеріаловъ, вып. I, стр. 258.

ლის ხელმწიფეთ იყო მიღებული (ვახტ. სამ. მუს. 25), მაგრამ მაინც მეფეს სრული ნება ჰქონდა მღვდელი ყმად ებოძა ეკლესიისათვის, [38]) თავადისათვის ერთგულს სამსახურში, [39]) ასე რომ არათუ მარტო ეკლესიას ჰყვანდა მღვდლები ყმებათ, არამედ თავადებს და აზნაურებსაც; მეფის მოძღვარიც კი სშიარად ყოველ-გვარ სახელმწიფო და საბატონო სარგს იხდიდა. ეს გარემოება სრულებითაც არ უშლიდა სასულიერო წოდებას კეთილ-დღეობაში ყოფილიყო. თვით მეფე და კერძო პირნი უხვად სწირავდნენ ეკლესიას ყმებს; მთელ სოფლებთან ეკლესიას ებოძებოდა ხოლმე ქორები და მიმინოები, რადგანაც სასულიერო ფეოდალებისათვისაც მიუცილებლად საჭირო იყო ნადირობა. [40]) ეკლესია არა თუ მარტო ქრისტიანებს იყვანდა ყმებად, არამედ ურიებსაც, რომელთაც, სხვათა შორის, სარგად ედოთ ქრისტეს შობის თვეში წმინდა სანთელი მიეტანათ ეკლესიაში (ცხინვალელ ურიას დანიელას წელიწადში ხუთი ლიტრა წმინდა სანთელი ჰქონდა შეწერილი) [41]); არც თათრების ყმობას ერიდებოდა ეკლესია. (1797 წელს ალავერდის სობორს ს. მულანლოში ირეზე სამოცდა-რვა კომლი თათარი ჰყვანდა ყმად; თათრები ყოველ წელიწადს რამდენსამე ტომარას და თითო ხალიჩას აძლევდნენ სობორს; ასე გასინჯეთ, ხალიჩა ხალიანი არ უნდა ყოფილიყო) [42]). საზოგადოდ რომ ითქვას, საეკლესიო ყმანი უფრო კარგს მდგომარეობაში იყვნენ,

---

[38]) Церковные Гуджари, стр. 9, 79 და ბბ.
[39]) Груз. Двор. Грам. стр. 7, Д. Пурцеладзе.
[40]) Церков. Гуджари, стр. 53.
[41]) ibid, стр. 110.
[42]) ibid, стр. 20.

ვიდრე საერო ფეოდალებისა. უმთავრესი ამის მიზეზი ის იყო, რომ ხშირად მეფეები ყოველ-გვარ საზელმწიფო საქმისაგან ანთავისუფლებდნენ საეკლესიო ყმებს, [43]) ანდისანან თხოულობდნენ მათგან ეგრედ წოდებულს თათრების და სამხედრო გარდასახადს, [44]) იშვიათად ნალიოობისას. სასულიერო წოდებას საქართველოში მალალი ადგილი ეჭირა, დიდი პატივი ეპყრა ხალთ, ძლიერი გავლენა ჰქონდა; ამისათვის მეფე ესარჩლებოდა საეკლესიო გლეხს მაშინაც კი, როდესაც ეს გამოსარჩლება წინააღმდეგი იყო ასეთის «დიდებულისა», როგორც მაგ. გოგია ამილახვარი[45]). კიდეც ამიტომ გლეხ-კაცობა ეკლესიას უცქერდა როგორც «მფარველს», «დამცველს», მიესწრაფებოდა მისკენ. საზოგადო მოვლენა იყო, რომ გლეხი უფრო ადვილად კისრულობდა ეკლესიის ყმობას, ვიდრე თავადისას ან აზნაურისას. თუ საერო ფეოდალს თავისი ყმა შეკიწროებაში ჰყავდა, უკანასკნელს შეეძლო შეხიზნოდა ეკლესიას, რომელიც ილებდა მას თავის მფარველობაში. [46]) ეკლესია და მეფე—ესენი პირი, რომელნიც უფრო იზიდავდნენ გლეხ-კაცობას. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ საერო ფეოდალები შედარებით უფრო ცუდად ეპყრობოდნენ ყმებს, ვიდრე ეკლესია. მართალიც არის. ეკლესია უფრო მდიდარი იყო და არ აწუხებდა ყმებს დიდის გარდასახადით; ზნეობით და სწავლა განათლებით სასულიერო წოდება მალლა იდგა საერო ფეოდალებზე, რადგანაც ეს სწავლა-განათლება სასულიერო-წოდებრივის მიმართულებისა

---

[43]) ibid, стр. 13, 22, 27, 103 და სხ.
[44]) ibid, стр. 36, 37.
[45]) ibid, стр. 99 და სხ.
[46]) Церков. Гуджари, стр. 45.

იყო; გარდა ამისა ხსენებული წოდება უფრო ზომიერად სცხოვრებდა და სხ. [47]) მზრუნველობა, რომელსაც მისდევდა თავადაზნაურობა გლეხ-კაცობის შესახებ, ეკლესიისათვისაც შეადგენდა საკმარო საგანს და უფრო დიდს, რადგანაც ეს მზრუნველობა ეკლესიის პირდაპირი საღმრთო მოვალეობა იყო. ამ გვარს საეკლესიო ბატონ-ყმობას ის შედეგი მოსდევდა, რომ საერო ფეოდალები იძულებულნი იყვნენ კარგად მოჭიდებოდნენ ყმებს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, ყმებს შეეძლოთ დაეტოვათ ბატონები და შესიზნოდნენ ეკლესიას. [48]) მაგრამ მაინც საეკლესიო გლეხ-კაცობაც ემორჩილებოდა ფეოდალურს უღელს და ეს უღელი ყოველ შემთხვევაში დიდს და ძძიმე ტვირთს შეადგენდა. და რომ ეს ჭეშმარიტებაა, სჩანს იმ კანონებიდგან, რომელნიც შეეხებოდნენ გლეხ-კაცობის პირადულს და ქონებრივს უფლებას.

როგორ და რა ნაირად იცავებოდა ზნეობირივი არსება გლეხ-კაცისა? კანონის ძალით გლეხი შეადგენდა ბატონის საკუთრებას. ამისათვის ბატონს დიდი უფლება ჰქონდა მინიჭებული გლეხის პირადობაზე; ეს უფლება ყველაფრის ნებას აძლევდა მას, გარდა სიკვდილისა და გახეიბრებისა; «უხელმწიფოდ კაცს თავისის ყმის სიკვდილი და გახეიბრება არავის ხელმწიფების» (კახტ. სამ. 95 მუხლი). სიკვდილის და გახეიბრების ნება ჰქონდა ბატონს მხოლოდ ხელმწიფის «დასტურით». აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი კანონი სრულს დესპოტიურს ძალას არ ანიჭებდა ბატონს; ულანაშაულოდ ბატონს როდი არა შეეძლო-რა, რადგანაც მაშინაც კი «თუ კაცი-

---

[47]) Крѣпостное право въ Грузіи, стр. 14—15.
[48]) ibidem.

მან თავისი ყმა ან მოკლას, ან გაახეიბრას, თუ დანაშაულზედ უქნია, მით ბატონისაგან და კათალიკოზისაგანაც საწყენი არის» (მუხ. 95) და ეს იმიტომ, რომ «თუ ბატონი გაუწყრების, სულს გარდა ყველაზე ხელი მიუწვდება» (მუხ. 160). რადგანაც «სულის გარდა ბატონს ყველაზე ხელი მიუწყვდებოდა», ამისთვის ხელმწიფის უდასტურად გლეხის სიკვდილს ან გახეიბრებას ცუდი შედეგი ჰქონდა ბატონისათვის. თუ გახეიბრებულმა «კიდევ მისი ყმობა ინდომა, მამულს ვერ მოუშლის და სისხლიც უნდა მისცეს და თუ იმის ყმობა ალარ ინდომა, სისხლი არ უნდა გამოართვას, თავის ცოლ-შვილით ვისთანაც უნდა მიკა, უწინდელი პატრონი ველარას მიედავების». მოკლულის გლეხის ძმები და ნათესავები, მისი სახლობა თავისუფალი იყვნენ მკვლელის ბატონის ულლიდგან («ძმას და სახლის კაცს თუ არ სიკვდილისათვის გახეიბრებისათვის ვერავინ გამოართვამს» მუხ. 95.) მაშასადამე, თვით ის ზარალი, რომელიც მიუცილებლად თან მოსდევდა გლეხის სიკვდილს და გახეიბრებას, ასუსტებდა იმ უფლებას, რომლითაც ალჭურვილი იყო ბატონი. თუ სიკვდილისა და გახეიბრების ნება ჰქონდა ბატონს, რასაკვირველია, ჯარიმის გადახდევინებისა და ჯოხით გალახვისაც ექნებოდა (71 მუხ. ჩვეულებათა) და ყმას ვერც შეეძლო ვერსად ეჩივლა. სულ სხვა იყო, უკეთუ ყმა რასმეს დაუშავებდა ბატონს. «ვისაც შერისხდეს ღმერთი და თავის ბატონი მოკლას, ან დაჭრას, ამისი სისხლი არ გახდების, ამისათვის რომე ყმისა ყველა ბატონისა არის» (მუხ. 258); მაგრამ მოკვლას ვიდა იტყვის, როდესაც გლეხი უბრალო შეურაცხყოფისათვის სასტიკად ისჯებოდა, ასე რომ «თუ ყმამ ბატონს გაჯავრებით ან ჯოხი ჰკრას, ან ხელით სცემოს, ხელი მოკვეთოს, ან იმ კაცს ხელის თვისი წაერთოს;

თუ ან გაჯავრებით პირისპირ შეაგინოს, ენა მოეჭრას, ან ენის ფასი წაერთოს» (ვახ. სამ., მუხ. 259.) ასეთი უთანასწორობა იყო განსორციელებული სასხლის სამართალში, უთანასწორობა, რომელიც შადგენდა მიუცილებელს შედეგს ფეოდალურის წეს-წყობილებისას. ესევე უთანასწორობა სისტემატიურად გატარებული იყო მთლად ჩვენს კანონებში და იქამდის მიდიოდა, რომ ყმა ბატონის ხელში ალებ-მიცემობის საგანს შადგენდა. ასე, რომ ბატონს, კანონის ძალით, შეეძლო გლეხი დაეგირავებინა, გასყიდნა («თუ კაცმან სოფელი, ან გლეხი იყიდოს თავადისაგან ან აზნაურისაგან, ხელმწიფესაც უნდა დაკითხვა, მაგრამ უკითხავადაც სყიდულა და არც ხელმწიფე კამოკიდებია...» მუხ. 162 ვახ. სამ.) და რადგანაც ყმა ბატონის საკუთრება იყო («ბატონმა რომ ყმას თავი დაახსნევინოს...» იქვე მუს. 260), უკანასკნელს სრული უფლება ჰქონდა მოეშორებინა ი ი თავის გერასათვის და მოსამსახურეთ წაეყვანა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ სამაგიერო უნდა დარჩენილიყო გლეხის ოჯახში, რათა ოჯახი არ დაცეს, გლეხ-კაცის მეურნეობა არ შემცირდეს; გარდა ამისა ბატონი გარდასახადს ვერ მოსთხოვდა ოჯახს, ვიდრე მოსამსახურე მასთან იმყოფებოდა. აქ ღირსია შესანიშნავად ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოში ბატონს შეეძლო მოახლეების გამოყვანა მარტო ზოგიერთა და არა ყველა ოჯახიდგან. [49]) ამ პირობებულს შეკიწროებას, სხვათა შორის, ისიც უნდა ზედ დაერთვას, რომ გლეხს არა ჰქონდა სრული თავისუფლება ერთი ადგილიდგან სხვაგან გადასახლებისა, თუმცა კი, მეორეს მხრით, გლეხი არ იყო მიწის კუთვნილება, მიწაზედ დაკრული. კანო-

---

[49]) Сборникъ матеріаловъ, вып. I, ст. 306—307.

ნი (ვსტ. სამართ. მუხ. 199 და 200) მართალია, ნებას არ აძლევდა გლეხს თავისუფლად გადასახლებისას, მაგრამ ისეთს პირობებს კი უდებდა, რომ გლეხისათვის ადვილი საქმე იყო ერთის ბატონისაგან მეორესთან მისვლა, მასთან შეხიზნვა. როგორც ვიცით, ეს შესიზვნა ჩვეულებრივს მოვლენას შეადგენდა. მასში მოიპოვება ერთი უმთავრესი მიზეზი იმ ფრიად საყურადღებო გარემოებისა, რომ გლეხი არ ეჩაგვრინებოდა ბატონს და ბატონიც იძულებული იყო არ დაეჩაგრა იგი.

პირველუფლებას რომ თავი დავანებოთ და ქონებრივს მივმართოთ, აქაც იმავე სურათს შევხვდებით. აქაც გლეხი დაჩაგრულია, აქაც მისი უფლება მეტად მკრთალი და სუსტია ბატონის უფლებასთან შედარებით. გლეხის პირველი და ქონებრივი უფლება ერთს და იმავე წერტილზე სდგას, ერთსა და იმავე ღირსებისაა; რამოდენადაც გლეხი შეკიწროებულია პირველუფლად, იმოდენად ქონებრივად არის შეკიწროებული; აქ სუფევს სრული ბარბარობა, თანასწორობა. მაგრამ, როგორც უკვე შეგნიშნეთ, თვით კანონის მუხლი გლეხის ქონებისა, და საკუთრების შესახებ, გარკვეული არ არიან, ერთი-ერთმანერთის ეწინააღმდეგებიან. სან კანონი კატეგორიულად ბძანებს: «ყმისა ყველა ბატონისა არის» (მუხ. 258), ბატონს სულს კარდა «ყველაზე სული მიუწვდების» (მუხ. 160), «ნასყიდი ყმა ვერც ვალს აიღებს, ვერცარავის მისცემს, ამისათვის რომე არა აქვს-რა» (ბერძული სამართალი, მუხლი რჲგ), ზოგჯერ კი თავის ბძანებას სტეუვნობს, სულს სხვას ლალადებს, წინააღმდეგს ჭაკადაგებს. და რომ ყოველივე ეს მართალია, სჩანს იქიდგან, რომ «თუ კაცი ამოვარდეს..., რაც საქონელი დარჩეს მალი-ბორად გაიყონ (მოვალეებმა).... მაგრამ საქართველოს რიგით ბატონიც წაიღებს» (ვახტ. სამ.

მუხლი 137), «თუ ქალის მეტი არა დარჩეს-რა და საქონელიც დარჩეს, ცოტა რამე სარჩო იმ ქალს უნდა მიეცეს და სხვა მოვალეებს მალი-გორად გაუყონ» (იქვე, მუხ. 138), «ვინ მოკვდეს და დარჩეს ცოლი... და თუ შვილი ისევ ჭყავს მამულს ვერავინ წაართმევს, შვილისა არის» (იქვე მუხლი 231). მაშასადამე გლეხს ჭქონდა საკუთარი «საქონელი», რომელსაც მოკვლეები მალი-გორად გაიყოფდნენ, ჭქონდა «მამული, რომელსაც შვილს «ვერავინ წაართმევს» და სხვ. საძეურად, ჩვენში იურიდიულ კითხვებს არ მისდევენ, [50]) კიდეც ამიტომ გადაჭრით ჯერ-ჯერობით არა ითქმის-რა გლეხ-კაცის საკუთრების უფლებაზე (право собственности), დაბეჯითებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ გლეხს ჭქონდა სამემკვიდრო უფლება (послѣдственное право), უფლება სარგებლობისა და მფლობელობისა, საკუთრება კი არა ჭქონია. თვით სამემკვიდრო უფლებაც შემცირებული იყო, რადგანაც სამკვიდრებელი ვაჟი-შვილზე გადადიოდა და არა ქალზე. და რადესაც გლეხის უფლებაზე გვაქვს საჯა, სასურველი უნდა ვიქონიოთ ის განსხვავებაც, რომელიც ქონებრივ უფლებამ იცოდა. ჩვენშიც, როგორც სხვაგან, ქონება იყო მამა-ბაბუული და მონადვაწი (родовое и благопріобрѣтенное), უძრავი და მოძრავი. ბატონს მამა-ბაბუულ და უძრავს მამულზე უფრო დი-

---

[50]) თუ არ ჩავსთვლით ასეთს ყოვლად უვარგისს და უგვანო ნაწარმოებს, როგორიც არის, მაგალითად, ფურცელაძის «Краткое систематическое изложеніе уголовнаго законодательства Вахтанга VI, Царя Грузинскаго, съ показаніемъ достоинства и недостатковъ его» Тиф. 1864 г. ნეტავი ვისთვის არის საჭირო ეს ვითომ და განმარტება და ისიც ღირსებისა და ნაკლულევანებათა ჩვენებით??...

დი უფლება ჰქონდა, ვიდრე მონაღვაწს და მოძრაგზე. ეს უკანასკნელი, მონაღვაწი და მოძრაგი მამული მთლად გლეხს ეკუთვნოდა. მაგრამ სულ სხვა იყო, როდესაც საქმე უძრავს მამა-პაპეულს მამულზე მივარდებოდა; აქ გლეხის ნება არათვერს ნიშნავდა, მისი უფლება მეტად მცირე იყო, არც ყიდვა და არც გასყიდვა არ შეეძლო მას, რადგანაც «თავადის ყმა ნურას იყიდის... თავადისა და ვინგინდას კაცის ყმა თავისის ბატონის უბეჭდოდ ნურც რას გაყიდის, თორემ მისი მებატონე არ იაბულებს, მამულს თვითონ დაიჭერს და თვასს მიმსყიდველს სთხოვს» (იხ. სამ. მუხ. 163) ასე ბძანებდა კანონი მამა-პაპეულის მამულის შესახებ; კეთილ-შეძენილი, მონაღვაწი მამული, როგორც შევნიშნეთ, გლეხის საკუთრებას შეადგენდა, გლეხს როგორც ჰსურდა, ისე მოიხმარდა. ბატონს, მაგ., ნება ჰქონდა ცუდის ყოფა-ქცევისათვის, ურჩობისათვის წაერთვა მამა-პაპეული მამული ერთის გლეხისთვის და მეორესთვის მიეცა, მაგრამ კეთილ-შეძენილს ანუ მონაღვაწს მამულს კი ვერ შეესებოდა; სამწუხაროდ, შემდეგ 1801 წლისა ჩვენის გლეხკაცობის ჭონებრივს უფლებაში შესამჩნევი ცვლილება მოხდა, მეტად საზარალო და მავნებელი ამ წოდებისათვის. ამ ცვლილების მიზეზი იყო გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა თავად-აზნაურობისა, რომლის სიღარიბე თან-და-თან მატულობდა. ჩვენ ვამბობთ იმაზე, რომ ახალმა ცხოვრებამ თავადაზნაურობას ურიცხვი ვალი შესძინა. საჭირო იყო მალალ წოდებას გლეხ-კაცებისათვის მიემართა და მიმართა კიდეც. ამის გამო ძველი განსხვავება მამა-პაპეულის და მონაღვაწის მამულის შორის მოსპეს, თუმცა ამ განსხვავებას საძირკვლად ედგა ჩვეულება; ეს ორ-გვარი მამული ერთი-ერთმანეთში აურიეს. და რადგანაც ბატონების ვალს გადახდა უნდოდა და ამისათვის არა

კმარდა მაძა-ბაბეული მაძული, გლეხის მოანადვაწ მაძულსაც მიჭეკეს ხელი, დაუწყეს მას გასყიდვა. [51]) თუ რა ნაირად შესცვლიდა ეს განკარგულება გლეხის მეურნეობას, ამას მკითხველი თვითონაც მიხვდება. მაგრამ ამას რიდი დაჰკერეს გლეხობა. რუსეთის მმართებლობის შემოღების შემდეგ, კანონად დაიდო, რომ გლეხს ნება არა ჰქონოდა უძრავი მაძული ეყიდნა; თუ იყიდდა, ბატონის ვალში წაართმევდნენ. ეს კიდევ არაფერი—გლეხს არ შეეძლო ბატონისათვის ეჩივლა, ესა-და-ეს მამული ჩემი საკუთრებაა და არა ბატონისაო, ამ გვარს საჩივარს სასამართლოში არ დებულობდნენ. [52])—ამითი ვათავებთ ამ წერილს და ზოგიერთა საგნებს ვსტოვებთ ამ განზრახვით, რომ იმათზე ოდესმე ცალკე მოგველაპარაკოთ მკითხველებს.

ნიკო ხიზანიშვილი.

---

[51]) Сбор. матеріаловъ, стр. 316—317.
[52]) ibid, стр. 312.

საგულის-ხმიერად

(გაზეთებიდამ)

I. წარსულის მოგონებიდგან. *)

მკვლელობა 1857 წელსა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თავადის გაგარინისა, იმის ჩინოვნიკის ილინისა და ჰორუჩიკის არდიშვილისა—სვანეთის მფლობელის თავად კოსტანტინე დადიშკელიანისაგან.

ვიდრე დავიწყებდე იმ საშინელის დრამის აღწერას თ. გაგარინის სიკვდილის შესახებ, რომელმაც თავის დროზედ აღძრა დიდი ამბავი საძზღვარ-გარეთაც კი, და ჩვენში ხომ ათას ნაირი მიმოთქმა დაჴბადა, ზოგი გასამართლებელი და ზოგი გასამტყუნებელი ამ დრამის მოთავისა,—მე მსურს წინ წავუძღვარო მოგონებ გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა ისეთის განსაკუთრებულის თემისა, რომელიც არის სვანეთი, რომ უკეთესად გაიგოს მკითხველმა: ნამდვილად თავადი დადიშკელიანი წინად განძრახული მკვლელი იყო, თუ რომელიც თავსედი მთიელი თავის ველურის ჴასიათებით თავისუფლებაზედ, იგი იცავდა ამ თავისუფლებას და ამასთანავე ჴფიქრობდა, რომ მისი მშვიდობიანობის დამრღვევი იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მაშინ, რომელსაც განსვენებული თავადი გაგარინი აღსრულებდა მხოლოდ უმაღლესის მთავრობის განკარგულებას.

სვანები, რომელნიც როდესღაც შეხიზნულან იალბუზის ძირში, სამხრეთ-აღმოსავლეთის მისს მხარეს, ინგურისა და

---

*) ეს საინტერესო წერილი დაბეჭდილი იყო «კავკაზის» მე-18 და მე-19 №№-ში, და ეკუთვნის ა. შჩერბაკოვს. რედ.

ცხენის წყალის სათავეში, სრულიად განმარტოებულნი თვით ბუნებითვე ზღვის პირს მდებარე ღელეებისგან აბსაზეთისა, სამურზაყანოსი და სამეგრელოსი, ყოველთვის მიიქცევდენ ყურადღებას თავისის მიუდგომელის ქვეყნით, მაგრამ მაინც ამ საუკუნის 30 წლებამდე, გეოგრაფიულის და ისტორიულის მხრით სვანეთი გამოკვლეული არ იყო. იმათ კიდევ ჰქონდათ რაღაც ბნელი ჭაზრი, რომ რიდესღაც მათში ქრისტიანობა არსებობდა, მხოლოდ ეხლა ქრისტიანობა ველურს ცრუ-მორწმუნებათ შეეცვალათ. მიუდრეკელმა მთის ბუნებამ შეაყენა განათლების გავრცელება, ხოლო ნასწავლი ღვდლების უყოლობამ სრულიად მოსპო ქრისტიანული სარწმუნოება. ეს მხარე, ყოველის მხრით კავკასიის მთებით შემოზღუდული, მისავალი ვიწრო ბილიკებეთ მხოლოდ ორ-სამს თვეს მთელის წლის განმავლობაში და ისიც ზაფხულის თვეებში, სრულიად მოშორებულია მეზობლებს, და ამის გამო მისმა მცხოვრებლებმა ისეთი გარეული სასითი დაიჭირეს, რომ ასალ ნაშობ ბავშვებს, ქალებს, სოცავდნენ.

კავკასიის აქეთა მხრის სალხში და თვით ქართველთა შორის არის გადმოცემა, მითომ თამარ მეფე ძმირად მიბძანდებოდა ხოლმე სვანეთში, როგორც ერთს უსაყვარლესს მხარეში მაშინდელის თავის გრცელის სამეფოისა და ვითომ ეს შესანიშნავი მეფე ასაფლავია იქ. ამ უკანასკნელ გარემოებაზედ ისტორიული საბუთები არ არის; მხოლოდ იქ რომ ქრისტიანობა არსებობდა და იმავე სიძლიერით, როგორც საქართველოში— ამას ამტკიცებს რამდენიმე ეკლესია და უფრო მრავალი ქართული ზედ-წარწერანი. *) როგორ დაეცა ქრისტიანობა სვანეთ-

---

*) Записка, читанная ученымъ грузинологомъ академикомъ Броссе въ Академіи наукъ 14 октября 1853 года.

ში მე, როგორც მნახველი, მაგალითს მოგიყვანთ: 1851 წ. მე ვიყავ გაგზავნილი სამეურნეოს მაზრაში, რომლის მცხოვრებნიც იმ დროს არ იყვნენ ძალიან მორწმუნენი; შეკვდი ერთს ეკლესიაში წირვის დროს და იქ მყოფ ხალხში შევნიშნე ორი სვანი და ა ერთი მოიგანი წირვის დროს მიკა ხატთან, რომლის წინაც წმინდა სანთელი ანთია, მოგლეკს სანთელს და თავის მოკლე ჩიბუხს მოუკიდებს და მითომ არათერიც არა ყოფილა, სანთელს ისევ ხატის წინ დაურგავს.

ვიდრე სრულიად არ გადაგვეთქა სვანეთი საკუთარ საჭერისტავოდ, რომელიც ძალე მოხდა შემდეგ მოგვლისა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა თავადის დადიშკელიანისაგან, ის (სვანეთი) იყოფებოდა სამს განცალკევებულს ნაწილად: სათავადო სვანეთი, რომელსაც ჰფლობდა დადიშკელიანთა გვარეულობა, სადადიანო, რომელიც სამეგრელოს მფლობელთ ეკუთვნოდა და თავისუფალი სვანეთი, რომელიც იყოფებოდა 11 საზოგადოებად. თვითოეული ამ საზოგადოებათაგანი შედგენდა თითქო რაღაც გერმო რესპუბლიკას, და მის მმართველნი იყვნენ ალმოჩრჩეულნი მაძმასახლისნი, რომელნიც თავის საძმართველოში არავითარს უცხო რჩევას და პირთ არ უჩენდნენ. 1853 წელს პოლკოვნიკი ბარტოლომეი, *) რომელიც მაშინდელის ნამესტნიკის მ. ს. ვორონცოვის განკარგულებით, სვანეთში იყო გაგზავნილი, სწერს, რომ სვანეთის სოფლები მდებარეობენ განსაკუთრებით მდ. ინგურის, ცხენის წყლის და მათ ტოტების ნაპირებზედ. სახლები მთელს სვანეთში ქვით-

*) Книга III Записокъ Кавказскаго Отдѣла Императорскаго Русскаго Географическаго Общества. Тифлисъ 1855 года.

გრისაა, ორ-სართულიანები, ყავრული ასპიდის ფიცრებისა-ჭვთ, ფანჯრები სადარაჯო ფანჯრების გვარად, შემოზღუდულ-ნი არიან ქვით-გირის გალავნებით და გალავნის ერთს კუთხეში არის სუფთად აშენებული მაღალი კოშკი. კავკასიაში ამბობენ, ვითომ თავისუფალს სვანეთში, სახელდობრ, მეულახის საზოგადოებაში, ეხლაც კი შეიძლება შეხვდეთ «ზავაროზჩების» შთამომავლობას, რომელნიც იქ მოსულან ოდესმე. მე თითონ მინახავს სვანები, რომელნიც იმათ საშინლად ჰგვანან და ვინ იცის, იქნება მართალიც იყოს ეს გადმოცემა? სვანეთში შესავალი გზა ჩრდილოეთ კავკასიიდგან ბევრით უადვილესი იყო, ვიდრე სამეგრელოდგან და იმერეთიდგან. ესეთი მოძრავი და საშოვარის მიმდევარი ხალხი, როგორც «ზავოროჩები» იყვნენ, შეიძლება თავის მტაცებლობის დროს მდ. ყუბანის მიდამოთა შორის დადიოდნენ და მერე ნელ-ნელა სვანეთში გადავიდნენ. და რაკი ერთხელ ნახეს სვანეთი და თავიანთ მინაგვარი ხალხი ცხოვრებით და პოლიტიკურის განწყობილებით, შეიძლება, იქვე დასახლდნენ და შეადგინეს თავიანთი საზოგადოება.

სათავადო და თავისუფალს სვანეთზედ ჩვენი აზრი 1853 წლამდის ძალიან გაურკვეველი იყო. კავკასიის მართებლობა არც სამოქალაქო და არც სამხედრო იმათ არ ეხებოდა. 1832 წლის დამლევს დედა სვანეთის მფლობელისა თავადის ციხე დადიშკელიანისა, დოლურ-ხან, ჩამობრძანდება თბილისს საქართველოს მთავარ-მართებელთან გენერალ ბარონ როზენთან თავის მცირე-წლოვანის ვაჟით, ბექირ-ბეით, და სთხოვს, რომ რუსეთს დაუჭერდებარონ სვანეთის სამბალონო. მარტში 1833 წ. ბარონ როზენმა ისევ სვანეთში დაამბრუნა კნეინა დადიშკელიანისა, ხოლო მისი შვილი თავისთან დაიტოვა თბილისში და

ამასთანავე გაგზავნა წერილი თავადს ციციანოვს, რომელშიაც უსსნიდა, რა პირობითაც უნდა მიეღო ქვეშევრდომობა რუსეთის იმპერატორისა, სთხოვდა ამაზედ ფიცი მიეღო მასთან გაგზავნილის ჩინოვნიკების თანდასწრებით: პოდპოლკოვნიკის თავადის ბესო გელოვანისა, პრაპორშჩიკის თავადის ალექსანდრე თარხანმოურავოვისა, თავადის იავნე ფავლავანდოვისა და კიდევ ერთის საპატიო სამეგრელოს მღვდლისა. ამასთანავე ატყობინებდა, რომ ფიცის მიღების შემგეგ ქალაქდი უნდა გაიგზავნოს ხელმწიფეე იმპერატორის განსახილველადო. იმავე წლის ნოემბერში ბარონ როზენმა აცნობა უცხო საქმეთა მინისტრს გრაფ ნესელროდეს, რომ სამეგრელოს მფლობელის თავადი დადიანის თანასხობით, სვანეთის მფლობელმა თავადმა ციციშ დადიშკელიანმა მიიღო ფიცი და მოაწერა ხელი ამასთანავე ფიცის ფურცელზედ, გარდა ამისა სთხოვდა ეშუამდგომლათ ხელმწიფესთან გრამოტის, ხლმისა და ხანჯლის ბოძებაზედ და ნიშნად უზენაესის მოწყალებისა იმისთვის, დადიშკელიანისთვის, მიეცათ მაიორის ჩინი და ნება დაერთოთ ეპოლეტები ეტარებინა.

1834 წლის დასაწყისს თავადმა ციციშ დადიშკელიანმა მოისურვა მიეღო მთელის ოჯახობით მართლ-მადიდებელი ქრისტიანებრივი სარწმუნოება, რომელიც, როგორც თითონ ამბობდა, იმის მამა-პაპათ სწამებიათ. ამის გამო საქართველოს ეგზარხოსთან რჩევის შემდეგ, სვანეთში გაგზავნეს მქადაგებელნი საოსეთო სასულიერო კომისიისა, რომელთ მოსვლისათანავე თავადმა ციციშ დადიშკელიანმა განაცხადა სრული თანხმობა მოინათლვაზედ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ნათლიებათ ყოფილიყვნენ: თითონ იმის ნათლიად ხელმწიფე იმპერატორი, ხოლო იმის მეუღლისა, კნეინა ჯერუმ-ხანისა, ხელმწიფე იმპერა-

ტრიცა. რადგანაც გამოგზავნილ მღვდელთ არ იცოდნენ ის წესი, რომ ამ საქმისთვის უზენაესი ნება-რთვა უნდა შეეთხოვათ, ამისათვის 10 მკათათვეს 1834 წელს მოინათლეს იგინი მათის უდიდებულესობის სახელით და დაარქვეს: თავად ციოხს მიხეილი, ხოლო კნეინა ჯერუმ-ხანს—მარიამი. თავ. დადიშკელიანების ეშმაკმა რა ნახეს ამ გვარი მაგალითი თავიანთ ბრძანებელისა, თავათაც მიიღეს ქრისტიანობა, ასე რომ რამდენიმე დღის განმავლობაში სხვა-და-სხვა სოფლებში მოინათლა 2000 მეტი კაცი და ქალი.

ნოემბერში იმავე 1834 წ., რადგანაც ბარონ როზენს სურდა დარწმუნებულიყო თ. დადიშკელიანის რუსეთისადმი ერთგულებაში და ამასთან ჭქონიყო დაწვრილებითი ცნობანი სვანეთზედ, გაგზავნა იქ, თავისთან მოსამსახურე გენერალურის შტაბის კაპიტანი თავადი შახოვსკოი, რომელიც მიეიდა სამეგრელოში, ეველაფერზედ მოელაპარაკა მისს მფლობელს თავადს დადიანს შემდეგს მოგზაურობაზედ და ფეხით გასწია სოფელ ჯვარიდგან ინგურის ნაპირით, თან წაიყვანა თავისთან დანიშნული სამგზავრად სამეგრელოს თავადი-შვილნი: გამეხა დადიანი და გიორგი აბაქიძე, აგრეთვე მღვდელი დავით ქობულოვი. დღეში 10 საათზე არა ნაკლებ მოგზაურობდენ. თ. შახოვსკოიმ 8 დღეში ასზედ მეტი ვერსი გაიარა და ბოლოს მივიდა სვანეთში. აი იმის ნამდვილი სიტყვები, რომელნიც ამოღებულნი არიან ბარონ როზენისადმი მოხსენებიდგან, 24 ნოემბერს 1834 წელსა, № 41*). «ამ გვარ ხანგრძლივ მოგზაურობას შეუძლიან დაამტკიცოს, როგორი საძნელო გზა

---

*) Акты Археографической коммисіи т. VIII, стр. 466.

არის. მთლად წყლის ნაპირი დაბურულია სქელის ტყით, სადაც ხის ტოტებში ძვრები და მაინც კიდევ რიგიან გზას ვერ შეხვედრიხარ; ტიტველი გადმოკიდული კლდეები გილობავენ გზას, უნდა დაეშო წყლისაკენ და სულ წყალ-წყალ იარო, ან არა და უნდა შეუდგე საჩარელ მთებს და ოთხით იარო, სადაც თუ ერთი ფეხი წაგიცდა, სრულიად დაიღუპები». მართლაც და ძალიან თავის გამომეტება უნდა კაცს, რომ ამისთანა დრო (ნოემბერში) და იმისთანა გზით, რომელიც 30 წლებში იყო, იმგზავრო, რაგორც ეს ჩაიდინა თავადმა შახოვსკოიმ სვანეთში მოგზაურობის დროს; იმისათვის, რაგორცა ვსთქვით, დიდი გაბედვა იყო საჭირო. როდესაც დაბა ჭუბის-ხევში მოვიდა თავად ციოხ დადიშკელიანთან, თავადმა შახოვსკოიმ გარდასცა იმის დედას უზენაესად ნაბოძები ძვირ-ფასი ტერმუარი, მერე წავიდა თავად დადიშკელიანების მეორე შთამომავლობის წარმომადგენელთან, თავად თარხან დადიშკელიანთან და ხალხის თანა-დასწრებით დაათვალა, რაგორც ის, ისე იმისი შვილი რუსეთის ქვეშევრდომობაზედ. როდესაც თბილისში დაბრუნდა, თავადმა შახოვსკოიმ წარუდგინა მასთან რაზენს სვანეთის აღწერა და წერილიც მიართვა იმაზედ, თუ რა ზომებია საჭირო, რომ შემდეგ ჭმარითავდნენ სვანეთს.

კავკასიის დაუვიწყარმა მთავარ-მართებელმა თავადმა მ. ს. ვორონცოვმა დიდი ყურადღება მიაქცია სვანეთისაც. გარდა იმისა, რომ იმან სხვა-და-სხვა წყალობით შეითვისა იმისი მფლობელი თავადი კოსტანტინე დადიშკელიანი და იმისი ღვიძლი ძმა, თავადი ალექსანდრე, გარდა იმისა იმან ისიც მოახერხა, რომ თავისუფალი სვანეთის საზოგადოებამ მიიღო რუსის ბრისტავი, რომელს თანამდებობაზედაც დანიშნული იყო ბოროუჩიკი თავადი მიქელაძე. რასაკვირველია, ეს თანამდებობა მხო-

ლოდ ცარიელი სახელი იყო, და თითონ მხარეს კი მართვა-დნენ მაინც ამორჩეულნი მამასახლისები. თუმცა ამ საზოგადოებათა არავითარი ხარჯი შეწერილი არა ჰქონდათ არც ფულად და არც სხვა-გვარ ბეგარით, მაინც თავადს მიქელაძეს ბატიკასა სცემდენ, როგორათაც რუსის მეფის წარმომადგენელს, და კიდეც ამყობდნენ იმის დანიშნით. ამ ბრისტავის მეცადინეობით ქრისტიანობამ დაიწყო გავრცელება თავისუფალ სვანეთშიაც, ასე რომ 1853 წელს ზათეხულში შვიდი სვანი მოვიდა ბორჯომში, სადაც ზათეხულობით თ. ეორეანტოვი იმყოფებოდა და ითხოვეს, რომ მოეხათლათ. თითონ მთავარ-მართებელი და იმისი მეუღლე იყვნენ ნათლიები. დაყვავებულნი და უხვად დაჯილდოვებული სვანები დაბრუნდენ თავიანთ მთებში, ალტაცებით მოუთხრობდენ, რაც ენახათ და რასაკვირველია, მათ საქციელს ბევრმა სხვამაც მიჰბაძა და მოინდომეს გაქრისტიანება.

1853 წელს (ალმოსავლეთის ომის დაწყობის დროს) სვანეთი ამ მდგომარეობაში იყო:

სათავადო სვანეთს განაგებდა მისი მეფლობელი, როტმისტრი ლეიბ-გვარდიის ყაზახის პოლკისა თავადი კოსტანტინე დადიშკელიანი,—კაცი, რომელსაც არავითარი განათლება არ მიეღო და რუსულათაც კი ცუდათ ლაპარაკობდა. იმ მიზნით, რომ იმასა და მართებლობის შუა ყოფილიყო საიმედო შუამავალი, მასთან დასტოვეს მისი ლეიმლი ძმა ალექსანდრე, პოლუბიკი ნიკოგოროდის დრაგუნის პოლკისა, პაჟესკის კორპუსში გაზრდილი, როგორც იტყვიან, მთლად გარუსებული. თითონ მეფლობელს, გარდა ჩვეულებრივის ჯამაგირისა, რაც ჩინით გვარდიის როტმისტრს ეძლევა, ჰქონდა კიდევ მცირედი პენსიაც, ხოლო იმის ძმას კი მარტო ჯამაგირი. ყოველი ოთხი თვის შემდეგ ქუთაისის გუბერნატორი სამხედრო საქმარ-

თვალოდგან უგზავნიდა სვანეთში თვულს იმ ჴირთა სელით, რომლებსაც გზავნიდა ხოლმე იქიდგან თავადი ალექსანდრე დადიშკელიანი. თავადი კოსტანტინე და ძმა მისი ხშირად მოდიოდნენ ხოლმე ქუთაისში, ჩამოდიოდნენ თბილისშიაც, სადაც თავადი მ. ს. ვორონცოვი და კნეინა ელისაბედი თავისუბურის სიამოვნებით მიიღებდენ და უალერსებდენ ხოლმე. ჩემი ნაცნობობა სვანეთის მთავრთან იწყობა 1849 წლიდგან, როდესაც მე ვიყავი დანიშნული ადიუტანტად ქუთაისის მაშინდელ სამხედრო გუბერნატორთან გენერალ ბელიავსკისთან. ეს ნაცნობობა ბოლოს დროს მეგობრობად შეიცვალა, ასე რომ 1852 წელს თავადმა კოსტანტინე დადიშკელიანმა ჩამოიყვანა თავის უფროსი ვაჟი ქუთაისში და ჩემს ცოლსა სთხოვა, რომ ალსაზრდელად ჩვენს სახლში აგვეყვანა.

ასე მგონია, ეხლა თვალ-წინ მიდგას მეთქი ეს შესანიშნავად მშვენიერი კაცი თავადი კოსტანტინე დადიშკელიანი. წარმოიდგინეთ ახოვანი კაცი სიმაღლით ერთს საყნამდის, მოყვითანო ხუჭუჭის თმით, ლურჯის, როგორც ცა, თვალებით, მშვენივრად მოყვანილის ცხვირსა, წარმოსადეგი გმირი ლონით, რასაც მკითხველი შემდეგს ჩემს ნაამბობში დაინახავს. დიდებული მიხვრა-მოხვრა, ბრწყინვალე ირანული, თოფლიკით თეთრი ჩერქესკა და ქუდი—სუფეველა ამას ალტაცებაში მოჰყავდათ ყოველი მაყურებელი. მიეცით ამ მმართველს ველური სვანეთისას განათლება და შეიძლებოდა იმისგან შესანიშნავი მმართველი გამოსულიყო, რადგანაც ბუნებითად ჭკვიანი იყო და არა ჩვეულებრივი გამჭრიახობა ჰქონდა. მე ბევრ ქალებს ვიცნობდი, რომელნიც იმისთვის გიჟდებოდნენ; მაგრამ, როგორც ლრმად ღვთის მოყვარე კაცი და შეუმწიკვლელის ზნეობისა, ის იმათ ყურადღებასაც არ აქცევდა.

წარსული ალმოსავლეთის ომი დაიწყო გურიის მხრით, როდესაც ლაზარეთი დაეცნენ თურქნი სამზღვარზედ ჩვენ წმ. ნიკოლოზის სიმაგრეს, 16 ოქტომბერს 1853 წელს, ვიდრე ჩვენ მოგვიგიდოდა მანიფესტი ომის შესახებ. იმ მრავალი ხალხიდგან, რომელიც სამზღვარზედ იდგა, მხოლოდ 40 კაცი გადარჩა. სხვები კი ზოგი მაძაცად მოგვდა ბრძოლის ველზედ, ზოგი ტყვეთ წაიყვანეს. აფიცრებიდგან მხოლოდ ორი გადარჩა: ერთი კაპიტანი ვოინსკი ნაჩალნიკი და ერთიც პორუჩიკი, რომელთაც დაეტოვებინათ ნიკოლაევის სიმაგრე და თათრების პირველს დაცემისათანავე მოცვივდნენ დაგლეჯილის სერთუკებით ოზურგეთში. ეს აფიცრები მალე გამოიცხულ იქმნენ სამსახურიდგან, როგორც არის ნათქვამი სამხედრო მინისტრის მოწერილობაში მთავარ-მმართველისადმი — მხედრის გულადობის უქონლობის გამო. ჯარის გასამრავლებლად გურიაში დაიწყეს მოკრეფა მცხოვრებლებისა მილიციისათვის; ამაკვე საქმისათვის მიმართეს სვანეთის მთავარს. თავადმა დადიშკელიანმა, როგორც მე მახსოვს, გამოგზავნა 40 ანუ 50 ცუდათ შეიარაღებული მილიციელები, რომელნიც მალე, როგორც უსარგებლო ხალხი, უკანვე დაუბრუნეს სახლში.

ომის დაწყებისას სვანეთის მთავარს კიდევ ჭქოდა მიმოსვლა ქუთაისის გუბერნატორთან, გზავნიდა ქუთაისში საგანგებოდ კაცს ჯამაგირის მისაღებად, 1854 წლის დამლეკს კი ეგელა ამას თავი გაანება, ჩაიკეტა თავის მიუდგომელს საბუდარში და ისე იყო, მითომ არც კი არსებობდა. იმასთან განგებ გაგზავნილი კაცები ბრუნდებოდნენ ყოველის უპასუხოდ ჩვენს მოთხოვნილებაზედ. რა აიძულებდა სვანეთის მთავარს ამ გვარად მოჭქცეოდა მართებლობას, ძნელი სათქმელია, რადგანაც მისი ლაზარეთის ნამდვილი საბუთები ჩვენ არა გვქონდა.

ზოლოს დროს მითომ იმისი წერილები ეპოვნათ ომარ-თავშასთან მიწერილი, რომლებშიაც მითომ ოსმალეთის მმართებლობას მეფარეველობას სთხოვდა,—მხოლოდ ეს წერილები მე არ მინახავს, თუმცა გურიის ჯარების უფროსის საქმეები ძალიან დაახლოებით ვიცოდი. გასაკვირველიც არ არის, რომ, როდესაც სვანეთის მთავარმა დაინახა, რომ თითქმის ალებულია აბხაზეთი და სამეგრელო და ესმოდა კიდეც, რომ რუსები დღეს არა ხვალ არამცთ თუ რიონის მხარეს დასცლიანო, არამედ თვით კავკასიის აქეთა მხარესაცაო,—დაუჯერა ამ ხმებს და ელოდა: ვინც გაბმარჯვებული დარჩება, იმასთან გადავალო. რომ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჩვენ კავკასიის აქეთა მხარეს თავს დავანებებთ, არამც თუ ხალხი, არამედ თვით თავადიშვილობაც, ამის დასამტკიცებლად ის გარემოებაც შეიძლება მოვიყვანოთ, რომ ზოგიერთი თავადთაგანი მთხოვდნენ, 25 მანეთიან ქალალდის ფულში ორი ანუ ერთი მაინც ბოლუიმპერიალი მიმეცა ოქროსი.

ომი გათავდა. მარტში 1856 წელს, როგორც ვიცით, მოხდა შერიგება. დანიშნული კვალად ახლად მთავარ სარდლად და კავკასიის მმართველად თ. ა. ი. ბარიათინსკი მოვიდა თბილისში პეტერბურგში მიღებულის მინდობილობით—გამოცხადოს სამეგრელოს მთავრისას და აბხაზეთისა და სვანეთის მთავრებს უზენაესი სურვილი ხელმწიფე იმპერატორისა იმის შესახებ, რომ მათი სამთავრონი უნდა გადაკეთდნენ ოლქებად და მაზრებად, ხოლო თითონ მთავრთა, რომელთაც მიეცემათ ფული და სხვა ჯილდო, უნდა დაუტოვონ თავიანთ საბრძანებელი და გადასახლდნენ რუსეთში. გამოწვეულნი აგვისტოში 1857 წელს სვანეთის მთავარი თავადი კონსტანტინე დადიშკელიანი და ძმა მისი ალექსანდრე მოვიდნენ თბილისში. მე დაწვრილე-

ბით არ გიცი ის ამბავი, რაგორც ხსნიდნენ მათის საეკლეს-ოთვა-ქცევას ომების დროს,—მხოლოდ ორისა თუ სამი კვირის შემდეგ ქუთაისის გენერალ გუბერნატორმა მიიღო ცნობა თავად ბარიატინსკისაგან, რომ ბორუჩიკი ნიკე-გორგოდის დრაგუნის პოლკისა თავადი ალექსანდრე დადიშკელიანი გადაყვანილია ერთს დრაგუნის პოლკთაგანში, რომლებიც იმყოფება ქ. ელიზავეტგრადში (ეკატერინოსლავის გუბერნიაში), და უკვე გასტუმრებულია იქ თბილისიდამა. ხოლო სვანეთის მთავარი პოლკოვნიკ ბარტოლომეისთან ერთად მოდის ქუთაისს, რათა გამოიწვიოს სვანეთიდამ თავისი ძმები, რომლებსაც მასთან ერთად წამოსვლა არ უნდოდათ, რადესაც იგი თბილისში გამოიწვიეს.

სექტემბრის დამლევს სვანეთის მთავარი პოლკოვნიკი ბარტოლომეისთან ერთად მოვიდნენ ქუთაისში და ჩამოხდნენ იმ დროს ერთად-ერთ გრიგნაკის სასტუმროში, სწორედ ჩემი სახლის პირ-და-პირ. თავად დადიშკელიანს მინიჭებული ჰქონდა სრული თავისუფლება. თითქმის ყოველ-დღე ნახავდა ხოლმე თავადს გაგარინს, სადილობდა და სეირნობდა ხოლმე იმასთან ხშირ ბინდამდის—ერთის სიტყვით იმათი ერთმანეთთან დამოკიდებულება, რაგორც ყველას გვეგონა, ძალიან მეგობრული იყო. მაგრამ ბორბატი სული დასდევდა ყველა ამას. ლვარძლიანი ხასიათი თავადი დადიშკელიანის დარაჯისა, რაგორისაც იყო პოლკოვნიკი ბარტოლომეი, ხან-დახან უშფოთებდა მას მყუდროებას. საქმე იქამდამ დაიწყო, რომ იმან მოახერხა განკარგულება მიეცათ, რომ სასტუმროსათვის ყოველ-ღამ ათი-თორმეტი ყაზახი გარს შემოერტყათ, ვითომ იმ აზრით, რომ შესაძლებელი იყო სვანეთის მთავარი გაქცეულიყო. რასაკვირველია, მთავარმა ეს ამბავი გაიგო; ყოველ-

გვარად ცდილობდა დაეშალა, რომ სვანეთიდგან მთავრის სახლობა არ გამოეწვიათ, რასაც, რასაკვირველია, ვერ მოესწრო, რადგან სამი დღის წინად თავად გაგარინის მოგვლამდის თავადი დადიშკელიანის მეუღლე შვილებით ჩამობრძანდა ქუთაისს. მათ ახლდნენ ორმოცი ოდე შეიარაღებული სვანი. მე მაგულიანებდა არ მიმეცა გარგა ხანს ჯამაგირი, რომელიც მთელი ომების დროს არ მიეღო და გადაწყვეტილი კი ჰქონდა; მე, რასაკვირველია, არ შევსრულე ეს თხოვნა ჩემი დამოკიდებულების გამო მთავრთან, რომელიც ჩემს სახლში დადიოდა თითქმის ყოველ-დღე, თავის შვილის სანახავად, (მისი შვილი ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა). ყველაზედ სშირად იარებოდა თავადი დადიშკელიანი კაბიტან საგინიჩთან, რომელსაც ქვრივი ქალი ჰყვანდა ცოლად (გურამიშვილის ქალი), სადაც თავის მწუსარებას იქარვებდა.

იმის ქუთაისში მყოფობის დროს ყოველი განგარგულება მიცემული იყო, რომ წაბძანებულიყო სამეგრელოდგან კნეინა ვერონიკა ალექსანდრეს ასული დადიანისა, რომელსაც უნდა გაჰყოლიყო თეოთაძდის თავადი გაგარინი და იქიდგან გემით უნდა წაბძანებულიყო ოდესაში და შემდეგ პეტერბურგში. გორდიდგან (საზაფხულო სადგომი მთავრისა, ქუთაისიდამ 25 ვერსზედ) გამობძანების დღედ იყო დანიშნული 25 ოქტომბერი. ამასთანავე საფოსტოსათვის მიღებული იყო ზოგიერთი ზომები: ეშინოდათ მეგრელების აჯანყებისა; და ამისათვის გორდისა და მარანს შუა ორი როტა იდგა, ხოლო გორდში იყო ასი როტა ყაზახი. იმ დროს იქვე იყო კნეინა ა. დ. გაგარინისა, რომელიც ქუთაისიდგან მოვიდა, რომ გამოსთხოვებოდა მთავრისას. 24-ს დილით თავად გაგარინს მოუვიდა ბრძანება მთავარ სარდლისა, რომ ვიდრე ის გორდში

წავა, იმავ წამს გაამგზავრას თავადი დადიშკელიანი თბილისს და ნულარც იმის ძმების მოსვლას მოუცდის. იმავე დღეს ყოველივე განკარგულება მიცემული იყო, რომ გაეგზავნათ და ამასთანავე სასტიკად იყო ნაბრძანები, რომ მთავრისთვის არავის არ შეეტყობინებინა ეს ამბავი.

25 ოქტომბერი კვირა დღე იყო. დილით 10 საათზედ თავადი დადიშკელიანი შემოვიდა ჩემთან გასაგებად, იმის შვილს მოვიყვან გიმნაზიიდამ, თუ არა, და, როდესაც დავბრუნდი მოყვანას, იმან მითხრა რომ წირვაზედ მივდივარო. გამოვედი თუ არა სახლიდამ, შევხვდი გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველს, სტატსკი სოვეტნიკს იზიუმსკის (შემდეგში ქუთაისის გუბერნატორს), რომელმაც მითხრა, რომ თავად დადიშკელიანთან მივდივარ, რომ იგი გაგარინთან წავიყვანო. მე ვიცოდი, რომ მთავარი სახლში არ იყო და იზიუმსკის ვუთხარი, რომ იმას ნახავს ეკლესიაში, მე კი თითონ წავედი ქუთაისის გუბერნატორთან ნ. ს. ივანოვთან, და, როგორც მივედი იმის სადგომთან, ვნახე, რომ მზად იყო და გენერალ-გუბერნატორთან მიდიოდა. ჩვენ ორივენი ერთად ჩავსხედით ეკიპაჟში და გავსწიეთ თავად გაგარინთან. ზალაში, კაბინეტის წინ ვნახეთ უკვე საგზაოდ მომზადებული კაპიტანი ლინეინის ბატალიონისა თ. მიქელაძე, რომელიც თავად დადიშკელიანს უნდა გაჰყოლიყო თბილისს, რიონის ნავოსნობის უფროსი კაპიტანი საკინიჩი და თარჯიმანი მილიციის პოლუიჩიკი არდიშვილი. როდესაც უკანასკნელმა მოახსენა გუბერნატორის მოსვლა, თ. გაგარინმა მიგვიწვია ჩვენ კაბინეტში და იქვე უბძანა გენერალ ივანოვს თ. დადიშკელიანის გაგზავნა იმავე საათში, რადგანაც შიშობდა, ქუთაისში დაეტოვებინა: როგორც ზეკითა ვსთქვით, ორმოც კაცამდის სული ჩამოვიდა,

რომელთაც შეეძლოთ რამე ზომები მიეღოთ თავიანთ მთავრის გასანთავისუფლებლად; ხოლო მე მიბრძანა, საავადმყოფოში წავსულიყავ და ავადმყოფებისთვის მეკითხნა, უკმაყოფილოდ ხომ არ იყვნენ რითიმე. გენერალ-გუბერნატორის სახლიდან რომ გამოვედი, მე შევხვდი იქით მოამავალს თავად დადიშკელიანს და იზიუმსკის. თუმცა მე მინდოდა, მეცქირა ბრძოლი მათგანის ლაპარაკისთვის თ. გაგარინთან, მაგრამ რა უნდა მექნა, უნდა შემესრულებინა ბრძანება. დავიწერე ფაიტონი, წავედი საავად-მყოფოში, დავათვალიერე პალატები, გამოვკითხე ავადმყოფებს ამბავი და შევედი უფროსი ექიმის სადგომში, რომ მომელაპარაკნა ზოგიერთა ჩემგან შენიშნულ უწესოებაზედ, და რადგანაც ის შინ არ იყო, ვუცდიდი სადილობამდის. არ გაუვლია ათ-ხუთმეტ წამს, შემოვარდა სასტუმრო ოთახში ს. ზარელის ყვირილით გენერალ-გუბერნატორის თარჯიმანი აზნაური წერეთელი და დაიძახა: «სად არის დოქტორი, თავადი გაგარინი დაჭკლეს». შიშით კრესლოდგან წამოვარდი, არ გამოვიძიე, რა ან და როგორ მოხდა და ვკითხე; «თავადმა დადიშკელიანმა მეთქი?»—დიას, მიპასუხა იმან. მე იმ წამსვე შევირბინე ერთი ოთახი დირექტორის სადგომში, ვსთხოვე საჭირო ანრადი წამოელო და ორივენი გავქანდით გენერალ-გუბერნატორის სახლში. ხიდს რომ გადმოვედი, თითქმის მთელი ქუთაისი რალაც ფაცი-ფუცში იყო: ქუჩაში მოაქროლებენ ცხენებს ყაზახები, ყაზარმებიდან მორბიან სალდათები, ხალხიც მორბის და ყვირის, რომ სვანები ყველას ხოცვენ, ვინც კი იმათ გზაში შეხვდებათო.

ახლა ვიწყებ იმ საშინელის დრამის აღწერას, რომელიც იმ ნახევარ საათის განმავლობაში მოხდა, როდესაც მე საავადმყოფოს ვათვალიერებდი. მაგრამ ვიდრე იმის აღწერას და-

ეწყებდა, მე მსურს გავაცნო მკითხველს განსვენებულის თავადის ალექსანდრე იესე-ძის გაგარინის პატიოსანი პიროვნება.

თავადი ა. ი. გაგარინი ჯერ კიდევ სულ ახალ-გაზდა გვარდიის ოფიცერი იყო, როდესაც შეკიდა ადიუტანტად თ. კორონცოვთან, რომელიც ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორი იყო და დაჰყოლ იმასთან ამ თანამდებობაში 20 წლამდის. ოდესაში იმან შეირთო პოდყიო, ციმბირში გაგზავნილი დეკაბრისტის ცოლი, რომელიც მოიყვანა კავკასიაში 1844 წ., როდესაც თ. კორონცოვი ჩამობრძანდა; მაშინ თ. გაგარინს პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა. კარგად ალარ მახსოვს, იმავე წელს, თუ მეორეს—გაგარინის მეუღლე გარდაიცვალა პიატიგორსკში. 1848 წელს ის იყო დანიშნული დერბენტის ქალაქის უფროსად, ხოლო 1850 წელს, როდესაც გენერალ-მაიორობა მიიღო, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად. ამავე წელს იმან შეირთო ცნიაკინა ანასტასია დავითის ასული ორბელიანისა, რომელმაც იმისთანა ბედნიერება მიანიჭა იმის სახლს თავის სიმშვიდით და კარგის ხასიათებით, როგორიც, შეიძლება, თ. გაგარინს თავის დღეშიაც არ გამოეცადა. უნდა გენახათ იმათი ცხოვრება: თ. ა. ი., რაგორც ჭაბუკს, თუმცა ძალიან ახალ-გაზდაც არ იყო, უყვარდა თავის ცოლი და, რაგორც იტყვიან, თითქმის ხელით ატარებდა; სხვა ნაირადაც არ შეეძლო მოჰქცეოდა:—იგი იმისთანა იდეალური, მშვიდი ადამიანი იყო, რომ თითქმის ყოველი მცნობი ალმერთებდა. ის ეხლაც ცოცხალია და ჯან-მრთელი და მომიტევოს, რომ ნება-დაურთველად მის სურათს ვხატავ და ძველს ჭრილობას კვლავ ვუღვიძებ, მის მეუღლის ტრაგიკულს სიკვდილზედ ლაპარაკით. 1854 წელს თ. გაგარინი იყო დანიშნული დიეზის უფროსად, ხოლო 1857 წელს პირველ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად. ნამდვილი

რუსის მებატონე, შვილი თავის დროზედ გამოჩენილის მემუ-
სიკესი თავადი ივანე გაგარინისა, სამსახურში გაწვრთნილი მო-
წაფე თავადის ვორონცოვისა, თავადი გაგარინი ცხოვრებაშიაც
ყველასგან პატივ-ცემული იყო და მართებულის სახლში ისე იყო
მიღებული, როგორც შინაური. ახალ-გაზდობისას მშვენიერი
ყმაწვილი ყოფილიყო და იმ დროსაც ისევ ეტყობოდა უწინ-
დელი სილამაზე, როდესაც მე იმასთან ადიუტანტათ დამიშ-
ნეს (1850 წ.) იმ დროს ძალიან ყურადღებას აქცევდნენ სამ-
ხედრო ფორმას; მხოლოდ თ. გაგარინი ყურს არ უგდებდა:
გახსნილი სერთუკი, გძელი ნაპოლეონისებური ყიდეტი ზაფ-
ხულობით თეთრი და ზამთარში ხაკერდისა და გადაკეცილი პე-
რანგის საყელო—ეს იყო იმისი ჩვეულებრივი ტანთსაცმელი.
და როგორი ოქროს გული ჰქონდა ამ კაცს, როგორი ქცევა
გაზრდილის კაცისა, დეკენტელმენისას არ ვიტყვი, ვიტყვი მხო-
ლოდ რომ ნამდვილის რუსის დიდ-კაცის ქცევა ჰქონდა და ი
ამისთანა კაცი დაიღუპა სრულიად უდანაშაულოდ, მხოლოდ
იმიტომ, რომ მართებლობის ბრძანებას ალსრულებდა.

ეხლა მე ალვსწერ იმ სცენას, რის დამსწრეც იყო მხოლოდ
ერთი იზიუმსკი, რომელმაც ერთი საათის შემდეგ გვიამბო ის
საზარელი ამბავი, მაშასადამე სრულიად მართალი. შევიდა თუ
არა თავადი დადიშკელიანი კაბინეტში, თავადმა ა. ი. იზიუმ-
სკის პირით, რომელიც ძალიან თავისუფლად ლაპარაკობდა
ქართულს (დედა ქართველი ჰყავდა), გადასცა საქმე; ჯერ უბ-
რძანა გადაეთარგმნათ და წაეკითხათ იმისთვის თავადი ბარია-
თინსკის მიწერილობა იმის გაგზავნაზედ თბილისში, შემდეგ
უთხრა, რომ რადგანაც თ. გაგარინი რამდენიმე საათის შემ-
დეგ ქუთაისიდგან მიდის გორდში, ამისათვის განკარგულება
უკვე მიცემულია თავადი დადიშკელიანის გაგზავნაზედ პირ-და-

ვირ გენერალ-გუბერნატორის სასლიდგან და რომ იმის ნიგოთებს სასტუმროშივე ჩაალაგებენ, ეკიპაჟი კი, რომლითაც ის წაბძანდება, ეხლავე ეზოში შემოვა. ყოველს ხვეწნა-ვედრებაზედ თ. დადიშკელიანის მხრით, რომელსაც ქუთაისში რამდენიმე დღით დარჩენა სურდა, რომ, როგორც ის ამბობდა, მოემზადებინა თავისთვის საჭირო ტანთსაცმელი, რადგანაც ის სავნეთიდგან მარტო ერთის ჩოჩქესკით მოვიდა, და ამასთანავე გამოემშვიდობიო თავის ოჯახობას—ყველა ამაზედ თ. გაგარინმა გადაწყვეტილი უარი უთხრა. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ შემდეგი სცენა, საჭიროა მოკლე აღწერა კაბინეტისა, რომელშიაც ლაპარაკი იყო. ეს იყო კარგა მოზდილი გრძელი ოთახი, გაღობილი ხალების ფარდებით, ფარდების იქით იყო ტანთჩასაცმელი ოთახი; გაღობილთან იდგა დიდი საწერი სტოლი მაუდ-გადაფარებული, კაბინეტის ერთს კუთხეში ბუხარი იყო, სტოლის პირ-და-პირ ზალის კარები. მოელი აღწერილი ლაპარაკის დროს თავადი დადიშკელიანი ბუხრთან იდგა, იზიუმსკი საწერ სტოლთან, თავადი გაგარინი კი დადიოდა კაბინეტში წინ და უკან ბუხრიდგან გაღობილ ფარდებამდის. იზიუმსკიმ შენიშნა, რომ თავადი დადიშკელიანის მოძრაობაში რაღაც აღელვება სჩანს და რომ იგი წამ და უწუმ ხანჯლის ტარზედ ხელს იკლებს, თითქო ამოღება უნდაო, და მიუბრუნდა თ. გაგარინს ფრანციცულად: «Prince, prenez garde! le prince Dadechkiliani est hors de lui même, il tient la main continuellement sur son poignard.»*) თითონაც აღელვებულმა თ. გაგარინმა ამას ყურადღება არ მი-

*) «გაფთხილდით, თქვენო ბრწყინვალებავ! თ. დადიშკელიანი მოთმინებიდგან გამოდის, ხანჯალზედ იკლებს ხელს.»

აქცია. მოისმა ხმა ეზოში შემომავლის ეკიპაჟისა, თ. დადიშკელიანმა გადაიხედა ფანჯარაში და სწორედ იმ წუთს გენერალ-გუბერნატორის ბედ-იღბალი გადაწყდა. იმ წუთს, როდესაც თავადი გაგარინი მიბრუნდა და იმას ზურგი შეაქცია და გასწია გალობილისკენ, თ. დადიშკელიანმა თავი გააქნია, მსწრაფლად იძრო ხანჯალი და როგორც ვეფხვი უკანიდგან მივარდა თავის მსხვერპლს *) და ერთის თვალის დახამხამებაში ჩაუსო ხანჯალი მუცლის მარჯვენა მხარეს თ. გაგარინს; ის ძირს დაეცემა, მაგრამ ამ დროს თ. დადიშკელიანი ხანჯალს გადაიგდებს მარცხენა ხელში, იძრობს ხმალს და დაჭრამს მხარზედ, გენერლის პაგონი აკვეთს ხმალს და მხოლოდ ოდნავ გაჭვაწრავს მას. იზიუმსკი, რასაკვირველია, ამ ამბით თავ-ზარ-დაცემული, იმ წამსვე სტოლს ქვეშ შეძვრება და მაუდის უკან იმალება—ასე რომ არ ექნა, იმასაც ის დღე მოელოდა. ჯერ არც კი მობრუნებულიყო თ. დადიშკელიანი კარებისკენ, იგრძნო, რომ მხრებში ვიღაცა სწვდა: ეს იყო ჩინოვნიკი ილინი, რომელიც გენერალ-გუბერნატორის სახლშივე სცხოვრობდა და რომელსაც რამდენიმე წუთის წინად გადასცა პოლკოვნიკ ბარტოლომეიმ, რომ თ. დადიშკელიანს გზავნიან, და ისიც მოვიდა საყურებლად, როგორ გაგზავნიანო. როგორც შემოვიდა კარები კაბინეტში და დაინახა, თ. გაგარინი ატაკზედ დაცემული, დაუყვირა: «რა ჭქენი შენ, ბოროტო», მივარდა თ. დადიშკელიანს და დაუჭირა მხრები. მაგრამ რას გა-

---

*) როგორც სხვა ამ ამბის მცოდნეთა და მომსწრეთაგან გაგვიგონია, ეს ამბავი ისე არ მომხდარა, როგორც ბ. შჩერბაკოვი მოგვითხრობს. ისეთი გმირი, როგორიც თ. დადიშკელიანი იყო, დიდ უკადრისობად ჩასთვლიდა, რომ უკანიდგან დასცემოდა თ. გაგარინს. რედ.

აწყობდა ილიანი, თუმცა მაღალის ტანისა და წამოსადეგი კაცი იყო, ამ გაბრაზებულ დევთან. იგი მოუბრუნდა ილიანს და ხანჯალი აძგერა მუცელში, იმან იტაცა ხელი ჭრილობაზედ და გაკვრდა კარებში, თავადი დადიშკელიანი უკან გაჭეკა. იმ ხალხთაგანი, ვინც ზალაში იყო და შემოესმათ კაბინეტიდგან არა ჩვეულებრივი მოძრაობა, კაპიტანი მიქელაძე გაკვრდა გარეთ და იქიდგან ქუჩაში, როგორც ბოლოს აბმბობდა, ეითომ იმისთვის, რომ კაზარმიდგან თავის როტის სალდათები მოეყვანა საშველად, მაგრამ მე მგონია, იმას არათერიც არ უნდოდა, მხოლოდ შეშინდა... მთლად დათვანტული კაპიტანი საკინიჩი რჩება ზალაში, ბოროუზიკი არდიშვილი კი იძრობს ხმალს, მიკვრდება კაბინეტის კარებს, გზას მისცემს გამოქცეულს ილიანს და შიგ კარებში დაჭრავს თავად დადიშკელიანს, მარცხენა ხელის თითს გაუკრის, მაგრამ ის მარჯვენა ხელით ჩაურტყამს არდიშვილს ხანჯალს გულში. და ეს ახალ-გაზდა მამაცი სასიკვდილოდ დაეცემა ზალის კარებში. განრისხებული, როგორც ძხეცი თავადი დადიშკელიანი ხედავს, რომ ილიანი გარბის, გამოუდგება, დაეწევა სასტუმრო ოთახში და დაჭრამს ხმალს, სულ ჩამოაცლის კეთვს და მარჯვენა ეურს; ილიანი დაეცემა და იქვე კვდება. უთუოდ შიშისაგან გონება დათვანტული, როგორც ზეკითა ვსთქი, კაპიტანი საკინიჩი კვალად ზალაში რჩება. თ. დადიშკელიანი ანებებს ილიანს თავს და ზალაში შემოკვრდება, გაექანება ახალი მსხვერპლისკენ. საკინიჩი მოუდგება დიდს ბურის საკმელ სტოლს და თავადი დადიშკელიანი ვერ უწვდება დაჭრას ვერც ხმალი ლ ვერც ხანჯალი; ლ ა ი წყება თუმცა საძწუხარო, მაგრამ ამასთანავე სასაცილო სცენა: საკინიჩი ურბენს სტოლს კარეშემო და თან ეხვეწება თ. დადიშკელიანს: «თქვენო უგანათლებულესობავ, რისთვის უნდა მოგკლათ, თქვენ თა-

თან იცით, რომ ქართული ქალი მეავს ცოლად, ღვთის გულისათვის დამიფარეთ». მაგრამ, რასაკვირველია, ერთი-ორი წამიც — და არც არავითარი კედრება და ცოლის მოგონება იმას კერ იხსნიდენ სიკვდილისგან. ის სიკვდილს გადაარჩინა თ. გაგარინის მზარეულმა, რომელიც რიღასთვისაც შემოსულიყო ბუფეტში, და როდესაც ხმაურობა გაეგონა, შემოვარდნილიყო ზალაში ათვრებულის თეთრი ტილოთი და თეთრის არაჩინით. რა დაინახავს იმას თ. დადიშკელიანი, თავს ანებებს საკინაჩს, მიეარდება მზარეულს, დაჭერავს ხმალს მხარზედ და ის სადილის სტოლთან დაეცემა. *) ამ წამით ისარგებლებს საკინაჩი, გამოვარდება გარეთ და შეჭმის ეკირილს. თ. გაგარინს ღონე კიდევ შესწეენოდა ასადგომად, ამდგარიყო და მეორე კარით კიბეზედ ჩამოშვებულიყო, აქ კი ღონეს ელალატნა: ძირს დაცემულიყო და ხელი შეეტანათ ოთახში.

რას ჩადის ამ დროს თავადი დადიშკელიანი? — ის საკინაჩს ალარ მისდევს, გასწევს ზალის კარებისკენ, რომელიც ბალკონზედ გადის, ჩამოეშვება რიონისკენ, ნაბერ-ნაბერ კარბის, შეუხვევს ბირკვლასკე ქუჩაში და აკარდება ბირკველასკე სახლში, რომელიც ეკუთვნოდა მაზრის უფროსის თანაშემწეს ბაქრაძეს. ეს სახლი, როგორც უმეტესი ნაწილი იმერული სახლებისა, დგას შუა ეზოში. კარშემო განიერი ბალკონი აქვს. მთელი ბაქრაძის ოჯახობა, რომელიც შესდგებოდა რამდენიმე მოხუცი ქ ახალ-გაზდა ქალებისაგან, ამ დროს ბალკონზედ ისხდნენ და ეკაჭრებოდნენ საქონელს ერთის რაჭველს. რა დაინახეს, რომ ვილაც კაცი შემოვარდა ეზოში ამოღებულის ხანჯლით და ხმლით,

---

*) მზარეულის ჭრილობა სასიკვდილო არ იყო, ასე რომ ორი თვის შემდეგ მორჩა.

სულ გასისხლიანებული,—საბრალო ქალები შიშისაგან გიბეზედ გი ალარ ჩამოდიან სახლის მეორე მხრით, მოგორამენ, გისაც რაგორ მოხვდება. *) გაშეოთებული თავადი დადიშკელიანი შეკარდება ბალკონზედ, მიკარდება რაკელს და თავში დაჭერავს. ის კი არ ვიცი, სანჯლითა, თუ ხმლით. ნაბდის ქუდი იხსნის საკვდილისაგან და მხოლოდ ცოტათი გაეკვრება თავი. ერთ წამს თ. დადიშკელიანი შეკარდება ერთს ოთახში და იკეთებს სიმაგრეს: კარებთან მოსწყვს დიდს ძველებურს დივანს, იმაზედ აწყობს სტოლს და სკამებს, თითონ კი ფანჯარასთან დადგება თავის დასაცველად. ამ მდგომარეობაში იყო ის, ვიდრემდის ეზოში არ შემოცვივდნენ 60 ალდათი ერთის აფიცრით, ხოლო იმათ მოჭყვა მთელი ხროვა ხალხი. აფიცერი და ალდათები ბალკონზედ აცვივიან და იწყობა კიდეც ბრძოლა. კარებს, რასაკვირველია, გამოანტეხენენ და ალდათები ერთი მეორეზედ მისცვივიან თ. დადიშკელიანს შტიკიანის თოფებით, მაგრამ ის მარდათ იცილებს შტიკებს, სწვდება თოფებს და ალდათებს აქეთ-იქით ისვრის; ერთი იმათგანი აჩქარებით გაისვრის თოფს და თავადს სელში დასჭრის,—სხვები მისცვივიან აქეთ-იქით და უკანიდგან შტიკებით სამს ალაგს დასჭრიან, თუმცა მსუბუქად. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რა საშინელის ღონის პატრონი იყო თ. დადიშკელიანი: ორ ალდათს ჭქონდა შტიკები, იმისაგან სელით მოკაკულები, ისიც მაშინ, როდესაც მოჭრილი თითი იმას ძლიეს-ღა ეკიდა ტუჯზედ. ბოლოს სრულიად ძალა-მიხდილს, იარალი აჭყარეს, შეუკრეს თოკით ხელები, და ამ სახით შუა ეზოში იდგა ალდათებით გარს შემოხვეული. ამ დროს მე შეკირბინე ეზოში.

---

*) ერთი იმათგანი კინაღამ მოკვდა, მეორემ ხელი ილრძო.

კიდევ იმას დავუბრუნდები, რის მოწამეც მე თითონ კიყავი. როდესაც მოვედი გენერალ-გუბერნატორის სახლში და ექიმი მოვიყვანე, თავადი გაგარინი ოთახში იწვა, და საშინლად აწუხებდენ ჭრილობანი. იქვე კიდეც მოსულიყო გუბერნატორი გენერალი ივანოვი, შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ესლარი და სხვა პირნი. ამ დროს შეგვატყობინეს, რომ თავადი დადიშკელიანი ბაქრაძის სახლშია და არავის არა ნებდება. გუბერნატორი მაძლევს ბრძანებას, რომ იმ წამსვე წავიდე იქ და რაც უნდა მოხდეს, არ მოვკვლევინო, სოლო ცოცხალი შევიპყრა და წავიყვანო საპატიმროში. გავექანე ბაქრაძის სახლისკენ და, როგორც ზევით ვსთქვი, ვნახე ის საღდათებით გარს შემოტყმული; დავინახე, რომ მოჭრილი თითიდან სისხლი დასდიოდა და ჩემის ხელ-სახოცით, როგორც იყო, ჭრილობა შევუხვიე, მერე კუბრძანე წაეყვანათ. ოცდაექვსმა წელმა გაიარა, რაც ეს ამბავი მოხდა — მაგრამ მაინც კიდევ საზარელი სანახავი ცოცხლად წარმოუდგება ხოლმე ჩემს თვალებს: თითქო თვალს წინ მიდგა, ისე ვხედავ იმ ახოვან კაცს სრულიად ფერ-მიხდილს, ერთი საათის წინად ისე მამაცს, ჯან-მრთელს, ეხლა-კი დაჭრილ-დაკოდილს, გასისხლიანებულს, თოკებით შეკრულს სვანეთის მთავარს! მე ეხლაც კერ შემიძლიან ჩემ თავს ანგარიში მივცე, რამ გამბედვინა იმ მდგომარეობაში თავადის ფეხით წაყვანა საპატიმროში, რომელიც ბაქრაძის სახლიდგან თითქმის ერთ ვერსზედ იყო. მაინც კი წავიყვანე. მთელს გზაში არც იმას, არც მე სიტყვა არ გვითქვამს. ის საღდათების შუაში მიდიოდა და მეც გვერდით მივსდევდი. უცბად შუა გზაზედ, როდესაც მე ერთი ნაბიჯით თავადს გავასწარი, მომესმა გულ-საკლავი ოხვრა, მოვიხედე და რა დავინახე: ვიღაც იმერელი, მეჭუდე, რო-

მელიც, ეტყობა სალდათებმა ვერ შენიშნეს, წამოეპარა თავად დადიშკელიანს და სარი დასთხლიშა ზურგში. ესტაცე იმ იმერელს ხელი და ვუბრძანე სალდათებს კოხდახებით მიეყოლებინათ; ამ წინამასწარა მსაჯულს გვერდები კარგად დაუზილეს... სპასტიმრობაში მოვედით; მე ვუბრძანე სკამი გამოეტანათ და კარებზედ დავსვი თავადი დადიშკელიანი, ვიდრე ოთახს მოუმზადებდნენ.

ამ დროს მოვარდა იქ გუბერნიის ყანდარმის შტაბ-აფიცერი ზოდბოლოგოვნიკი ლაბენსკი და არ ვიცი რა საბუთით უცბად უბრძანა მოდარაჯე აფიცერს მოეტანათ ბორკილები და შეებორკილებინათ იმ წამსვე თ. დადიშკელიანი. ამ გვარი განკარგულება რომ გაიგონა, ბოლოს დროს რუსულად მითხრა: «ალექსანდრე, ღვთის გულისთვის, საჭირო არ არის ეს, უბძანე, ნუ მოიტანენ, რასაც ის ამბობს» — და მიჩვენა ლაბენსკიზედ. რასაკვირველია, მეც გამაკვირვა ამ გვარმა ბრძანებამ დაუპატიჟებელის მსაჯულისამ. მე მივუბრუნდი ლაბენსკის და გულითადი სიმტკიცით დავუწყე ლაპარაკი, რომ მისი განკარგულება არამც თუ უადგილო არის, არამედ სრულიად უკანონო: ჩვენ წინ თუმცა ნამდვილი კაცის მკვლელი იყო, მაინც კიდევ მთავარი და რუსის გვარდიის კაპიტანი იყო — რომლის შებორკილება ჯერ არ. შეიძლებოდა, ბოლოს ვუთხარ, სხვა არა იყოს რა, თავადი დადიშკელიანი მე მაბარია და მე ჩემის მხრით თუ არ გუბერნატორის ბრძანებით, ამას არ მოვიქმედებ, ამისათვის ამ საათშივე მივდივარ მასთან მოსასხენებლად. იმ წამსვე მოვირბინე იმ უბედურს სახლში და ვუამბე, რომ მოვიყვანე თავადი დადიშკელიანი, თუმცა დაჭრილი, მაგრამ ცოცხალი, აგრეთვე ვუთხარი ბორკილებზედაც და რასაკვირველია, მივიღე ბრძანება ყანდარმის შტაბ-აფიცრის განკარგულე-

ბა არ აგვესრულებინა. ჩემთან ერთად წამოვიდა საპატიმროში პოლკოვნიკი უსლარი და თან წამოიყვანა თარჯიმანი გუბერნატორის ჩინოვნიკი თავადი კ. ერისთავი (ახლანდელი მომრიგებელი მოსამართლე ქუთაისის მაზრისა.) თავადი დადიშკელიანი საკუთარს ოთახში ვნახეთ ფიცრის ტახტზედ მწოლარე კვალად ხელშეკრული. უსლარმა უბრძანა ხელები გაეხსნათ თავადისთვის, შევიდა იმასთან ოთახში და თ. ერისთავის პირით დაუწყო იმას კითხვა, რაზედ მოჭკვლია თ. გაგარინი და სამიც სხვა (მაშინ ეგონათ, რომ მზარეულიც მოკვდებოდა). დალვრემილის სახით არც კი გადმობრუნდა იმისაკენ და ისე უპასუხა: «დიახ, მოკვალ, მოკვალ,—მე გეძებდით შენცა და ბარტოლომეასაც—აი კიდევ ვინ მინდოდა მომეკლა, ახლა შენ მაგე მიიღებ გენერალობას». საბრალოს ეგონა, რომ უსლარი იყო მიზეზი იმისი სვანეთიდგან განდევნისა და რომ მხოლოდ ისა ცდილობდა იმისთვის სამთავრო წარეთვათ.

აქ ის უნდა ვსთქვა, რა საშინელება იქნებოდა რომ თავად დადიშკელიანს მოეხერხებინა იმ სახლში მისვლა, სადაც ჩამოხდა იმისი სახლობა და ის 40-50 შეიარაღებული სვანი, რომელიც იმის სახლობას ახლდა; და ეს განზრახვა, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, თურმე იმას ჰქონდა, როდესაც გენერალ-გუბერნატორის სახლიდგან გამოვარდა. სრულიად დასაჯერია, რომ სვანები იბრძოლებდენ თავიანთს მთავრისთვის, ვიდრე სულ ერთიანად არ გაწყდებოდნენ,—ისინი ამას შემდეგ ამბობდენ. ღმერთმა დაგვიხსნა ჩვენ მაშინ ამ განსაცდელისაგან და კაცის-მკვლელი იქ არ მიიყვანა, სადაც მას სურდა!

რამდენიმე საათის უკან ამ ამბის შემდეგ ქუთაისის გუბერნატორმა ვ. ა. ივანოვმა გაგზავნა მოხსენების მოგლე წერილით თბილისში მთავარ სარდალთან თავად ბარიათინსკისთან

გენერალური შტაბის კაპიტანი გუზმინსკი, ხოლო მეორე დღეს მე გამოგზავნა ვრცელი ცნობებით ამ საშინელს დრამაზედ. იმავე ღამეს ჩამობძანდნენ გორდიდგან კნეინა ანასტასია დავითის ასული გაგარინისა და სამეგრელოს მთავრის კნეინა ეკატერინე ალექსანდრეს ასული.

მეორე დღეს, ნაშუადღევის 4 საათზედ მე მივედი მთავარ სარდლის კარზედ; მე შემიყვანეს თავადი ს. ი. კაბინეტში და მე ვუამბე სუფეველა ის, რაც ჩემ წერილშია მოხსენებული. რამდენჯერმე ცრემლები გადმოსცვივდა მთელი კავკასიის საგონებელს თ. ბარიათინსკის. იმას ძალიან უყვარდა თ. გაგარინი და ჩემი მოხსენების დროს ძალ-ძალ იმეორებდა: საბრალო თავადი, რისთვის დაიღუპა, ნუ თუ არავითარი იმედი არ არის? მაგრამ მე, რასაკვირველია, ისე მოვახსენე, როგორც დაბარებული მქონდა, რომ ექიმებმა ჭრილობა სცნეს საშიშად დიდო ჭრილობად და რომ მორჩენა შეუძლებელია. მართლადაც მეხუთე დღეს თავადი გაგარინი გარდაიცვალა.

კაპიტანი გუზმინსკის თბილისში მოსვლის დღესვე განსვენებულმა ფელდმარშალმა უბრძანა შეადგინონ საკუთრად საშხედრო საბჭობელი კომისია, არტილერიის გენერალ-მაიორის თ. ბექთაბეგოვის თავმჯდომარეობით და გასამართლონ საშხედრო სასჯელის სამართლით ქუთაისშივე თავადი დადიშკელიანი. ერთი კვირის განმავლობაში გასამართლეს, გადაწყვეტილება გაგზავნეს თბილისში, აქ მთავარ-სარდალმა დამტკიცა გარდაწყვეტილება: დაისაჯოს თავადი დადიშკელიანი სიკვდილით—თოფით დახვრეტით, რაც აღსრულებაში მოყვანილი იყო დილის 8 საათზედ, 2 ნოემბერს 1854 წელს. დასჯის მოწმე არა ვყოფილვარ, რადგან თავად ბარიათინსკიმ რამდენიმე დღით თბილისში დამტოვა, რომ წამეყვანა ქუთაის-

ში გუბერნატორის მეუღლე, სწ გარდაცვალებული ეკატერინე იაკოფის ასული ივანოვისა (დაბადებით ბნიაკინა ორბელიანისა). საკვირველად არა გხედავ, დაწვრილებით აღვსწერო დასკვა, მხოლოდ ამას კითხავ, რომ იმ ყამბიზის, ვიდრე თავად-დადიშკელიანს გადაწყვეტილებას გამოუცხადებენ, ის უსათუოდ დარწმუნებული არ იყო იმაში, რომ ამისთანა ხვედრი ეწვოდა, რადგანაც, როცა დასასჯელად მიჰყვანდათ, ის ხშირად იმეორებდა ქართულად: «კანონი არ არის»- შეიძლება მართლადაც ამ გვარი სასჯელი არ გადაწყვიტათ, თუ რომ თავად ბარიათინსკის წარედგინა თავისი გადაწყვეტილება უზენაესად განსახილველად, მაგრამ იმან სასჯელი აღსრულებაში მოიყვანა მისდამი მინიჭებულის უფლებით, თუმცა უნდა გსთქვათ ესეც, რომ, როდესაც განსვენებულს ხელმწიფე იმპერატორს მართველ დასამტკიცებლად თ. ბარიათინსკის გადაწყვეტილება, იმან საკუთარის ხელით ზედ დაწერა: «რა საზარელი ბოროტმოქმედებაა»! მაგრე თავადი დადიშკელიანის დასჯის შემდეგ მისი ცოცი, ქუთაისის გიმნაზიის შეგირდი, გაგზავნეს ორენბურგის კადეტსკი კორპუსში, ხოლო ძმა მისი აღექსანდრე გადაყვანილ იქმნა ელიზავეტგრადიდგან ერთს ციმბირის დინეინის ბატალიონში.

II. გენერალ ფადეიევის აზრი ქართველობაზე.*)

მე ვიუკვ სანდო კაცი თავად ბარიათინსკისთვის, როცა იგი კავკასიას განაგებდა, და მაშასადამე დათვარეული არ იყო

*) ეს სტატია წარმოადგენს ნაწყვეტს გენერალ ფადეიევის წერილისას საზოგადოდ კავკასიაზე და განაპირა ქვეყნებზე. ჩვენ მოვაქცეთ იგი ჩვენის ჟურნალის ფურცლებზე, როგორც ფრიად საყურადღებო და საგულისხმიერო წერილი ქართველობისათვის. რედ.

ჩემგან თვიქრი და ზრუნვა, რომელიც აწუსებდა მაშინ მთავრობას. მას უკან 15 წელმა განვლო და მე ისევ მომიხდა თბილისში ყოფნა, როგორც წევრს კავკასიის მმართველისა და გამგეობის წესების შეცვლისათვის დანიშნულის კომისიისას, და გაკვირვებული დავრჩი ორიოდ სამიოდე ისეთის ცვლილებით, რომელიც აქაურების ცნობიერებას დასტყობია და რომელსაც შეუძლიან დაჭბადოს ჩვენსა და ქართველებს შორის რამ საეჭვო გაუგებრობა. არავითარ ამ გვარ გარემოებაზე და ცვლილებაზე უწინ ხსენებაც არ იყო. ამისათვის იგი უნდა უეჭველად განიმარტოს და გადაეცეს ყველასთვის საგეთილოდ, რომ არ გავითარდეს და არ გაძლიერდეს უკიდურესობამდე.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯის გადადგმა იყო იმ კომისიის დაფუძნება, რომელმაც დიდი ხანი არ არის რაც გაათავა თავისი მუშაობა. პირველად თვიქრადა ჭქონდათ, რომ ამ კომისიისათვის მიენდოთ ვრცელი და დიდი ეკონომიურის საგნის გადაწყვეტა, ე. ი. მას უნდა შეეფვრდებინა და შეეთანხმწორებინა ხარჯი ამ ქვეყნის შემლებისა და საჭიროებისათვის. ამ საქმეში კომისიას საფუძვლად უნდა მიელო უმაღლესად მოწონებული წერილი 13 დეკემბრისა 1881 წ., მაგრამ ამ კომისიის სახელმძღვანელოდ ისეთი პროგრამმა შეიმუშავა მინისტრთა კომიტეტმა, რომ მისი ყურადღება მიიქცია მხოლოდ მთავარ საემართველოს წესების შეცვლამ. საჭირო და ფრიად საჭიროა რომ ბოლო მოელოს უანგარიშო ხარჯს, რომელიც უნდება კავკასიის მხარეს. შემოსავალი ამ აზიაში მყოფის განანაპირის ქვეყნისაც, როგორც წერილში (13 დეკემბრიდამ 1881 წ.) ვრცლად არის გამორკვეული, მეტად მცირეა ხალხის რაოდენობასთან შედარებით. ამიტომ ამ გვარ ქვეყანაში ჭრთულს საზოგადო რუსულ წესების შეტანას, მათ წარმოებას

და დამკვიდრებას მეტი სარჯი უნდება, ვიდრე ქვეყანას შეუძლიან —და ეს მეტი სარჯი ტვირთად შიდა რუსეთის გუბერნიებს აწვება. ხოლო ჩვენ თან-და თან უფრო ვაკვრცელებთ ჩვენს მეფლობელობას აზიაში და ეველგან სარჯი მეტი უნდება მართვასა და გამგებობას, ვიდრე თვით დაპყრობილი ქვეყანა იხდის ამ საგანზე, ამით შიდა რუსეთის გუბერნიებს უფრო და უფრო მეტი ტვირთი აწვება კისრად. ცხადია რომ ეს მეტის-მეტია და ასე საქმის წაყვანა ხეირს არ დაყრის სახელმწიფოს. რამდენადაც მაგნებელია და უსარგებლო თვით განპირა ქვეყნისათვის ჭრთული საქმეთ წარმოება, სჩანს შემდეგი უბრალო მოსაზრებიდგან: როგორც ადგილობრივი მთავრობა, ისე ადგილობრივი მკვიდრნი ფიქრობენ რომ ნამდვილი, არსებითი საჭირობა ქვეყნისა არის: 1) მამულების გამიჯვნა, ურომლისოდაც კერძო საკუთრებას ფასი არ ემატება და უალაგო-ალაგს დამარხულს განძსა ჭვავს; 2) მამულების რწყვა, აღდგენა მაინც იმ წესისა, რა წესითაც უწინ რუსეთის მფლობელობამდე მამულები ირწყოდა, რადგან უწყლოდ ამ ცხელ ქვეყანაში თვით უნაყოფიერესი მამულები უდაბნოდ გადიქცევიან ხოლმე; 3) გზები, რომელნიც უნდა შეაერთებდნენ ნაყოფიერ და მოსავლიან მხარეებს მთავარ გზებთან. გამოანგარიშებულია რომ თითო მილიონით ოთვულ წელს სამიკე საჭირობების გაძღოლა და დამყოფილება შეიძლებოდა სულ რამდენსამე წლის განმავლობაში, და ეს აქამომდე არ უცდიათ სრულიად—იმიტომ კი არა, რომ ფული არ ყოფილა. 1800 წლიდგან ამიერ კავკასიის მართვისათვის გადადებულმა სარჯმა იმატა 1,700,000-დამ 8 მილიონამდე, ხოლო საერო გარდასახადსაც თუ დაუმატებთ ამას, მაშინ გამოვა რომ უმატნია $10^1/_2$ მილიონამდე. ამ ნამატი ფულიდამ, რომელიც მთლად იხარჯებოდა ჭრთულად

მომართულ ადმინისტრაციაზე, ერთხელაც არ გადარჩენილა 300,000 მანათი მაინც, რომ გამეგზავნის დაჩქარებისათვის მოეხმარებინათ, რომელსაც ყველა სულის მწარით ელის. სამინისტროთაგან არჩეულ პირთ თავიანთ განმარტებითს წერილში გამოსთქვეს, რომ კავკასიის ხარჯისა და საჭიროებათა შეთანაბრებისათვის, საჭიროა შედარებული იქმნას ყოველ უწყებაში უწინდელი ხარჯი ეხლანდელთან და რომელშიაც მომეტებულს ხარჯს არ მოუტანია შესაბამი სარგებლობა, გაუქმდეს და მოისპოს მომატებული ხარჯი; მაგრამ კომისიას არ მისცეს ამის უფლება. ეხლა ამ მხრივ ყველაფერი ადგილობრივის მთავრობას ნებაზეა დამოკიდებული. მთავარ-მმართებელი ყველაზე მეტად ზრუნავს იმაზე, რომ გამოაძებნოს საშუალება ზემოხსენებულ უმთავრეს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; ცხადია რომ მას უნდა ჰქონდეს ძიებული უფლება განკითხველად მოახმაროს ამ საგანს ყოველივე, რასაც კი გადარჩენს მომჭირნეობით რომელსამე უწყების ხარჯს და ამ მხრივ მას არ უნდა უშლიდეს შესაბამი უწყება საზელმწიფოსი. ხოლო საშუალება რაგორც ზემოდ ვთქვი, ბევრი გამოჩნდება. ამასთანავე უნდა ერთხელვე და საძუდამოდ დაცულ იქმნას ამ ქვეყნის შემოსავალი, რომელიც თან-და-თან მატულობს, სხვა-და-სხვა ადგილობრივ მად-გასსნილ ან გაუმაძღარ გვამთაგან ან უნდა მიდიოდეს ელ-შეუხებელად ერთხელვე უცვლელად დადგენილის წესით, საზელმწიფო ხაზინაში. შეიძლება, რასაკვირველია, რომ სხვა-და-სხვა საჭიროება აღმოჩნდეს და მათ დასაკმაყოფილებლად ახალი ხარჯი აუცილებელი გახდეს, მაგრამ ამ გვარი გარემოება ათასში ერთხელ მოხდება და არა მუდამ, რაგორც ეხლაა. ამ გვარი შრომა თბილისში მყოფ კომისიის საქმე უფროა, ვიდრე მთავარ-მმართველისა, რომელ მინისტრები დაი-

წყობენ მართვას თავიანთ უწყებისას კავკასიაში; მაგრამ რადგან კომისიის სხდად შეკრება ალარ შეიძლება, სხვა ლონე ალარ არის ქვეყნის დასასნისათვის, თუ არ სახელმწიფო ხაზინის შემწეობით. მე ალარ დავუბრუნდები სხვა საგნებს თვინასიერ მეურნეობისას, რომელნიც განმარტებულნი არიან აზიის განსაზირა ქვეყნების შესახებ შედგენილ წერილში.

ეკონომიურ საგანს თან მოსდევს თავის დიდის მნიშვნელობით სამოსამართლო დაწესებულებათა შემოღება კავკასიაში ადგილობრივ კითარებასთან შეფერებით, რაიცა აქნობამდე უყურადღებოდ არის დატოვებული. ამ საგანზე ცალკე წერილია შედგენილი და ამისათვის ესლა მხოლოდ ის უნდა გოქვათ, რომ ესლანდელის სამართალისა და სამსჯავროს მდგომარეობა კავკასიაში ისეთია, რომ ერმა უკმაყოფილების მეტს არასა ჭბადებს როგორც ძალა, ისე დაბალ საზოგადოებაში. სამოსამართლო ახალი დაწესებულებანი ძალ-და-ძალ თავზედ აქვთ დატეხილი აქაურებს და ათას დანაშაულებათა რიცხვში, 20 დანაშაულობაზე ძლივს მიიქცევა ხოლმე რისხვა კანონისა. ამის გამო ეს მხარე თითქმის ბუნებრივ მდგომარეობაშია ჩაყენებული, მოშორებულია კანონის საფარველს და ამ მიზეზით უფრო და უფრო მრავლდება დანაშაულობათა რიცხვი. არ არის აქ არც ერთი აქაური კაცი, რომელიც არ ამბობდეს დაუფარავად, რომ ამ გვარ წესების გამო არ შეიძლება ცხოვრება, მაგრამ შტიკების ძალას იძულებული ხარ დაემორჩილოთ.

რაც მე ზემოდ მოვიხსენე ჩვენის უზარმაზარ მეფობისათვის და სამართლის მოწყობისათვის, ისეთის სამართლის მოწყობისათვის, რომელიც იცავდეს საზოგადოებრივ უკნებელობას, ითქმის ყველა აზიაში მყოფის განსაკირა

ქვეყნისათვის ერთნაირად საზარია. ამის შემდეგ მოკავლედ გსთვლი ჩემს თავს განვმარტო რამდენიმე ძრიელ საყურადღებო თვისების გარემოებანი, რომელნიც ერძოდ კავკასიაში გაჩნდნენ და რომელნიც გაუგებრობას ჭბადებენ ჩვენსა და ქართველებს შორის. თუმცა ეს საგნები ადგილობრივი თვისებისანი არიან, მაგრამ ამით მათი მნიშვნელობა არა მცირდება, რადგანაც ყოველივე ძალა ჩვენის მეფობელობისა და გავლენისა აზიაში, შავის ზღვიდამ ჩინეთის საზღვრამდე, დამყარებულია კავკასიის ყელის უფლობაზე. ეს ყელი იცავს კასპიის ზღვას და ამ ზღვის იქით მდებარე ქვეყნებს დასავლეთ ევროპისაგან, რომელსაც მუდამ თვალი უჭირავს მათზე. ჩვენ რომ რაიმე შემთხვევამ ხელი აგვაღებინოს ამიერ კავკასიაზე, ვოლგის შესართავის მიდამონი ისეთსავე საშიშ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, როგორშიაც ესლაც ყირიმი და ოდესა იმყოფება; თუ ქვესთანს ვეღარ დავიმაგრებდით და მთლად ჩვენი საზღვარი ჩინეთამდე ნამდვილი საზღვარი იქნებოდა, რომლის დაცვისათვის ცისკ-სიმაგრენი და დიდი ძალდობა დაგჭირდებოდა. მთების დაპყრობამ ბევრად გაიშველა, რომ ასე საქმე არ დატრიალებუყო, თუმცა სრულიად არ მოსპო და არ გაუქმა ჩვენი საშიში მდგომარეობა ამ გვარის შემთხვევის დროს; ამისათვის არ შეიძლება დიდი მნიშვნელობა არ ჭქონდეს იმპერიისთვის ყოველ-გვარ გარემოებას, რომელიც განამტკიცებს ჩვენ ბატონობას ამიერ კავკასიაში. უმთავრესი გარემოება ამ გვარ პირობათა შორის, რომელიც დიდად განასხვავებს ინგლისის ფესმოუკიდებელს მდგომარეობას ინდოეთში და ჩვენს მტკიცედ ყოფნას ჩვენს მოსაზღვრე აზიაში, ის არის, რომ ჩვენ ამიერ კავკასიაში (ე. ი. საქართველოში) ისე ვართ, ვითომც ჩვენ სახლში ვყოფილვართ, ჩვენ ვართ ერთმორწმუნე ერი საქართვე-

ლოში, რომელმაც თავისი კეთილის ნებით მიგვიწოდა თავისთან. ვიდრე ქართველები ძმურად მხარში გვედგებიან ჩვენ, კავკასიის მხედრობას ვერაფერი ვერ შეარყევს, რაც უნდა მოხდეს და მტკიცედ იდგება იგი მთიან ქვეყანაში, სადაც მგვიდრობს ისეთი მამაცი ერი; ხოლო ვიდრე ჩვენ მტკიცედ ვსდგევართ საქართველოში, არავითარი წუთიერი მარცხი ახლო-მახლო საშუალმანო და სათანრო ქვეყნებში ჩვენთვის საშიში არ არის და მუდამ ადვილია დავაფასოთ გულ-წრფელი ერთგულება ქართველებისა სახელმწიფოსათვის, და მაშასადამე შემდეგ საუკუნადღებო საგანთა უაღრესი მნიშვნელობაც:

1) თუ გვინდა რომ მტკიცედ ვიდგეთ საქართველოში, უნდა დავიცვათ და გაუფეთხილდეთ ქართველებს, როგორც ტომს და როგორც საზოგადოებას. თუმცა ამ გვარი ზრუნვა თითქო უცნაურია, მაგრამ ამ ბოლო დროს იგი უფრო-და-უფრო თავს იჩენს. ხან-გრძელვმა ისტორიამ შეიმუშავა საქართველოში საზოგადოებრივი წეს-წყობილება მომეტებულ საწილად არისტოკრატიულის თვისებისა. სულსა და გულს ამ ბატარა ერისას შეადგენს მისი ძრიელ მრავალი თავად-აზნაურობა. ლრმად ერთგული რუსეთის სამეფო ტახტისა ქართველთ მიწათ მფლობელი წოდება რომ შეიცვალოს სხვა უცხო ხალხით (თუნდ მაგ. სომხებით) მომავალი ურთიერთობა მთლად ქართველთ ტომსა და რუსეთს შორის დიდად საეჭვო შეიქნებოდა. —სწორედ რომ ეს შიში ეხლა მოგვეალის ჩვენ. ქართველნი თავად-აზნაურნი მართლა ამბობენ, რომ მათ შეუძლეს მთლად საამუსულმანო აზიის თავს-დასხმას, და მიწა-წყლიდან ფეხი არ მოიცვალეს, მაგრამ ვერ შეუძლეს ძმურს, თავაზიანს და დიდად გულ-უსვს მათ შესახებ რუსის მართვა-გამგობას, და დღეს ფეხ-ქვეშ ნიადაგი ეცლებათ. ჯერ არა ტი-

ტულოვანი აზნაურობა, რომელიც ემსგავსებოდა ჯავშნით შეჭურვილს შლიახტას) მოაშორეს თავადთა და ამით შეასუსტეს მათი ქონებრივი ღონე, მერე გლეხთა განთავისუფლებამ და უფრო მომეტებულ ნაწილად ახალმა გვარმა ცხოვრებამ, რომელსაც ალარ ეტყობა სიმარტივე და სიიეფე ძველის ცხოვრებისა, დიდს და აუარებელს ვალში ჩაჭყარა თავად-აზნაურობა. ამ ვალიდგან თავის დახსნა მით უფრო გასაჭირი შეიქნა, რომ გაუფოფლად და გაუმიჯვნელად ჰფლობენ მთელი გვარეულოებანი და არა თვითოეული პირნი, რაც უფრო აგლებს ფასს ამ მიწებს. დადგა გაჭირვების დრო. თავი რომ მივანებოთ და საქმე ბუნებრივ მსვლელობას მივაჩემოთ, მაშინ დიდად უმეტესი წილი მამულებისა ძალიან ჩქარა გადავა უცხო ტომის ჩარჩების და სოვდაგრების ხელში, რომელთაც რუსეთის ერთგულება არაფრად ეჭაშნიკებათ. მაშინ საქართველო საქართველოდ ალარ დარჩება ჩვენთვის პოლიტიკურად. მთავრობა ვერ მოითმენს ამას, ისე, როგორც ვერ მოითმენდა, რომ მოსკოვის გუბერნიის მთლად მიწად-მფლობელობა უცხოელთა ხელში გადასულიყო. ლაპარაკი კი სულ სამ მილიონზედ არის და ისიც უიმედო სამ მილიონზედ. საბოლოოდ, რომ პრიკაზის ვალი აეხადოს თავად-აზნაურობას, ანუ უპროცენტოდ გადახდეს რამდენიმე წლის განმავლობაში. თუ არ ეს ზომა, სხვა არა მოხერხდება რა. იგი ამ ერთ ხანად არის საჭირო, როგორც დროებითი ზომა. შემდეგი საჭირო ზომანი, რომელნი მაგ. გამიჯვნა და სხვანი გამოიყვანს მიწად-მფლობელობას ეხლანდელს გაჭირვებულს და შეხუთულს მდგომარეობიდგან.

3) სამხედრო საქმეებშიც ქართველნი თითქმის იმდენადვე უკმაყოფილონი არიან, რადგანაც ამ მხრითაც დაჩაგრულია იმათი ერთგულება. მართლაც, ყველა ჭსედავს,

რომ მუსულმანობით დასახლებული კავკასია მთლად შეკრებილია ავრადით; მხოლოდ საქართველოა ავრალასსნილი, თუმცა იგი ვრამც თუ ერთად-ერთი ერთგული ტომია, ვრამდე გაცილებით უფრო მამაცი ვრის ყველა სხვა კავკასიელ ტომთა შორის. საქართველო იქამდინ უიარაღოა, რომ როცა ამ უკანასკნელ ომის დროს ათი-ათასობით დაღესტნელნი ახალის ხაზინის (механизмъ) თოფებით დაიარაღებულნი ჩვენ წინააღმდეგ მოდიოდნენ, აგრეთვე როცა ამიერ-კავკასიის თითრობაც თავით-ფეხებამდის შეკრებილი, ჭეიქრობდა საძაზრო ქალაქების იერიშით აღებას, ერთგულნი კახელები, ამ ცოტა ხნის წინად ისეთი გულადნი მებრძოლნი, ძლივს-ძლივობით შოულობდენ ათობით თოფებს თავიანთ სახლ-კარის დასაცველად. ამ გვარი საქმე უფრო ნათლად გამოჩნდა წარსულის ომის გათავების შემდეგ, როცა თათრობა ვითომ იარაღის დაყრას აპირობდა, და ის კი არა თუ, კვალად შეიკრებენ ტფილისში ქმნილ ოსმალთა კარის თოფებით. სწორედ ახირებული და უცნაური გაუგებრობაა! აქამდის მთავრობა ყოყმობდა და ვერა ჭბედავდა ქართველობისთვის საძხედრო საძსახური ეტვირთებინა,—კი თუ ავადელვოვო,—თვით ქართველობას კი ეს ყოყმანი და მთავრობის გაუბედაობა იმის ნიშნად ჭვრიან, რომ არ გვენდობიანო. ეს ძალიან სწყინთ და სათაკილოდ მიაჩნიათ. ამას გარდა უკანასკნელ ომს რომ უყურებდენ, თავის დაცვის გრძნობამ იჩინა მათში თავი; ყოველ მხრით გარემოცულთ გადამტერებულის და შეიარაღებულის მუსულმანობით, ქართველებს როდი ჭსურთ უპატრონოდ თავი გადულონ ვისმე მოსაკვეთად და სცნეს საჭიროდ ძმურად იდგნენ რუსთა დროშის ქვეშ საერთო მტრის წინააღმდეგ. რასაკვირველია ქართველებისთვის საძძიმო იქნება საძხედრო საძსახურის ტვირთი და პოლკებში ჩაწერა, მაგრამ გულ-

წრფელად კი ვსურთ რომ თავიანთი რაზმები გამოვყოფდეთ საერთო რუსის ლაშქრის გასაძლიერებლად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ მხრივ არავითარი მომზადება არ ეჭირვება ხალხსა, რომ ომიანობის დროს ორ საქართველოს გუბერნიას შეუძლიან და მოწადინებულიც არის გამოიყვანოს იმდენივე მეომარი, რამდენიც რიცხვით ქართველების ტოლა რუსის ხალხს გამოყვეს, ე. ი. არა ნაკლებ 20 ბატალიონისა უკლებრივ და სრულად მაშველი ჯარითურთ (резервъ); ამისათვის მეომარი რიცხვი მშვიდობიანობის დროს უნდა ამ რიცხვთან იყოს შეთვარდებული და ჯარი-გამრავლების დროს როტა გადიქცეოდეს ბატალიონად.

4) საზოგადოთ 80 წლის შემდეგ, საქართველოს შემოერთებიდამ დაწყობილი, მთავრობამ უნდა იცოდეს ვისთან აქვს იქ საქმე. ქართველნი ერთგულნი არიან რუსეთისა სრულიად ცნობიერად, თუმცა უყვართ თავისი ერეკვნობა და არა ვსურთ სხვა ერეკვნობაზე შესცვალონ იგი. გონება განვითარებულნი ლ მსჯელობის შემძლენი მათ შორის გულ-ხსნით ამბობენ, რომ სხვა გეოგრაფიული მდგომარეობა რომ გვქონოდა, ჩვენ ვისურვებდით და მტკიცედაც დავადგებოდით პოლიტიკურის თავისუფლების მოპოვებასაო, მაგრამ ერთს მილიონს მართლ მადიდებელს ხალხს, დასახლებულს რუსეთისა, ოსმალოსა და სპარსეთს შორის, სხვა ასარჩევი არა აქვს, თუ არა რუსეთთან ცნობიერად შეერთებაო და მართლაც იგი შემოგვიერთდა ჩვენ სრულის ცნობიერობით და სამუდამოდ, მაგრამ იმ პირობით, რომ ქართველნი ისევ ქართველებად დარჩნენ. ამისათვის სჩიანან იგინი, რომ მათ ერეკვნულს გრძნობას ჯერეკვანი უურადღება არა აქვს მიქცეული, რომ იმათ ენას არ ასწავლიან მთავრობის სკოლებში, მაშინ რადესაც სომეხნი მუდამ წელიწადს უფრო და უფრო ამ-

რაკლებენ თავიანს სკოლებს; რომ მათი იერარხია დაჩაგრულია, რომ მათ სრულით ნდობით არ ეძცევიან საძხედრო საქმეების შესახებ; ერთის სიტყვით, რომ მათ ადარებენ კავკასიის სხვა ტომთა, რომელნიც პოლიტიკურად საეჭვონი არიან. არ შემძლიან არ გავიხსენო აქ, როგორ გვემდურებოდენ დიად წინწასულნი ქართველნი, რომ ჩვენ სრულიად ყურადღებას არ მიგაქცეთ მათ, როცა კომისია შედგა კავკასიის მართველობაში ცვლილებათა მოხდენისათვის. ამ კომისიაში არ იყო ამორჩეული არც ერთი ქართველთაგანი, რომელთაც დიდი ადგილი სჭერიათ აქ, თუმცა კი საქმე მათ საკუთარს ბედს და უბედობას შეეხებოდა. ეს საძდურავი და დრტვინვა ბევრად საძართლიანია; მთავრობას არავერში არ ეტყობა, რომ იგი განსაზღვრით ადიარებდეს, რა განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს საქართველოს ამიერ კავკასიაში. კაცს შეუძლიან ითქოს, რომ ჯერ ჩვენი შეხედულობა სხვა-და-სხვა განსხვავა ქვეყნებზე არ გამოგვეულა რიგიანად და ამიტომ არ ადიარებულა ჯერ ის ჭეშმარიტება, რომ თუ პოლშელს არ შეუძლიან იყოს საიმედო ქვეშევრდომი, როცა იგი ნამდვილი პოლშელია, პირ-იქით ქართველი კარგი რუსის ქვეშევრდომი მაშინ იქნება, როცა იგი ნამმკვილი და ჭეშმარიტი ქართველია.

ოვველივე ზემოხსენებული განსაკუთრებით შეეხება საქართველოს, ე. ი. ორ გუბერნიას—თბილისისას და ქუთაისისას; მაგრამ ძრავალ-გვაროვანი კავკასია მთავრობისათვის ბევრს სხვა საყურადღებო საგნებსაც წარმოადგენს, რომელთაც გამოგვევ და განმარტება ეჭიროთ.

მოკითხვა.

(შეთვლილი შვილისაგან დედასთან, ერევნიდგან,
მეფის თეიმურაზის დროს).

მოგითხვას გითვლი, დედილო, თან მოსდევს ჩემი გული,
ჩემთვის ნუ დარდობ ნურაფერს, არა ვარ დაკარგული.
წიგნს ვერა გწერამ, დედილო, ჩემგან ნუ გაგიკვირდება,
წერა და საწერ-კალამი ჩვენს მდგომარეობასაც გაუჭირდება...
სიტყვებს ვაბარებ ზღვიასს, მე ხომ არ ვიცი «ან-ბანი»,
სხვა გვარ, რა ვიცი, რა რიგათ, როგორ გაცნობო ამბავი?...
ომი გადაგვხდა საშჯერა, საშჯერვე გაგიმარჯვეთ,
ფეხ-და-ფეხ ვსდიეთ თათრებსა, ვხოცეთ და ვკაფეთ არჩეეთ...
ხუთი აეჩეხე სმალ-და-ხმალ, საშიც მოვკალი თოფითა,
ტყვე, დავლა, ბევრი ვიშოვეთ, ვილხინეთ დიდის ყოფითა!...
ჯერ ვერ წამოვალ შინათკენ, ნუ მელი მოკლე ხანებში,
ქართველის ჯარში ვარ, ერევანს, გუშაგათ, მეცავ ხანებში.
არ ვიცი, ჩემმა სიყმემ, რა შამოვალო სხვა კიდე?...
ილოცე ჩემთვის, დედილო, ეს ქრისტე ადიდე!...
ნუ რას ინალვალი, დედილო, სახლ-კარსაც ნურსად წაუსვალ,
მამა ჩემს სული აუხსენ, თავ-შავი ცხვარი დაუკალ,
მოგდელს საწირავათ მიართვი: ზედაშე ყველაწმინდისა,
სანთელ-საკმელი, წანდილი და თვსი წყვილი წანდისა...
მოგითხვას უთვლი ბიძა-ჩემს და ნათლი-ჯალაბს თინიას,
ბერუა ხბოსთვესაშვილსა და ჩიტოლავანთ ნინიას.

თუ მეზობლისას მიხვიდე, ჰკითხე თავმოვ გოგოსა:
ქისას დაშვირდა,—რა უყო?—ჩემთვის არ დაიზოგოსა!..
მორიგი ჯარი რომ მოვა, ხომ დამითხოვენ მეც შინა,—
ფეხს დავკარავ, გამოვეფრინდები, როგორც ისარი, მაშინა!..

თ. რ. ერისთავი.

12 დეკემბერი 1883 წ.

ბიბლიოგრაფია

«ნობათი», იანვარი, № 1 1884 წ.

ჩვენი შენიშვნიდამ, რომელიც წარსულ თვესა გვქონდა ყურნალ «ნობათზე», მკითველი დაინახავდა, თუ რა დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ქართველ მოზარდი თაობისათვის საყმაწვილო პერიოდულ გამოცემას. სწორედ ამ მნიშვნელობის ბრალია, რომ ჩვენ განვიზრახეთ, შეძლებისადაგვარად, კვალში ჩავუდგეთ ახალ-გაზდა «ნობათს», ვაკვირდებოდეთ მის კარგსაც და ავსაც, შევისწავლოთ იგი და ყოველთვის, როცა კი საჭიროდ დავინახავთ, ამოვიღოთ მასზე ხმა, გამოვსთქვათ ჩვენი შეხედულობა, ჩვენი აზრი და მით დავეხმარნეთ, თუ თითონ «ნობათს» ვერა, საზოგადოებას მაინც, უტყუარი წარმოდგენის შედგენაში ქართულს პედაგოგიურს ყურნალზე.

იქნება, მკითხველს არ დაჭვიწყებია, რა ნაირი ალტაცებით მივეგებენით საყმაწვილო ყურნალის განხორციელების აზრს ჩვენში; იქნება, ისიც ახსოვდეს, რომ ჩვენ სანიმუშო ნომერს ვუყურებდით, როგორც ერთობ ხერხიანად და კარგად შედგენილს წიგნს, რასაკვირველია, თავისის ნაკლულევანებით, რად-

განქვეყნებულ სრული და უნაკლოდ არა მოიბოვება რა. მასთან საზოგადოდ ისეა, რომ ზოგჯერ უფრო ნაკლები სიესტეა გაქნება, ზოგჯერ მომეტებული. ამით გულის აცრუება იეიმაწვილეს ეგვანება. რაც გინდ ბევრი ნაკლი ჰქონდეს, მაინც სასარგებლო იქნება ბედაგოგიური ყურნალი ისეთ გარემოებაში, რა გარემოებაშიაც დღეს ჩვენი, ყველაფერს მოკლებული და ყველაფერში დანატრეულებული, მოზარდი თაობა იმყოფება. ტეუილად კი არ უსაყვედურნია ერთს კოჭლს გასათხოვარს ქალს თავის საქმროსთვის, რომელიც ვერა ჭბედავდა თურმე მის შერთვას:

«სიკოჭლითა რაზე მწუნობ,
განა კურდღელს ძალვენებო?!»

მართლაც და, კურდღელს ხომ არ ვადევნებთ ჩვენს «ნობათს». «ნობათში» ჩვენ უპირველესად უნდა ვეძიოთ ისეთი რამ საკითხავი, რომელზედაც გული მიუიდოდეს ჩვენს ბავშვს; საკითხავი, რომელსაც შეეძლოს ბავშვის ყურადღების შეპყრობა, მისი ჩაფიქრება, მისი გონების ვარჯიშობა. კარგია, რომ ამაებისთვის თითონ ჩამოფიქრებული საგანი ლაზათიანად და ლრმად იყოს გამოკვლეული, ნიჭიერად გამოთქმული და დახატული; მაგრამ ესე ყოველივე შეადგენს ნიჭიერების ნაყოფს, და ნიჭიერება ისეთი რამ განძია, რომელსაც გზაში ვერ შეხვდები და გოგრაში ვერ ჩაიდებ. ნიჭი «ციურია» ძალაა და მოითხოვება მხოლოდ მას, ვისაც რგებია იგი წილში. და არა ყოველს მომაკვდავს. ამიტომ, რასაკვირველია, არა გვაქვს ნება—წინ გადვუდგეთ, ყურნალი იქნება თუ გაზეთი, და მოვდაგნეთ—გინდა თუ არა დიდი ნიჭიერება გამოიჩინე შენს ნაწერებში. ეს არ შეიძლება, ეს სასაცილო იქნება. ჩვენი ვალია, მოვითხოვოთ მხოლოდ, რომ ნაწერი შეეხებოდეს საინტერესო

საგანს და სინდისიერად ეპყრობოდეს მას. მეტი არაფერი. და თუ ამასთან ნიჭსა და ტალანტსაც გამოიჩენს, ეგ ხომ ნამდვილი ღვთის წყალობა იქნება.

***

ამ მხრით უნდა შევხედოთ «ნობათის» პირველ ნომერსაც, მით მოამეტებულად, რომ სანიმუშო ნომერში იგივე მწერლები, რომელნიც პირველ ნომერში სწერენ, შედარებით უფრო მეტს ნიჭიერებას იჩენდენ, ვიდრე ამ ნომერში. მაგ., ბ. ცანელის «ზაალი» ბევრით ჩამოუვარდება მისს «მარიანეს», რადგან აკტორი «იმეორებს თავის-თავსა», ე. ი. თავისი ანალის სურათის მოთუალობა გადმოლებულია ძველი სურათის მოთუალობისაგან. ეს ცუდი ნიშანი თუ არა, მაინც ასეთ-მოვნო გარემოება არ გახლავს, რომელსაც ახალს ნიჭიერებასთანა გვაქვს საქმე. «მარიანეშიც» საფლავიდამ იწყობა პოეზია, «ზაალშიაც» იმავე საფლავს დაუწერია პირველი ადგილი; იქაც საფლავითა თავდება პოემა, აქაც საფლავით. კარგი რამ ერთხელ არის კარგი და თუ გაიმეორე, მაშინ საკეთე მისი ზარალობს. ამ შემთხვევაში, ბ. ცანელი გვაშინებს, რომ იმან თავისი პოეზია ასაფლავებზე არ დაბას და სხვა მოვლენათა ზერგი არ შეუქცია. ორჯელ და სამჯერ რომ მოახერხოს აკტორმა საფლავისთვის სხვა-და-სხვა ნაირი სურათეულობის გამოძებნა, მეოთხედ და მეხუთედ ახალს სურათეულობას ვერ უპოვნის და მაშინ უნდა გამეორებას მიჭყოს ხელი. მეტუკიან, მაშ რა ქნას აკტორმა, თუ კი მას პოემებისთვის ათი და არა ოცი ასეთი სიუჟეტი აქვს, რომელნიც მკვდრებზე ლაპარაკობენ? —მე, რასაკვირველია, წერის კანონის შედგენას ვერ ვიდებ თავსა, მაგრამ, ჩემის აზრით, ამ შემთხვევაში ნამდვილი ნიჭი თითონვე ეცდება განასხვავოს თავისი სურათეულობა, რომ

ამით აიცდინოს ეჭვი, რომელიც დაებადება მკითხველს ავტორის პოეტურ ძალაზე. მაგალითად აიღეთ იგივე ორი პოემა, რომელზედაც ეხლა ჩვენა ვლაპარაკობთ. «ზაალი» რომ «მარინეზე» წინ წაგვეკითხა, მაშინ ვიტყოდით, რომ «მარინე» უფრო სუსტია «ზაალზე», ამიტომ რომ ავტორმა თავისი სურათეულობა განიმეორა, მაშინ, როდესაც მას ახალი სურათი უნდა წარედგინა მკითხველისთვინა. ან კიდევ «ზაალი» რომ სხვა ვისმე დეწერნა შემდეგ «მარინესი», ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, რომ «ზაალის» ავტორი საშინლად ჭბაძავს «მარინეს ავტორსა, აკლია მას თვით-მოქმედი ნიჭიერებანი. ბ. ცანელს თვით სათქოვის აწერისათვისაც რომ ნაკლები ადგილი მიეცა, კიდრე ჩვენა ვხედავთ «ზაალში», მაინც ამ პოემის სიუჟეტი ძალიან უახლოვდება მარინეს სიუჟეტს. უკანასკნელს პოემას აუღია იდეალური სიყვარული დედა-შვილობისა, პირველ პოემაში ვხედავთ და-ძმობის იდეალიზაციას ჩვენის ხალხის მიერ. ორივე შემთხვევაში ნათესაობრივი სიყვარულია. გარდა ამ მგზავსებისა, ორთავეში ქალი მგლოვიარეს და კაცი კი სამარეშია ჩადებული, ასე რომ მამა-კაცის სულის კითარებისას ჩვენ, რასაკვირველია, ვერას ვტყობილობთ. შინაგანი განსხვავება ამ ორი პოემისა იმაში მდგომარეობს, რომ «ზაალი» უფრო კარგად და უძალადოთ თავდება, კიდრე «მარინე». პირველში დაცულია ნამდვილი ხალხური წარმოდგენა გლოვიარე დისა, უკანასკნელში კი მგლოვიარე დედას ავტორი ამკობს ისეთი სამოქალაქო ღირსებით, რომელზედაც ძნელად შედგება ჩვენი ხალხის წარმოდგენა, და თუ შედგა, მაშინ ხალხის გონებითი ძალა ფრაზიორობის მაგიერ, რამე ღირსეული მოქმედების აღწერას შეუდგებოდა და კიდეც ასრულებდა მას იმ გვარად, რომ სურათი შიგ გულში მოხვდომოდა მკითხველს.

რაც შეეხება პოემათა გარეგნულ თვისებას, აქ «ზაალს» უფრო ნაკლები ხელოვნება და შემუშავება აქვს, ვიდრე «მარინეს», ლექსი ერთობ აჩქარებული და უხერხოა, მაგალითად ეს ადგილი:

«რუის ნაპირზედ ფეხ-აკვრით (?) ვიდაცა მოეჩქაროდა,
ნაცნობ ალაგებს შესცქერდა, შეგსტრფოდა, შემოგხაროდა(?),
ლ რაგი ზვირთი ღელვისა ზარის ხმით (?!) იხმაურებდა(?)»

მკითხველი დამეთანხმება, რომ ამ ლექსში სიტყვები საშინლად დამახინჯებულნი არიან და არც თითონ რიფმები გამოსულან ისეთი სიღამაზისანი, რომ ავტორს აპატიოთ პოეტური თავისუფლება შესახებ მართლ-წერისა. ვსთქვათ, «ფეხ-აკვრით» ავტორს უნდოდა ეთქვა—ფეხ-აკრეფითა, თუმცა ეს ორი სიტყვა სრულიად სხვა-და-სხვასა ნიშნავს; ვსთქვათ, ავტორმა სიტყვა «შემოგხაროდა», იხმარა «შეგხაროდა»-ს მაგიერ, თუმცა ასეთი მაგიერობა ძნელი გასაბედია; მაგრამ ეს „ზვირთი ღელვისა“ რალაა?!..

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ამ მცირე შენიშვნებში ჩვენ ვსარგებლობდეთ რაიმე პირადებით და შურის-ძიებით, ან თითონ ავტორთან ან «ნობათის» redakciasთან. ჩვენ რამდენადაც ვინატრით «ნობათის» წარმატებას, იმდენად სასიამოვნოდ დაგვრჩება, უკეთუ ბ. ცახელი სიბრთხილით მოეკიდება თავის ნიჭიერებას და თავის პოეტურ ძალას არ დაახურდავებს წვრილმანებზე, ანუ არ მიაჩერდება რომელსამე ერთ კუთხეს და არ დახუჭავს თვალებს წარსულის და აწმყო ცხოვრების მრავალგვაროვნობაზე.

***

ბ. რევიშვილის «შობა» და «ახალი წელიწადი» ხომ შორი ახლო ვერ მიუდგება იმისავე «კაკანათის». აქ მე ბევრს არ

ვილაპარაკებ, რადგან მგითხველმა, დარწმუნებული ვარ, უჩემოდაც კარგა დაინახა მათი უსულოობა და უფერულობა. ავტორმა ვერც «შობაში» და ვერც «ახალ წელიწადში» ვერ აღუდგინა ქართველს ბავშვს ის მოგონებანი, რომელნიც განუერელად არიან შეერთებული ხსენებულს დღესასწაულებთან. ავტორს უგემურად გამოუგლეჯია თითო-ოროლა ხაზი ამ დღესასწაულობისა, მეტი არაფერი. ყმაწვილის სულის აღტაცებული მდგომარეობიდამ, რომელსაც იგი ჭვრეტს შობასა და ახალს წელიწადს, ბ. რეკიშვილმა თითქმის არა მოიყვანა რა, და რაც მოიყვანა, რომ არ მოეყვანა, ისა სჯობდა გაცილებით.

«— სოსიკო! დამაბერე, დაგაბერო!

«მე ამოვიღე ჯიბიდამ, რომელიც უფრო უსეირო კამფეტი მქონდა, მივეცი ბიჭს და ეთხარი (თუ ვეთხარი?!): — ასეტებილად დამიბერდი-მეთქი». გვ. 81.

ავტორი ამ ბავშურ სისამაგლეზე იტყვის—«რა ვქნა, მე ამისა ვწერ, რაც ნამდვილად ყოფილა. მე სომ ვერ გავალაზათიანებ ბავშვის ცხოვრებასა.» ცხოვრებაში ბევრი რამ არის ნამდვილი, მაგრამ ბევრზე ხმის ამოღება დიდს სირცხვილს შეადგენს, მეტადრე ბავშვებისთვის ბევრზე

«თქმითაც დაშავდების».

*
* *

ამ ნაირადვე ასტად დავრჩით ნიჭიერის ეკ. გაბაშვილის პატარა მოთხრობით «საასალწლო თეშქაში». ამ მოთხრობას აგლია ყვალაფერი, რაც კი საამურ და საინტერესო ნაწერებად ჭსდის ხოლმე ქალბატონის ეკ. გაბაშვილის ნაწერებს. «საასალწლო თეშქაშს» შერჩენია მხოლოდ ჩვეულებრივი ლამაზი მოთხრობითი ენა ავტორისა, მეტი არაფერი. აქ, სწორე მოგასენოთ, საოეშქარო და მეტადრე საასალწლო არა არის რა,

გარდა გოზინაყისა. არ გვესმის, რად ჩაუშხამებია ქ. გაბაშვილისას პატარა მკითხველისათვის ახალის წელის საამო მოგონებანი ვიღაც მოამაგვანის სურათით. ნუ თუ ასეთი მწარე მოგონება ყველა ახალ წელიწადს თან მოსდევს? ნუ თუ ამ გვარი გამწარება ახალ-წლისა არ ასცდება ჩვენს ბავშვებს! და თუ ეს ასე არა სდება, თუ ასეთი მოგონება მხოლოდ იშვიათ რამეს შეადგენს, მაშინ რა ადგილი აქვს მას საახალწლოში! რა ხელი აქვს გოზინაყთან, რომელსაც გოზინაყი, ჩურჩხელა და სხვა ხილეულება ახალწლის საღამოს, უმკვდრებოდ უთვრობებელნი და საამურნი არიან! რა აზრი აქვს მელანს სიკვდილს «საახალწლოს თეშქაშში»? იქნება ავტორს უნდოდა დაეხატნა კონტრასტი მდიდართა და ღარიბთა შორის ახალ წელში! თუ ეს განზრახვა ჭქონდა, ძალიან უხერხოდ შეუსრულებია იგი. მართლაც, განა მდიდრები კი სიკვდილს შვილნი არ არიან? განა იმათ კი არ ესტუმრებათ ხოლმე ახალ-წელიწადს სიკვდილი! ეს უკანასკნელი ჩვენზე უთვრო მიუდგომელია და არავის არ არჩევს თავის ცელის მოსმაში. და თუ ეს ასეა, მაშ განა მდიდრები კი ნაკლებ ტანჯვას გამოიგლეიან, რომელსაც მათ დაუკლდებათ საყვარელი წევრი! აქ საკონტრასტო არა არის რა, გარდა თითონ სიკვდილისა, რომელიც ახალს წელსა სწვევია განსვენებულს მელანს—ცალ მხარეზე ახალ-წლის საამზადისი, ცალზე კი სიკვდილის მეუფება. მაგრამ ამასთანა ბუნების მწარე მოგონება მხოლოდ მაშინ გამოადგებოდა ავტორს კონტრასტისათვის, რომელსაც იგი მუდამ ერთვის ახალ-წელიწადს, ან რომელსაც ავტორს სრულებით არ ექმნებოდა სახეში თითონ ახალი წელიწადი, არამედ რომელ მას ენდომებოდა ორი მოგონების აღწერა: სიხარულისა და მწუხარებისა. ასეთი ტემა

ურიგო არ არის, მაგრამ საახალწლო თეშქაში კი სრულებით უადგილოა.

***

ბ. ლილიუსის «საბრალო ჩიტზე» ჩვენ ვერაფრის თქმა ვერ მოგვიხერხებია. გვიკვირს მხოლოდ რედაქციისაგან მისი დაბეჭდვა. თუმცა, მართალია, ძალიან კარგი საქმეა, უქადაგოს ბავშვს თრინველების შებრალება, თავისუფლების მინიჭება და სხვაგვარი პირუტყვთა მოყვარული აზრები, მაგრამ ამისთანა ქადაგებაში დიდი სიფრთხილე ჭმართებს კაცს, უგეთუ იგი ჭეშმარიტს, რომ კარგად არ იცის ყმაწვილის ბუნება და ვერც მის ენაზე ბასის გამართვა მოუხერხებია.

ასრედ წოდებულს «უნაკლულო სისრულეს» «ნობათში» წარმოგვიდგენს გადმოთარგმნილი მოთხრობა «თეიქრი არწივისა» პროფესორის ბოლდანოვისა. აჭრელებული მშვენიერის სურათებით, «თეიქრი არწივისა» ისეთი გამტაცებელი მოთხრობაა, რომლის კითხვითაც ბავშვი «ვერ გაძღება», როგორც იტყვიან ხოლმე. ურიგო არ იქნება რომ «ნობათის» რედაქცია ხშირად მიჭმართავდეს ხოლმე უცხო ქვეყნელს საყმაწვილო ლიტერატურას, რადესაც თითონ არ მოეპოვება მართლა და კარგი და საამური საკითხავი.

***

ერთობ, ჩვენის აზრით, პირველი ნომერი «ნობათისა» ესტია, მაგრამ რუსები ტყუილად კი არ ამბობენ—

«Терпѣніе и трудъ
Все перетрутъ».

ვისურვებთ, რომ შემდეგში უფრო ნაკლები შეცდომი-

ლებანი ვნახოთ «ნიბათში» და მაგრე მოვესწრებოდეთ იმ დროს, როდესაც ჩვენ ქცევას შეეძლოს ძვირფასი საგითხავი მასალის მიცემა თავის პატრონ მგითხველისათვის.

სტ. ჭრ—შვილი.

განცხადება.

—

ჟურნალი

«ივერია»

(წელიწადი მერვე)

მომავალ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სიგრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან. სადაც ზედ სართულში «დროების» რედაქციაა და იქავ, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, «წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან,

ფასი ხელის მოწერისა:

მთელის წლით 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი:

Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ყველანი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორი და გამომცემელი Ил. ჭავჭავაძე

განცხადება.

ამა 1884 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მო-
რა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, სამონ-
სტანტინეს ქუჩაზე, 1-ს გლასიგურის გიმნაზიის უკან, ნა-
ზარეთის სახლებში, აგრეთვე შაგერდოვის საკანტორში.

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მას-
წავლებელ მ. ნათაძესთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი ან თუული შემ-
დეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ
Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

კისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ,
მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორი ილ. ჭავჭავაძე.